




# სწავლება და გაფრაგირება



საქართველოს  
განათლებისა  
და კულტურის  
სამინისტრო



საქართველოს  
განათლებისა  
და კულტურის  
სამინისტრო





# საქართველოს ეროვნული გამოცემა

ერთობლივი სახელმწიფო გამოცემა

II

2008

ავტორები:

რუსულან ტყემალაძე  
ნანა დალაქიშვილი  
ქეთევან თოფაძე  
თათია პაჭორია  
თამარ ბუწაშვილი

საქონსულტაციო საბჭო: სიმონ ჯანაშია, ნათელა იმედაძე, მარინა ჯაფარიძე, თამარ კერძაია, ია კუტალაძე, თამარ გაგოშიძე, თამარ ოკუჩავა, ხათუნა მხეიძე

რედაქტორები:

ნათია ნაცვლიშვილი  
სოფიო გორგოძე

K263972

ილექტრაცია, დიზაინი: გიორგი გამეზარდაშვილი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა: თამარ გოდერძიშვილი

პროექტის კოორდინატორი: ეთერ გველესიანი

გამომცემლობა: „საქართველოს მაცნე“

© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.

ISBN 978-9941-0-0674-6  
ISBN 978-9941-0-0676-0



## საშუალებები

I

ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რას ნიშნავს გარეგანი და შინაგანი მოტივაცია;

რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე მუშაობა;

რა სტრატეგიებს უნდა მიმართოთ მოსწავლეებში მოტივაციის ასამაღლებლად;

როგორ უნდა დაიცვათ ბალანსი შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ასამაღლებელი სტრატეგიების გამოყენებისას.

მოტივაცია არის იმპულსი/სურვილი, შინაგანი პროცესი, რომელიც ადამიანს ქმედებებისკენ უბიძგებს და ამ ქმედებებს გარკვეული მიზნის მიღწევისაკენ მიმართავს. მაგალითად, მოსწავლე, რომელიც ბევრს მეცადინებს, კეთილსინდისიერად ეკიდება სასწავლო პროცესს, ორიგენტირებულია კარგი ნიშნების მიღებაზე, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მაღალმოტივირებული. მოტივაცია განაპირობებს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებას. მოსწავლის მოტივაციას განსაზღვრავს მისი გარემო. ეს შეიძლება იყოს მშობლები, თანატოლები, მიმზიდველი სასწავლო გარემო. თუმცა, მოსწავლეების მოტივირების თვალსაზრისით, მასწავლებლის როლი ყველაზე მნიშვნელოვანია.

მოტივაციის ამაღლებაზე სისტემატური მუშაობა დიდწილად განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას და სასწავლო პროცესის სასიამოვნოდ და სახალისოდ წარმართვას.

დასავლური ფსიქოლოგიური სკოლა გამოარჩევს ე.წ. შინაგან და გარეგან მოტივაციას. განვიხილოთ მაგალითები.

## სიტუაცია 1


ფიზიკის გაპეტოლია. მასწავლებელი იღებს ჯიბიდან ხურდაფურთხ  
და აგდებს მადლა. ფული მიწაზე ეცემა. მოსწავლეები აკვირდები-  
ან პედაგოგის ქმედებას. ამის შემდეგ მასწავლებელი ინსტრუქციას  
აძლევს თითოეულ მოსწავლეს: „იფიქრეთ იმის შესახებ, რაც ახლა  
მოხდა თქვენ თვალშინ. ჩამოწერეთ თქვენი კომენტარები და გამოი-  
ცანით, რატომ დაეცა ჩემ მიერ ზევით აგდებული ფული იატაქზე.  
ჩამოაყალიბეთ მოსაზრება, რომელიც ახსნის და დაასაბუთებს ამ  
მოვლენას. ამისათვის გეძლევათ 10 წუთი“.

## სიტუაცია 2

მეორედება პირველი სიტუაცია, ოდონდ მასწავლებელი, იმის  
გარდა, რომ მოსწავლეებს  
სოხოვს მოვლენის ახსნას  
და დასაბუთებას, გარკვეულ  
მოლოდინს უქმნის:

„რომელი თქვენგანიც  
უფრო მალე ჩამოაყალიბებს  
სწორ და დასაბუთებულ  
პასუხს, დაიმსახურებს  
უმაღლეს შეფასებას და  
გამოცხადდება დღევანდელი  
ბაკეთილის ლიდერად.“

ორივე შემთხვევაში  
მასწავლებელს ერთი მიზანი  
ამოძრავებს, აამაღლოს  
მოსწავლეებში მოტივაციის  
შეგრძება. პირველი  
შემთხვევა შინაგანი



მოტივაციის მაგალითის ნიმუშია. აქ პედაგოგი მოსწავლეებს უდვიიქებს  
ცნობისმოყვარეობას და მათ აზროვნების, ფიქრის და აღმოჩენისკენ  
უბიძებს. აქ განმსაზღვრეულია ის შინაგანი ინტერესი, რომელიც  
მოსწავლეს სიამოვნებას ანიჭებს. ეს სიამოვნება მის ქმედებებს  
დასაბუთი მიზნისაკენ მიმართავს. აქ გარეშე ფაქტორები (ნიშანი,  
შექმნა, ჯილდო და სხვ.) თითქმის უმნიშვნელოა.

შინაგანი მოტივაცია არის კონკრეტული ქმედებისაკენ სწრაფვა,  
რომელიც შიგნიდან არის გამოწვეული ცნობისმოყვარეობის დაქმაფ-  
ოფილების თუ რადაცის აღმოჩენის სურვილით.

მეორე შემთხვევა სიტუაციურად იმავეს გვიამბობს, რასაც პირველი.  
განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მასწავლებელი გარეშე ფაქტორის/

ების შემოტანით ცდილობს, მოსწავლეებში გაამძაფროს მიზნის მიღწევის სურვილი და მათი მოქმედებებიც აქვთ მიმართოს.

გარეგანი მოტივაცია არის კონკრეტული ქმარების მიმდევად, რომელიც გამოწვეულია გარე ფაქტორებით, გნ სწრაფვა, გამოწვეულია გარე ფაქტორებით, გარეგანი ჯილდოს ან აღიარების მოპოვების სურვილით.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეში შინაგანი მოტივაციის გადავიძება აკადემიურ შედეგებზე განსაკუთრებით დადგით გაფლენას ახდენს, აუცილებელია მასწავლებელი იყენებდეს გარეგანი მოტივაციის სტრატეგიებსაც,

ob. I - გვ. 64

ქართველი მეცნიერი დ. უზნაძე საუბრობს შემეცნებით ინტერესზე და სწავლის ღირებულების მიმართ გაცნობიერებულ დამოკიდებულებაზე, რაც, შეიძლება თქვას, რომ უახლოვდება დასავლური ფსიქოლოგიური სკოლის მიერ აღიარებულ შინაგან მოტივაციას.

მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ I-III კლასებში მოსწავლეთა დიდი ნაწილი შინაგანად არის მოტივირებული, თუმცა მესამე კლასიდან შინაგანი ინტერესი მნიშვნელოვნად კლებულობს და მოსწავლეები უფრო დიდ ანგარიშს უწევენ გარე ფაქტორებს, მაგალითად წარმატების მიღწევას მხოლოდ იმ საგნებში, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად სჭირდებათ.

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, გარე ფაქტორებიც უძლებელია, რადგან მასალა რთულდება, მოსწავლეების სტრუქტურის უფრო მოსაწყენი ხდება საგაკვეთოლო პროცესი და მოსწავლე კარგავს სწავლის მოტივაციას (ორმონდი, 2008). სწორედ აქ იკვეთება მასწავლებლის განსაკუთრებული როლი, რომ იზრუნოს მოსწავლეებში როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაციის ამაღლებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იცოდეს, რომ სწავლის მოტივაციის ამაღლება უკავშირდება მოსწავლის სხვა საჭიროებებს.

ob. I - გვ. 178

შინაგანი მოტივაციის ამაღლებისათვის მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ:

- დავალების მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შერჩევა;
- გარკვეულ შემთხვევებში მათვის არჩევანის უფლების მინიჭება;

- თავისი აზრის, თუნდაც საწინააღმდეგო მოსაზრების თამამად გამოხატვის შესაძლებლობა;
- თამაშის ტიპის სახალისო აქტივობების ჩართვა სასწავლო ცენტო.

დავასახელებთ იმ სტრატეგიებს, რომლებსაც მასწავლებელმა შეიძლება მიმართოს გარეგანი მოტივაციის ამაღლების მიზნით:

- გარკვეული ჯილდოს, საჩუქრის შეთავაზება კარგი ან გაუმჯობესებული შედეგებისათვის (მაგალითად, ყველაზე მაღალი ნიშანი, ან კონკრეტული ტესტიდან გათავისუფლება და ა.შ.);
- წერილობითი ან სიტყვიერი შექმნა, რომელიც არის არა ზოგადი (მაგალითად, არა უბრალოდ „კარგი გოგო ხარ“, არამედ უფრო კონკრეტულად „ყოჩად, შენ ეს პერსონაჟი ზუსტად დააკავშირე მის რეალურ პროტოტოპან“);
- შეჯიბრების მოწყობა (კლასში, პარალელურ ჯგუფში ან სხვა სკოლების მოსწავლებით).

### **ob. გვ. 132**

აქევე უნდა აღვნიშნოთ, რომ მნიშვნელოვანია ნიჭიერი ბავშვების მოტივაციაც. ხშირად ხდება, რომ ნიჭიერ ბავშვებს სწავლაში დაბალი შედეგები აქვთ, რისი ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ მოტივაციის არარსებობაა.





### სიტუაცია 3

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლის დაწყებისთვის წამოქამნები ხათია მასწავლებელს ეწერებიან და უკმაყოფელი გამოიყენოს შინაგანი ან გარეგანი მოტივაციის სტრატეგია.

მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს შინაგანი ან გარეგანი მოტივაციის სტრატეგია.

გთავაზობთ ორ ვარიანტს.

1. ხანამ ხათია მასწავლებელი ტექსტის ახესნას დაიწევდა, გადაწყვიტა ბავშვებისთვის ენვენებინა ტაო-კლარჯეთის, იქაური ეკლესია-მონასტრების სურათები, ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე გადაღებული ვიდეოფილმი; მოექოლა ამბები იქ მყოფ ქართველებზე. ხათია მასწავლებელმა შეგნებულად გადაუხედა სასწავლო გეგმას და ორი გამაგრილის განმავლობაში ტექსტის ახესნა არ დაუწყია. მეორე გაპვეთილის ბოლოს, მოსწავლები დაინტერესდნენ და თვითონ მოითხოვეს ტექსტის შესწავლა.

2. ხათია მასწავლებელი მოსწავლებს დაპირდა, რომ ვინც ყველაზე კარგად ისწავლიდა ტექსტს, წლის ბოლოს ტაო-კლარჯეთში მიმავალ სამოგზაურო ტურისტულ ჯგუფში ჩართავდა. ამ მომხიბვლელი წინადაღების შემდეგ ბავშვები მონდომებით შეუდარენ ტექსტის შესწავლას.

როგორც მაგალითი გვიჩვენებს, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლისას მოტივაციის ორივე სტრატეგია წარმატებული აღმოჩნდა. თუმცა, თუ მოსწავლეს ხშირად ვპირდებით ჯილდოს, ანუ გარეგანი მოტივირების გზას მივმართავთ, შეიძლება ამ გზით შინაგანი მოტივაცია თანხდათან დაუქვეითდეს და ყოველთვის ჯილდოს, ნიშნის ან სხვა რამის საფასურად გააკეთოს კონკრეტული დავალება. კვლევები მოუთითებენ, რომ როდესაც მასწავლებელები ხშირად იყენებენ გარეგან მოტივაციას, სხვა შემთხვევაში მოსწავლეები გულგრილები ხდებიან სწავლის მიმართ.

გრინბა, სტერნბერგმა და ლეპერმა (1976) ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარეს: მათ გამოიყენეს მათემატიკური თამაშები ხელის ბავშვებთან, რომლებიც მოსწავლეებს ჰალიან მოეწონათ. ცოტა ხნის შემდეგ თამაშში წარმატებულ ბავშვებს საჩუქრები დაურიგებეს. შემდეგ საჩუქრების მიცემა შეწყვიტეს. მას შემდეგ რაც საჩუქრები ვედარ

მიიღეს, ბავშვებმა თამაში შეწყვიტეს. მათ ჩამოუყალიბდათ განცემისა, რომ ისინი უკვე არა გართობის მიზნით, არამედ საჩუქრებისთვის თამაშობდნენ.

პედაგოგმა მოტივაციის ორივე ფორმას უნდა მიმართოს? მეტად წავლის ხასიათი, მისი ბუნება და ასაკი გადამტკვებ როლს თამაშობს. ზოგს გარეგანი მოტივაციის ფორმები უფრო ძები ენთუზიაზმით აღავხებს, ვიდრე შინაგანი. ამიტომაც, როგორც წესი, ხურედ მათი შეზარდებითა და ვარირებით მიიღწევა სასურველი, მაქსიმალური შედეგი.

თქვენ უკვე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასიცის შემცირებულ კველა შეკითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაეცით პასუხები.

### ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- პედაგოგი სისტემატურად და გეგმაზომიერად უნდა მუშაობდეს მოტივაციის ამაღლებაზე. ამ ტიპის ხამუშაოები მას მიზნობრივად და თანმიმდევრულად უნდა პქონდეს დაგეგმილი სასწავლო პროცესის ში;

- პედაგოგმა მოტივაციის ორივე ფორმას უნდა მიმართოს. თუმცა ყურადღებადებია ის ფაქტი, რომ შინაგანი მოტივაცია ძევრად უფრო მდგრადია და მოსწავლეთა განვითარებას განსაკუთრებით უწყობს ხელს;

- მოტივაციის ამაღლებისათვის მასწავლებელმა მრავალგვარ სტრატეგიას შეიძლება მიმართოს, მაგრამ ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ასაკობრივი ჯგუფისა და კონკრეტული მოსწავლის ხასიათის თუ მუშაობის სტილის თავისებურებებს.

ამ თავის წარითხების შემდეგ თქმებ გეცოდინებათ:

მოტივაციის ამაღლების რა საშუალებები არსებობს;

რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეებთან კარგი პიროვნული ურთიერთობის დამყარება;

რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს მასწავლებელმა მოსწავლეებთან დადებითი პიროვნული ურთიერთობის დასამყარებლად;

\*\*\*\*

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. რა გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე მოსწავლესა და მასწავლებელს შორის დადებითი პიროვნული ურთიერთობები?
2. რის საფუძველზე შეიძლება აიგოს კარგი პიროვნული ურთიერთობები მოსწავლესა და მასწავლებელს შორის?
3. მასწავლებლის მხრიდან რა თვისებების გამოვლენამ შეიძლება შეუშალოს ხელი მოსწავლეში მოტივაციის ამაღლებას?
4. მოტივაციის ამაღლებისათვის რამდენად საკმარისია მხოლოდ კარგი პიროვნული ურთიერთობების დამყარება?

მოტივაციის ამაღლების ძირითადი საშუალებებია: პიროვნული ურთიერთობები, სასწავლო ატმოსფერო და სასწავლო გეგმისა თუ კონკრეტული პედაგოგის მიერ წამოყენებული სასწავლო მოთხოვნები. სქემატურად ეს ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

პიროვნული  
ურთიერთობები

სასწავლო  
ატმოსფერო

მასწავლებლის  
მოთხოვები

## პიროვნული ურთიერთობები

მასწავლებელი მოვალეა, კარგი პიროვნული ურთიერთობები დაამ-  
ყაროს თავის მოსწავლეებთან. კალებები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეები,  
რომლებსაც მოსწორო მასწავლებელი, კეთილსინდისიერად ეკიდებიან  
სასწავლო პროგრამას, ნაკლებად ქმნიან დისციპლინურ პრობლემებს  
და ითვალისწინებენ მასწავლებლის მოთხოვნებს. აგრეთვე, მასწავ-  
ლებელი მოვალეა, რომ აგრძნობინოს მათ თავი ღირსეულ, პატივსაცემ  
ადამიანებად და შექმნას დაცული, კომუნიკაციული, ჯანსაღი გარემო,  
სადაც სწავლა სასიამოვნო პროცესად იქცევა. ამგვარ შემთხვევაში  
მოსწავლეებს შორის მოტივაციის ხარისხი მკვეთრად მატულობს.

განვიხილოთ რამდენიმე სიტუაცია, რომელმიც აღწერილია, თუ რა  
შეუძლიდა ხელს მოსწავლე-მასწავლებელს შორის პოზიციური  
ურთიერდამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

### სიტუაცია 1

გიორგი ხელს უშლის გაკვეთილის მიმდინარეობას. იგი განეწყ-  
ვებლივ ცემუტავს, იცინის, ენურნეულება გვერდით მჯდომ მოსწავლეს.  
მასწავლებელმა მას რამდენჯერმე მისცა შენიშვნა, მაგრამ უშედე-  
გოდ. გიორგი კიდევ უფრო ცუდად იქცევა, თითქოს ასეთი საქციელით  
განსაკუთრებული უფრადდების მიპყრობის ცდილობს. მასწავლებელი  
ნელ-ნელა გამოღის წყობიდან. შენიშვნების მიცემას აზრი ეკარგება  
და მასწავლებელი გიორგის დახვის მიზნით საკლასო ჟურნალში  
ყველაზე დაბალ ჭრას უფრომებს, რომ როგორმე გაიხეროს. ეს მო-  
სწავლის უქმაყოფილებას იწვევს, ეწინააღმდეგება მასწავლებელს და  
ამბობს, რომ მან გაკვეთილი კარგად იცის და ცუდი ნიშნის დაწერა  
ცედ საქციელში უსამართლობაა! იწყება კამათი, შეპასუხება და კონ-  
ფლიქტი.

## სიტუაცია 2

მასწავლებელმა აღმოაჩინა, რომ სანდროს დავალება სახლში დაბრუნდა. მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ სანდროს არც წიგნი მომზადება და არც კალამი აქვს.

- აბა, რისთვის მოხვედი სკოლაში, ან შენი მშობელი რას ფიქრობს! წლის ბოლოს ხომ მოგინდება ნიშანი?

- დამრჩა, მას, და რა ვქნა?!

- რატომ თავი არ დაგრჩა? თუ ბევრს შემებასუხები, კლასიდანაც გაბრძანდები!



## სიტუაცია 3

მასწავლებელმა ნინო დაფასთან გაიძახა. ნინო გაკვეთილს უვება. ჩანს, რომ ნერვიულობს, უჭირს აუდიტორიის წინაშე საუბარი. მასწავლებელი ჯდება თავის მაგიდასთან, ჰლის საკლასო უკრნალს, ავსებს. მერე დგება, რიგებს შორის დადის. ერთ მოსწავლეს შენიშვნით მიმართავს: გასწორდი და წესიერად დაჯვჭი, უსმინე შენს კლასელს! მერე მეორეს უბრუნდება: სად არის შენი დავალება? რვეული მერხზე უნდა იდოს და არა ჩანთაში. ნინო გრძნობს, რომ მასწავლებელი მას უურადღებით არ უსმენს.

მოცემული სიტუაციები ნათლად გვიჩვენებს, რომ ამგვარი დამოკიდებულებებითა და რეაქციებით მოსწავლე-მასწავლებელს შორის პატივისცემასა და სიმპათიაზე დაფუძნებული ურთიერთ-დამოკიდებულება ვერ ჩამოყალიბდება. პირველ სიტუაციაში დაფუძნებირებული უსამართლობა, მეორე სიტუაციის სარკაზში და უხეშობა, მესამე სიტუაციაში ასახული გულგრილობა ვერ შექმნის მოტივაციის ამაღლებაზე ორიგნტირებულ გარემოს. ამ მაგალითების საპირისპირო კი შეგვიძლია გამოყოფ რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც ჰყდაგოგს დიდ დახმარებას გაუწევს თავის მოსწავლეებთან კარგი პიროვნული ურთიერთობების დამყარებაში.

## სამართლიანობა

სანამ მოსწავლე არ დაინახავს, რომ მასწავლებელი სამართლიანია ისეთი გადაწყვეტილებების მიღების დროს, როგორიცაა დავალების რაოდენობა, აკადემიური მოსწრების შეფასება, მოსწავლეთა დახმარება, ჯგუფების შედგენა, დისციპლინური საკითხების განსჯა და ა.შ. მოსწავლეს ვერ მოეწონება იგი.

## გარეგნობა

ბავშვები უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის გარეგნულ მხარეს, ვიდრე დიდები. შესაბამისად, მოწესრიგებული და დახვეწილი მასწავლებელი მათ, გარკვეულწილად, შთაგრონებთ პატივისცემას არამარტო კონკრეტული პიროვნების, არამედ იმ საგნის მიმართაც, რომელსაც იგი ასწავლის.

## იუმორი

ურთ-ერთი თანამედროვე განმანათლებელი, უილიამ გლოსერი აღნიშნავს, იუმორი ზრუნვის გამოხატვის ერთგვარი ფორმაათ. ცხადია, მასწავლებელი ხუმარად არ უნდა იქცეს, მაგრამ თავისუფალი, გახსნილი, იუმორისტული რეაქციები გარკვეულ სიტუაციებში მას ხიბლს სძენს, აახლოვებს მოსწავლეებთან.

## თავაზიანობა

თავაზიანობის გამოვლენა, თუნდაც სრულიად ფორმალური, პატივისცემის დაფიქსირების ყველაზე მკაფიო უქსტია და, ცხადია, ხელს უწყობს სიმპათიის გადვივებას. თავაზიანობის უგულებელყოფა მოსწავლეში იწვევს პროტესტის გრძნობას და ხელს უშლის კარგი ურთ-

იურთობის ჩამოყალიბება-განვითარებას.

## სიხალასე

ტრადიციულად, მასწავლებელი ავტორიტარულ, საშიშ, დესპოტურ ფიგურად აღიქმება. პედაგოგის ამგვარი აღქმა, ხშირ შემთხვევაში, ხელს უშლის მოსწავლეებში მოტივაციის გადვივებას და მათთან ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა უკეთ წარიმართება, როდესაც მასწავლებელი არის სადა, ხალასი ადამიანი, რომლის ნამტბობიც პიროვნულ გამოცდილებებს, დაკვირვებებსა და შეგრძნებებს ეყრდნობა. სწორედ ამგვარი თხრობისას აღიქვამენ მოსწავლეები მას წველებრივ, გრძნობების მქონე, გახსნილ ადამიანად, და არა გაყინულ დიდაჭმიკოსად.

## ურთიერთობების აღდგენა

მოსწავლესა და მასწავლებელს შორის გარკვეული სადამსჯელო ღონისძიების გატარება (კლასიდან გაგდება, მკაცრი შენიშვნის მიცემა, დირექტორთან მიყვანა და სხვ.) ურთიერთობას ჩიხში აქცევს. ამგვარი ქმედებების შემდეგ უმნიშვნელოვანებია, მოსწავლემ იცოდეს, რომ მასწავლებელი მას პატიობს, რომ იგი ბოლმას არ იდებს გულში, რომ იგი ყოველთვის მზადაა, გადადგას პირველი ნაბიჯი ურთიერთობის აღდგენისკენ.


## აქტიური მოსმენა

როდესაც მასწავლებელი უურადღებით უგდებს უკრს თავის მოსწავლეებს, ისინი გრძნობენ, რომ მათი აზრი მნიშვნელოვანი, უურადსაღები და საინტერესოა. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მასწავლებლისთვის უკელა მოსაზრება მისაღებია. აქტიური მოსმენა, (აქტიური მოსმენა ნიშნავს რეაგირებას, კითხვების დასმას, პოზიტიურ გამოხმაურებას მოსწავლეების ნააზრებზე და ა. შ.) აგრძნობინებს მოსწავლეებს, რომ მათი პოზიცია მასწავლებელს ესმის. ეს კი ზრუნვის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა. მასწავლებლები, რომლებიც აქტიურად უსმენენ თავიანთ მოსწავლეებს, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობენ.

**ობ. გვ. 132**

ბოლოს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ კარგი პიროვნეული ურთიერთობების დამქარება მოტივაციის ამაღლებას ვერ განაპირობებს. აუცილებელია პირადი მაგალითის მიცემაც. მაგალითად, კითხვის მოტივაციის გაზრდა მოსწავლეებში გაგვიჭირდება, თუ ჩვენ თვითონ არ ვკითხულობთ; გაგვიჭირდება, მოსწავლეებს ავტმადლოთ მოსმენის მოტივაცია, თუ ჩვენ თვითონ არ ვუსმენთ მათ. მაგალითის მიცემა ერთ-ერთია იმ კომპონენტებიდან, რომლებიც ხელს უწეობენ მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას.

*თქვენ უკეთ შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასაწყისში მოცემულ კუკლა შეკითხვაზე დაუძრუნდით კითხვებს და გაუცირდეთ პასუხები.*



## ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- უფლების უნდა გვახსოვდეს, რომ იუმორი მოსწავლებთან ურთიერთობაში გამოსაღები ხერხია, მაგრამ სარკაზმი, გადამეტებული, დვარძლიანი დაცინვა ყოვლად დაუშვებელია. ეს ყველაზე მეტად უძლის ხელს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულების დამყარებას;
- კარგი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტია;
- კარგი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბებით მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეში დირსების გრძნობის ამაღლებას.

## III

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეგითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. რა უწყობს ხელს მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის სასურალი ატმოსფეროს შექმნას?
2. რატომ არის მნიშვნელოვანი თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნა?
3. რას ნიშნავს და რატომ არის მნიშვნელოვანი დაცული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება?
4. რატომ არის საჭირო მოსწავლეებისთვის არჩევანის უფლების მინიჭება?
5. რატომ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს სწავლის პრინციპები და სტრატეგიები?



კარგმა მასწავლებელმა იცის, რომ ჯანსაღ ურთიერთობებისა და მაღალ აკადემიურ მიღწევებზე ორიენტირებული სასწავლო ატმოსფერო იქმნება მაშინ, როდესაც მოსწავლეები სკოლაში თავს სტუმრად არ გრძნობენ და სამუშაოს ბოლომდე ითავისებენ. განვიხილოთ ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ამ განცდის გაღვივებას. ესენია: გუნდურობისა და თანამშრომლობის, დაცულობის, დაბალი რისკის (დაცინგასთან, სარკაზმთან, თუ დასჯასთან დაკაფშირებით), ნდობისა და პიროვნული დირსების ფაქტორი. სქემაზე დანართის მიხედვით:

### მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის სასურველ ატმოსფეროს ქმნის

გუნდურობა/  
თანამშრომლობა

დაცულობა/ნდობა

პ ი რ თ ვ ნ უ დ ი  
ლიონების შეგრძნება

„მე ვგრძნობ, რომ  
კლასი/ჯგუფი მიღებს,  
მოსწავლეები ჩემ  
გვერდით დგანან. მათ  
სურთ ჩემი წარმატება  
და მზად არიან, რომ  
დამეხმარონ.“

„მეცდომები ს  
დაშვება რისკთან  
(დაცინგა, გაბრაზე-  
ბა, დასჯა) არ არის  
დაპავშირებული.  
თუ შეცდომებზე  
ვისწავლი, წარმატე-  
ბასაც მივაღწევ.“

„ მე მნიშვნელო-  
ვანი და დაფასებუ-  
ლი ვარ ამ გარემოში  
ჩემი ქმედებებით, ხი-  
ტყით, აქტიურობით.  
შემიძლია მოვლენებ-  
ისა და სიტუაციების  
შეცვლა.“

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასურველი სასწავლო ატმოსფეროს შესაქმნელად, მასწავლებელმა კლასში ამგვარი დირებულებებისა და დამოკიდებულებების დანერგვა უნდა შეძლოს:

## გრაფა №1

შეცდომებთან დაკავშირებით: შეცდომები ეხმარება ადამიანს სწავლას. უკეთა აქტების მიზნით დამატების უცლება და არავინ ისჯება ამის გამო.

ტექნიკურ დაკავშირებით: არ არის აუცილებელი ყველაფრის უცებ გაგება და გაკეთება. მცდელობა, კეთილსინდისირება, ხარისხი, დაკვირვება არის ის, რასაც ყველაზე დიდ უკრალდებას ვაძლევს.

დახმარებასთან დაკავშირებით: კარგ მოსწავლეებაც შეუძლიათ, ითხოვნ დახმარება, შესრულებული სამუშაოს/მუშაობის პროცესის დამატებით კომენტირება.

მცდელობის შესახებ: სისტემატიური მცდელობა და სამუშაოს ეფექტიანი დაგებმვა წარმატების საწინდარია.

შესაძლებლობების შესახებ: მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწვევა უკეთა შეუძლია.

დააკვირდით იმ დირექტულებებს და დამოკიდებულებებს, რომლებიც ქვემოთ მოყვანილ გრაფაშია წარმოდგენილი:

## გრაფა №2


შეცდომებთან დაკავშირებით: შეცდომები სისუსტის ნიშანია.

სწავლის ტექნიკურ დაკავშირებით: ვინც ყველაზე სწრაფად ამოხსნის ამ ამოცანას, ის ყველაზე ჰქვიანი/ძლიერია.

დახმარებასთან დაკავშირებით: კარგი მოსწავლეები სამუშაოს დახმარების გარეშეც ართმევენ თავს.

მცდელობის შესახებ: მხელოდ ჰქვიანი, გონიერის სარტი მოსწავლეები იღებენ მაღალ ნიშნებს და აღწევენ წარმატებას.

შესაძლებლობების შესახებ: ნიჭი წარმატების გარანტია.



ზემოთ მოცემული ორი გრაფის შედარებისას, შეგვიძლია დავასტკნა, რომ მეორე გრაფაში მოცემული დამოკიდებულებებით, ნაკლებად საკრავდოა, სასწავლო გარემო იყოს პოზიტური, რაც ხელს შეავსდლის მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში. ხოლო პირველ გრაფაში მოცემული დამოკიდებულებები ხელს უწყობს ჯანსაღი და მოტივირებული სასწავლო გარემოს შექმნას და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

როდესაც დადგითი სახწავლო ოქმოსფეროს შექმნაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კიდევ სამი მნიშვნელოვანი კომპონენტი:

- შეთანხმება კლასში ქცევის წესების, „თამაშის წესების“ შესახებ;
  - მოხსენერებულის სტატუსის პრინციპებისა და სტრატეგიების სწავლება;
  - სტატუსის სტრატეგიისა და არჩევანის უფლების შეთავაზება.

სიტყაცია 1.

Թուֆազլցեցի տեղայլցին Վյրու პրոցեսի ժրուած մատ յրտու տեխնոլոգիա համար համապատասխան է առաջնային պահանջմանը և առաջնային պահանջմանը համապատասխան է առաջնային պահանջմանը:

- მოდით, ერთად შევთანხმდეთ, რომელი დღე იქნება პირველი რედაქციის ჩაბარების საბოლოო ვადა. დაფიქრდით და განსაზღვრეთ, რამდენი დღე დაგჭირდებათ, რომ თქვენს თხულებებს მეტ-ნაკლებად ხამოყალიბებული სახე მისცეთ?

მასწავლებელი მხჯღლობისათვის 5-7 წერთ გამოყოფს. მოსწავლები მხჯღლობენ, ფიქრობენ, კრთმანეთს უთანხმდებიან და აღგენენ ნაწერის ჩაბარების მიხადებს თარიღს.

ასეთი შეთანხმებული/ერთობლივი დაგეგმვა, „თამაშის წესების“ (სამუშაოს ტექნიკური ნაწილის, რეტინის, დისტრიბუტორის) ერთობლივად შერჩევა მოსწავლეებს სკოლის მშობლიურობის განცდას უძლიერებს. მათ ეძღვათ საშუალება, რომ გარკვეული გავლენა იქმნიონ სამუშაოს დაგეგმვასა და დინამიკაზე. სწორედ აქ გრძელდება ისინი, რომ მათი ხმა, ხედვა, პრიორიტეტები მნიშვნელოვანია.

დაღებითი სახწავლო ატმოსფეროს ჩამოყალიბებისათვის უაღრე-  
სად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები ჩავრთოთ სწავლის პროცე-  
სის ქონტროლის მექანიზმებში. ამიტომაც სასურველია, რომ მათ სწავ-  
ლის გარკვეული სტრატეგიები ისე გავაცნოთ, რომ დამოუკიდებლად  
შესძლონ მათი გამოყენება. გთავაზობთ შემდეგ სტრატეგიებს:

- სააზროვნო სტუდიი, ეწ. კოგნიტური დიაგნოსტიკი
- გონგიბრივი იქნიში
- ხიუმანური განვითარების/თანამიმდევრობის დაფინანსირების გეგმები

- საუბრები სასწავლო მიზნის გაცნობიერებისათვის
- ხტრატეგიები არსებული ცოდნის გასააქტიურებლად

ამგვარი ხტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეებს განუვითარდებათ დამოუკიდებლად სწავლის, დაგვამვის, პრიორიტეტების დასახვის და პასუხისმგებლობის უნარ-ჩვევების, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს მოტივაციას სასწავლო პროცესის მიმართ.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

მასწავლებელს კლასში შეაქვს სამეცნიერო ტექსტი.

- იმისათვის, რომ ამგვარი სამეცნიერო-ანალიტიკური ტექსტები უფრო ადვილად დამტკიცოთ და საკუთარი დამოკიდებულებაც განსაზღვროთ დასმული საკითხების მიმართ, გასწავლით ერთ ხტრატეგიას. ჯერ ტექსტი წაიკითხეთ, დაფიქრდით, შემდეგ ხელახლა მიუბრუნდით და ორი-სამი წინადადებით ჩამოწერეთ:

3 რამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო

2 რამ, რაზეც მეტი მინდა გავიგო

1 რამ, რასაც გავაკრიტიკებდი ან რაც ბუნდოვანი დარჩა

სასურველია, რომ პედაგოგმა ეს მოთხოვნები დაფაზეც დაწეროს.

აქვე ისიც აუცილებელია, რომ მან განუმარტოს (არა მხოლოდ ზეპირად, არამედ დაფაზე დაწერითაც) მოსწავლებს, თუ რა მიზანს ისახავს ამ ხტრატეგიით მუშაობა და რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ამ მიზნების მიღწევა.

რა მიზანს ისახავს მოცემული ხტრატეგია?

- ააქტიურებს ახლად ათვისებულ ინფორმაციას;
- აჯამებს მოსაზრებებს წაკითხული მასალის შესახებ;
- აძლიერებს მოტივაციას;
- ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევას;
- აყალიბებს მოსწავლეს აქტიურ მკითხველად;
- ავითარებს წერითი მეტყველების უნარ-ჩვევებს.

ხტრატეგიის არსის და დატვირთვის მიმოხილვის შემდეგ მასწავ-

**ლექციები ამბობს:**

- ამ სტრატეგიას ხშირად გამოვიყენებთ კლასში მუშაობის დროს. მე გირჩევდით, რომ საშინაო დავალების მომზადებისას თუკი დაც გამოიყენოთ იგი. ჩვენ კი ამ სტრატეგიას გამოვიყენებთ როგორც გუნდებში და წევიდებში, ასევე ინდივიდუალურად მუშაობის დროს. ამჯერად ინდივიდუალურად წავიკითხოთ ჩემ მიერ ჩამორიგებული ეს პატარა ტექსტი და რეკულში ჩამოვწეროთ პასუხები სამივე კითხვაზე.

შესაძლოა, სტრატეგიების ან სწავლის პრინციპების ახსნამ გაქვეთილის დიდი დრო წაიღის. ერთი შეხედვით, მასწავლებელს მასალის დაფარვა უნდა ეჩქარობოდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, მასალის დაფარვაზე ბევრად მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ რამდენად გაცნობიერებულად, ხარისხიანად და ენთუზიაზმით ჩაწვდება მოსწავლე დავალების არსება და მიზანს. ამიტომ გაკვეთილის დროის „დანახება“ სტრატეგიების სწავლებაზე მიზანშეწონილი არ არის. ამგვარ სამუშაოს მხოლოდ დასაწყის პერიოდში სჭირდება დიდი დრო, სანამ მასწავლებელი ხათოთაოდ კველა საჭირო სტრატეგიას გააცნობს მოსწავლეებს. მას შემდეგ კი, როცა მოსწავლეებს უკვე ექნებათ სტრატეგიათა გარკვეული მარაგი და დამოუკიდებლად შეძლებენ მათ გამოყენებას, დიდი დროის დაზოგვა გახდება შესაძლებელი. შემდეგ მასწავლებელი უბრალოდ მიუთითებს:

- ვმუშაობთ ამა და ამ თავზე... ვიყენებთ ამა და ამ სტრატეგიას.
- სახლში დავალებად გეძლევათ, რომ მოიფიქროთ ესა და ეს და გამოიყენოთ/შეავსოთ ესა და ეს სააზროვნო სქემა.

განხილული მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამგვარი მუშაობით მასწავლებელი მოსწავლეებს სწავლისა და სწავლების განხსხვავებულ სტილს, გარკვეულ მრავალგეროვნებას და არჩევანის საშუალებას სთავაზობს. ეს მაღალმოტივირებული სასწავლო ატმოსფეროს ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. სახალისო, საინტერესო, მრავალფეროვანი სასწავლო ატმოსფერო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია მოტივაციის ამაღლებისათვის.

*თქვენ უკვე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასაწყისში მოცემულ კველა შეკითხვაზე დაუბრუნდით კითხვებს და გაუკითხეთ.*



ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- უმნიშვნელოვანებია, რომ პედაგოგი სისტემატურად მუშაობდეს დადებითი სასწავლო ატმოსფეროს ჩამოყალიბებაზე. ამგვარი აქტივობების ჩატარებას პერმანენტული ხასიათი უნდა ჰქონდეს და არ უნდა დარჩეს წელიწადში რამდენჯერმე ჩატარებულ ცალკეულ შემთხვევად;
- სწავლების სტრატეგიების და სწავლის პრინციპების მოსწავლეთათვის ახსნას დიდი დრო უნდა დაეთმოს. მასწავლებელმა არ უნდა ჩათვალოს, რომ ეს სამუშაო მას დროს აკარგვინებს.



*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ :*

*რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეების წინაშე მაღალი მოთხოვნების დაყენება;*

*რა ხერხებს შეიძლება მიმართონ პედაგოგებმა, რომ მოსწავლეების წინაშე ადეკვატური მოთხოვნები დააყენონ;*

*მასწავლებლის საქმიანობის რომელ სფეროებზე ვრცელდება მაღალი მოთხოვნების დაყენების აუცილებლობა;*

*როგორ უნდა დაექმაროს პედაგოგი მოსწავლეებს, რომ მოთხოვნები მხოლოდ მოთხოვნებად არ დარჩეს და რეალობად იცეს.*

*განცანით ქვემოთ დასტურ შეკითხულს და დაფიქრდით პასუხებზე:*

1. რა სახის საკითხებთან დაკავშირებით უნდა დასახოს მასწავლებელმა მაღალი მოთხოვნები?
2. რას დაასახელებდით მაღალი მოთხოვნების ძირითად მახასიათებლებიდ?
3. რა თვალსაზრისით უწყობს ხელს მაღალი მოთხოვნების დასახვა მოტივაციის ამაღლებას?
4. მაღალი აკადემიური მოთხოვნების დაყენების დროს, სწავლების რომელ კომპონენტებზე გაამახვილებდით ყურადღებას?

განვიხილოთ მოთხოვნები, როგორც მოტივაციის ამაღლების ერთერთი საშუალება.

როგორც წესი, მასწავლებლების მოთხოვნები ითხ ძირითად

## საკითხები პრცესუალება:

- სამუშაოს რაოდენობა და ხარისხი;
  - სწავლის ხვევები და ამასთან დაკავშირებული პროცესები;
  - საკითხები;
  - ტექნიკურ-ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება;
  - ქცევის ხორმების დაცვა და ურთიერთობების რეგულირება.

თანამედროვე პედაგოგიკის თვალსაზინი წარმომადგენელი, ჯოხ საფაიარი ამბობს: „არაფერი განაპირობებს მოსწავლის ქმედებებს ისე ძლიერად, როგორც მისთვის მნიშვნელოვანი აღამიანის მკაფიო მოთხოვნები“ (საფაიარი და გაუგრი, 1997) როგორც წესი, მოსწავლისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღამიანი მისი მასწავლებელია. მასწავლებლის მოთხოვნები კი გაკვეთილის პროცესის დიდ ნაწილს წარმოადგენს. სასწავლო აღმოსავაროს აყალიბებს მოსწავლისა და მასწავლებლის დამთკიდებულება დასახული მოთხოვნების მიმართ. წარმოდგენილ ციტატაში ორი ყერადსალები მომენტი იკვეთება: პირველი არის სიტყვა „მაკაფიო“ – რაც გულისხმობს, რომ მასწავლებლის ყოველი მოთხოვნა უნდა იყოს ნათელი და მარტივი ხამოჭალიბებული. ციტატის მეორე საინტერესო ნაწილია ფრაზა – „მნიშვნელოვანი აღამიანი“. მასწავლებლები, ისევე როგორც მშობლები, მნიშვნელოვანი აღამიანები არიან ბავშვებისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ რაღაც გავლენას ახდენენ მათზე, რომ აღარავერი ვოჭვათ მოსწავლა-მასწავლებლის ურთიერთობის სხვა მნიშვნელოვან ასეულტებზე.

მოცემული ციტატა გულისხმობს ერთ მეტად სინგრეგის აზრს: მნიშვნელოვანი პიროვნების მიერ მკაფიო მოთხოვნების დაუკნების შემთხვევაში იგი იდებს იმას, რასაც ითხოვს! აქედან გამომდინარე, მასწავლებლის მოთხოვნების მკაფიოობასა და სიმძაფრეზეა დამკიდებული მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრება, ასევე მისი სოციალური უნარ-ჩვეულების გამოყლენის სიხშირე და ხარისხი. თუ მოთხოვნები მაღალი, ნათლად ჩამოყალიბებული და კონკრეტულია, მოსწავლე მაქსიმალურად იხარჯება და, პირიქით, დაბალი მოთხოვნების დახახვის შემთხვევაში, მოსწავლე ნაკლებად პროდუქტული, ინერტული და პასიური ხდება. ცხადია, ეს იმ შემთხვევას ეხება, როდესაც მასწავლებლის მიერ დასტული მოთხოვნები რეალისტურია და არაგადაჭარბებული, როცა ის მოსწავლეებს შეუძლებელს არ სთხოვს.

ამ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაციის სისტემატური შეხსენება მოხდა ნიადაგს უმზადებს მასწავლებლის მიერ დასახული მოთხოვნების მოყლი სერიოზულობით აღმისათვის:



- ჩემი მოთხოვნები მნიშვნელოვანია შენი წარმატებისთვის!
- შენ შეგიძლია მათი შესრულება!
- ვიცი, რომ შენ მათ აუცილებლად შეასრულებ!

მკაფიო, ნათელი და გასაგები მოთხოვნების დაყენების რამდენიმე ხერხი არსებობს:

1. მოსწავლეთა ყერადღების მობილიზების შემდეგ მოთხოვნის სიტყვიერად ხამოჭალიბება.

მასწავლებლის ინსტრუქციის მაგალითი:

„ყოველთვის გახსოვდეთ, არ დაგვიწყდეთ, რეგულარუც ჩაინიშნეთ, რომ გადაშლისთანავე გაგახსენდეთ, ხახაზავი და ფარგალი ყოველ გაუკეთიდან ზე დაუგირდებათ!“

2. საფეხურებად დანაწევრებული, თანმიმდევრული და დეტალური ინფორმაციის წერილობითი გზით გადაცემა.

მასწავლებლის ინსტრუქციის მაგალითი:

„ზე ჩამოვიწერეთ და ახლა დაგირივებოთ გეგმას, რის შემდეგ რა უნდა გააქციოთ პირველ ეტაპზე. ხამუშაოს შესრულებისას იხელდებანედელ ამ გეგმით, მასულით მას. ახლა კი წაიკითხეთ ეს გეგმა. თუ კითხვები გაგიჩნდებათ, ან რამე ბენდოვანი დარჩება, განვიძიროთ!“

მასწავლებლის მიერ შეთავაზებული გეგმის ნიმუში:

მოიძიეთ ინფორმაცია – პირველი საფეხური:

- |  |   |   |   |
|--|---|---|---|
| <p>1. დაბავირდი მოვლენას/ფაქტების</p> <p>2. შეგაროვე შენი და შენი ახლობლების პირადი გამოცდილება</p> <p>3. ჩაიწერე, ჩაინიშნე.</p> | <p>1. გათვალისწინებ შენი და შენი ახლობლების პირადი გამოცდილება</p> <p>2. ჩაინიშნე 2. ჩაინიშნე</p> | <p>1. გამოკითხე სხვა საკითხთან/ფაქტთან დაკავშირებით.</p> <p>2. ყერადღებით დაუგდე ყერი.</p> <p>3. ჩაინიშნე ყველაფრი, რაც ჯერ არ გმიენია, ახალია.</p> <p>4. დაუხვი კითხვები რესპონდენტს</p> | <p>1. მოიძიე წიგნი საკითხთან დაკავშირებით/წადი ბიბლიოთეკაში</p> <p>2. იპოვე ინფორმაცია ინტერნეტზე</p> <p>3. ნახე, რამე ფილმი ხომ არ არსებობს ამის შესახებ?</p> <p>4. დათვალიერე ქანიალი, ალბორმი.</p> |
|--|---|---|---|

3. მოთხოვთ ხშირ-ხშირად, ხისტერიზად გამეორება.

მასწავლებლის ინსტრუქციის მაგალითი:

„უკვედ თრშაბათს და ხუთშაბათს გაკვეთილს დაგიწევებით ურთის განცხადებით: მოხსელების კლასში სამუშაოდ რეკლამი უნდა შეწოდეს. რეკლამის დარჩენა საარტიო მიზეზი არ არის. თითოეულ სკოლას კლასში რეკლამი აუცილებლად სჭირდება. მე ჩაინიშნავ იმ შემთხვევებს, როცა მოხსელების რეკლამი არ უქმნება და ეს აუცილებლად ასხახდა ტრიმეტრულ შეფასებაზე.“

4. მასწავლებლის მიერ ინფორმაციის ენთუზიაზმითა და წამახალისებელი ფორმით მიწოდება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს.

მასწავლებლის ინსტრუქციის მაგალითი:

„ურთის სული მაქვე, როდის გვექნება პრეზენტაცია. ძალიან მაინ-ტერენებს, როგორ გაართვით ასეთ როგორ და საინტერესო საკითხებს თავი. ისე კარგად მუშაობთ, რომ დარწმუნებული ვარ, არამედულებრივ ხამრუბენტაციო თემებს მოამზადებთ.“

5. ინფორმაციის დემონსტრირების, მაგალითების ჩვენების გზით  
მოთხოვნის არსის დაკონკრეტები.

მასშიავლებლის ინსტრუქციის მაგალითი:

„იმისთვის, რომ უკუთხეად გაიგოთ ახენიდი ახალი მახალა, ერთ  
მაგალითს მე ამოვისხნით. თანმიმდევრობით გამოუყოფ უცველ ხაფჯე-  
ურს, რომ დაინახოთ ლოციკა, ერთ-ერთი გზა, რის მიხედვითაც უნდა  
ამოხსნათ დაკალებად მიღებული ამოცანები.“

6. მასშიავლებლის ხმის ტემპის, მოქმედებების და ქებტიკულაცი-  
ოს მეშვეობით მოთხოვნისათვის მომთხოვნი, შეუცალი ტონადობის  
მინიჭება და თავად პედაგოგის თანმიმდევრული დამოკიდებულების  
დაფიქსირება.

მასშიავლებლის ინსტრუქციის მაგალითი:

„მე უკვე მეორედ გავაფრთხილეთ. მაგრა, რომ ერთი გაფრთხილება  
ხავმარის უნდა იყოს. ვერ შევვაგი იმას, რომ მოხსეავლების  
დაგადაწყვეტა არ პქანდეთ ამა თუ იმ მიზების გამო. მეხამე გა-  
ფრთხილებას ხერიოთხული შედეგები მოუკვება და ეს უკვე თქვენი  
არჩევანი იქნება, ხაივლებთ თუ არ თავს მიძიე მღვრმარევაბაზა.“ გახ-  
სავლებელი აქ აძლიერებს თვალით კონტაქტს კონკრეტულ მოხსევ-  
ლებთან, მიმართავს უქსტიკულაციას (თავის მაღლა, აწევა, ხელით  
მანიპულირება, შევნებული პაუზების გაკეთება ფრანგებს შორის),  
რომელიც მის აუტორიტეტისა და შეუცალ პოზიციას გაუხვამს  
ხახს.

მოთხოვნებისა და მოლოდინების დაფიქსირების აღნიშნული  
ფორმები ხელს უწევთს დასახული მიზნების სრული სერიოზულო-  
ბითა და პასუხისმგებლობით აღქმას, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს  
მოსწავლეთა მობილიზების, ორგანიზებულობისა და მოტივაციის  
ხარისხს.

მასშიავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს მაღალი მოლო-  
დინისა და შესაბამისი აკადემიური მოსწრების მიღწევაში, თუკი  
აღმეგატურ და მძაფიო მოთხოვნებთან ერთად, იგი ფერადდებას კიდევ  
ოთხ ძირითად საკითხზე გაამახვილებს. ესენია:

- საჭირო დროის რაოდენობა

მოსწავლეებს უჭირთ იმათან შეგუება, რომ რამდენიმე საათის  
მუშაობა შეიძლება დასჭირდეთ საბოლოო პროდუქტის შექმნამდე.

მაგალითად, თხზულების დაწერამდე ან პროექტის მომზადებამდე მათ შეიძლება 7-8 საათი დასჭირდეთ დაგეგმვის, მასალის შეგროვების და გაანალიზებისათვის. ასეთ შემთხვევებში მასწავლებელმა არამატიც დროის საჭირო რაოდენობა უნდა მისცეს მოსწავლეების (მაგ. გაფრის დავალებები თრ-სამ დღეზე, გამოიყენოს მოსწავლე-მასწავლებლის ან მოსწავლეთა დამატებითი შეხვედრების შესაძლებლობა), არამედ უნდა გააცნობიერებინოს მათ (დისკუსიებით, მსჯელობით, საქმის საფეხურებად, ეტაპებად დაყოფით, ასხნა-განმარტებებით), რომ გარკვეული შედეგის მიღწევამდე დიდი მუშაობაა საჭირო. მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის იმის ასხნა, რომ ამ ტიპის მუშაობას უაღრესად დიდი დრო მიაქვს და სწორედ ამ პროცესში ისინი კვლეული მეტს სწავლობენ და პიროვნელი ოვალსაზრისით კვლეული მეტად ვოთარდებიან. თუმცა ამ ეტაპზე ისინი საბოლოო პროცესში არ ქმნიან და მხოლოდ კ. წ. „შავ სამუშაოს“ ასრულებენ, რომლის ნაწილიც შეიძლება არც კი გამოიყენონ ნაშრომის საბოლოო ვარიაციები.

- საკითხზე ფოკუსირება/უკრადდების კონცენტრაცია

სამუშაოზე ფოკუსირება ურთულები უნარია. ხშირად (მაღალ კლასებშიც) მოსწავლეებს უჭირთ ამ უნარის გამოყენება. აქ მასწავლებელი მოვალეა, მიმართოს ისეთ სტრატეგიებს, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს კურადღების კონცენტრირებაში. ამავე დროს, პედაგოგმა ისიც უნდა დაუშვას, რომ ადამიანებს სწავლის განხევეული სტილი შეიძლება ახასიათებდეთ. შესაბამისად, ზოგისთვის ფოკუსირების დროს მუხიკის მოსმენა შეიძლება სულაც არ იყოს ხელისშემძლელი ფაქტორი.

- შესაბამისი რესურსები/მასალა

მოსწავლეებს უამრავი ინფორმაციის მოძიება სჭირდებათ. მხოლოდ სახელმძღვანელო საქმარის რესურსსად არ შეიძლება ჩაითვალოს. დამხმარე მასალად ბევრი რამ შეიძლება გამოიყენოს: არასაპროგრამო დიდებულად, ინტერნეტი, მშობლისგან, ნათესავისგან, სპეციალისტისგან ან თუნდაც ამხანაგისგან მიღებული ინფორმაცია, საკუთარი დაკვირვებები და გამოცდილებები და სხვ. ამ საქმეში მათ მასწავლებელმა უნდა გაუწიოს გზამკლევის ფუნქცია. სწორედ მასწავლებელი უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც ასწავლის მოძიებს, როგორ მოახერხონ საჭირო ინფორმაციის მოძიება და შეგროვება, როგორ გამოიმუშაონ ეს უნარ-ჩვევა არა მხოლოდ ერთჯერადად, კონკრეტული პროექტისა თუ პრესენტაციისთვის, არამედ კოველ საჭირო შემთხვევასა და ნებისმიერ საგანში.

• სწავლის/სწავლების სტრატეგიები



მასწავლებელმა მოსწავლეებს, გარკვეულწილად, პედაგოგიურ ტლემ-მენტებიც უნდა ასწავლოს. თანამედროვე პედაგოგიური ლიტერატურა მიუთითებს იმაზე, რომ მოსწავლეები, რომლებმაც იციან სწავლების/ სწავლის სტრატეგიებით სარგებლობა და დამოუკიდებლად იხერხებენ მათ გამოყენებას, უფრო მაღალ აკადემიურ მოთხოვნებს პასუხობენ. ამიტომაც, პედაგოგმა მათ სწავლების სტრატეგიებით სწავლა უნდა ასწავლოს. მაგალითად: სტრატეგიები აქტიური კითხვისა და წერითი მეტყველების რედაქტირებისათვის, სტრატეგიები ფაქტებისა და მოვლენების ანალიზისა და შეჯამებისათვის და ა. შ.



**თქმებ შესაბამის შეცდით, იპოვოთ პასუხი ამ თავის დახასწყისში  
 მოცემულ კველი შეკითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაძიროთ  
 პასუხები.**

**ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:**

- მოთხოვნების დასახვის დროს აუცილებელია, რომ პედა-  
 გოგი თავად იყოს თანმიმდევრული და მოსწავლე ამას განუწყვეტლივ გრძნობდეს;
- მოთხოვნების დაყენებისას, უმჯობესია, პედაგოგი სხვა-  
 დასხვა ხერხით ვარირებდეს, რათა ყველა მოსწავლემდე თან-  
 აბრად მიაღწიოს მისმა გზავნილმა;
- ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ მაღალი მოთხოვნები  
 და მოლოდინი არ ნიშნავს გადაჭარბებულ, შეუსაბამო, ისაკო-  
 ბრივი ჯგუფისათვის არაადეკვატური მოთხოვნების დაყენებას.  
 არარეალისტური მოთხოვნები არათუ მოტივაციის ამაღლებას,  
 არამედ, პირიქით, სწავლაზე გულაცრუებას უფრო შეუწყობს  
 ხელს.

ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რას ნიშნავს დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლება;

როდის იდებს სასწავლო პროცესიდან მოსწავლე ყველაზე მეტ ცოდნასა და გამოცდილებას;

რატომ არის მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლება;

როგორ სწავლებას უნდა მიანიჭოთ უპირატესობა.

\*\*\*\*\*

„ყველას ერთ ადლზე ვერ გამოჭრი“ – ქართული ანდაზა.

მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი შესაძლებლობებით, ბიოგრაფიით, მზაობით, გახსნილობით, სწავლისა და აღქმის ტემპით, სწავლის სტილით, პრიორიტეტებით. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ აუცილებლობას წარმოადგენს სასწავლო პრაქტიკის მრავალფეროვნება, განსხვავებული ხერხების, მეთოდების, საშუალებების დანერგვა და მათი მონაცემლებით, სხვადასხვა ფორმითა და ნაირსახეობით გამოყენება.

აქედან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მოსწავლეთა სწავლის განსხვავებული სტილისა და შესაძლებლობებისა, აუცილებელი არაა, რომ თითოეულ მათგანს მხოლოდ „მასზე გამოჭრილი“ აქტივობა უნდა მივუსადაგოთ. უცილებელია თითოეული მოსწავლის ჩართვა მრავალფეროვან აქტივობებში და ეს მრავალფეროვნება მათ პედაგოგი უნდა შესათავაზოს. შესაძლოა ზოგი მოსწავლისათვის დამოუკიდებელი სწავლება იყოს ყველაზე ნაყოფიერი, ზოგს თანამშრომლობით სწავლა უფრო გადვილებოდეს, სხვისთვის კი კონკურენციის პირობები იყოს უფრო ეფექტუარი. აქედან გამომდინარე, ყველა მოსწავლესთან სწავლების სამივე სახის გამოყენებისას, მოსწავლეებს შეიძლება

გაუჭირდეთ გარევეული სიძნელეების დაძლევა, მაგრამ დროთა გან-  
მავლობაში უნარ-ჩვევები კოარდინატა, მათ მეტი შესაძლებლობები  
გამოუმუშავდებათ და ცოდნის მიღების პროცესიც ბევრად უფრო და  
მრავალფეროვანი გახდება.

კვლევები ადასტურებს, რომ მოსწავლე უველაზე უკეთ მაშინ  
სწავლობს, როდესაც იგი აქტიური და ქმედითია, და არა მაშინ, როდე-  
საც მხოლოდ აქტიურ და ქმედით მასწავლებელს უყერებს. ამ თვალ-  
საზრისით, სალექციო ტიპის გაკვეთილები და მასწავლებლის მიერ  
ახალი მასალის მოყოლით ახნანა ნაკლებად სახურველია.

მოსწავლეები სწავლობენ არამხოლოდ მასწავლებლისგან, არამედ  
სხვა საშუალებებითაც, მაგალითად:

- წიგნებით;
- თანაკლასელებითან ურთიერთობით;
- მშობლებთან ურთიერთობით;
- საუბრებით გარეშე პირებთან (არა მშობლებთან, კლასელებთან  
და მასწავლებელთან);
- დაკვირვებით, აუდიო/ვიდეო მასალით;
- ინტერნეტით;
- ტესტით/დავალებით;
- საკუთარი გამოცდილებით



თითოეული ეს ხაშუალება სწავლების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება გამოვიყენოთ. პედაგოგიური თვალსაზრისით კი, უაღრესად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ვიყენებთ მათ.

დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლების გზით მოსწავლეთა ინტერაქციის ორგანიზება, მათი მიზანმიმართული ვარირებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა განაპირობებს მოტივაციის ამაღლებას, ცოდნის ათვისების ეფექტიანობას და ხოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. ამასთან ერთად, სასწავლო პროცესის დაგეგმვაც უფრო მრავალფეროვნად, სახალისოდ, საინტერესოდ (ცოდნის ათვისების ხარისხი, კრიტიკულად გააზრება) და მრავლისმომცველად (უნარ-ჩვევების გამომუშავება, მეტი ინფორმაციის დაფარვა) შეიძლება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

### დამოუკიდებელი სწავლება

მასწავლებლის მიერ დასახული მიზნის მიხადვებად თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად მუშაობს, რაც იმას გულისხმობს, რომ ერთი მოსწავლის მიღწევა სრულებით არ არის დამოკიდებული სხვა მოსწავლეების წარმატება-წარუმატებლობაზე. მოსწავლეები კონკრეტული მიზნის მიღწევის პროცესში არ თანამშრომლობენ. ამ დროს ერთი მოსწავლის მიზნის არ არის დაკავშირებული თანაკლასებლის მიზანთან, სამუშაოს შემსრულებელი პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ თავთან და პედაგოგთან.

მასწავლებლის ინსტრუქციის მაგალითი / მათემატიკის გაკვეთოვი

„ თქვენ გეძლევთ 25 წეთი იმისათვის, რომ თითოეულმა მოსწავლემ დამოუკიდებლად ამოხსნას დაფაზე მოცემული 3 მაგალითი. თითოეული თქვენგანი დამოუკიდებლად შეფასდება.“ ასწავლებელი დასახულებს დროს, რომელსაც გამოყოფს ამ სამუშაოს შესრულებისათვის. მოსწავლეები სხვდან და მუშაობენ.

### კონკურენტული სწავლება

აქ მოსწავლე აცნობიერებს, რომ მასწავლებლის მიერ დასახულ მიზნს იგი წარმატებით მიაღწევს და გაიმარჯვებს მხოლოდდამხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი სხვა მოსწავლეებზე უპათ შეძლებს ამოცანის გადაჭრას და თუ სხვა მოსწავლეები მასთან კონკურენციაში

დამარცხედებიან, რაც ნიშნავს, რომ თითოეული მოსწავლე დაინტერესებულია სხვა მოსწავლეზე/კონკურენტზე უკეთ შეასრულოს დაგვალება. ასეთი მუშაობისას ერთის წარმატება მეორეს (თანაკლასელთან) წარმატება უმატებლობაშია, მისი წარმატების საფუძველი სამუშაოს სხვაზე უკეთესად და მასზე სწრაფად შესრულებაა, მას არ ადარღვებს თანაგუნდელის/თანაკლასელის ინტერესები და კონცენტრირებულია მხოლოდ საკუთარ თავზე.

**მასწავლებლის ინსტრუქციის მაგალითი / მათემატიკის გაკვეთილი:**

„ თქვენ გეძლევათ ზუსტად 20 წელი იმისათვის, რომ ამონებნათ დაფაზე მოცემული ამოცანა. უმაღლეს შეფასებას დაიმსახურებს ის, ვინც ყველაზე სწრაფად დაასრულებს სამუშაოს და, ამავდროულად, სწორ პასუხს მიიღის. ვინც პირველი დაასრულებს სამუშაოს, მანიშნოს ხელის აწევით!“

### **თანამშრომლობითი სწავლება**

თანამშრომლობითი სწავლების შემთხვევაში თითოეული მოსწავლე აცნობიერებს, რომ მასწავლებლის მიერ დასახული მიზნის მიღწევის ერთადერთი გზა თანაკლასელებთან თანამშრომლობაა. ერთის გამარჯვება ნიშნავს ყველას გამარჯვებას, რაც გულისხმობს გუნდური პასუხისმგებლობის გრძნობის გამძაფრებას და, ამავდროულად, ხელს უწყობს ნაკლებად სტრესული, უფრო ჯანსაღი, თანამშრომლობაზე ორიენტირებული სასწავლო აგრძოსფეროს ჩამოყალიბებას. აქ მოსწავლე აღწევს დასახულ მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი თანაგუნდელიც მასავით წარმატებულია, რადგანაც გუნდის/ჯგუფის წარმატება მისი თითოეული წევრის წარმატებას გულისხმობს. ჯგუფის წევრები არამხოლოდ უშუალოდ უკავშირდებიან ერთმანეთს, არამედ დამოკიდებულიც არიან ერთმანეთზე.

**მასწავლებლის ინსტრუქციის მაგალითი/მათემატიკის გაკვეთილი:**

„მე კლასს დავყოფ 3 – 4 კაციან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ეძლევა ზუსტად 20 წელი იმისათვის, რომ ამონებნას დაფაზე მოცემული ამოცანა. ყოველი ჯგუფი ჩამაბარებს დაახლოებით ორგვერდიან ნამუშევარს, რომელშიც ასახული იქნება გუნდის მიერ ამოცანის ამონებნის გზები და სწორი პასუხი. შეეცადეთ, იმუშაოთ ჰარმონიულად და მაქსიმალურად დაეხმაროთ ერთმანეთს! დააცადეთ ერთმანეთს აზრის ბოლომდე გამოხატვა. ხელადებით და დაუფიქრებლად ნუ გააკრიტიკეთ ერთმანეთის მოსაზრებებს. იმუშავეთ ისე, რომ თქვენმა ხმამაღალმა საუბარმა სხვა ჯგუფებს ხელი არ შეუშალოს.

გამგეთილის ბოლოს კი დაგირიგებთ პატარა კითხვარს, რომლის უკეთებასაც გუნდის თითოეულ წევრს ვთხოვ. ამთ მე მომუშავდა საჭარბე ალება, რომ შევაფასო თქვენი სამუშაოს წარმართვის უნარს მიუვარდი და თითოეული თქვენგანის მიერ სამუშაოს წარმატებით შესრულებაში შეტანილი წვლილი. შევსებულ კითხვარს და ნამუშევარს გაკვეთილის ბოლოს ერთად ჩამაბარებთ. იქმდე კი ჯგუფები მოკლედ წარმოგვიდგენ თავიათ მიღწევებს. ჯგუფში თავიდანვე გამოყავით ერთი წევრი, რომელიც პრეზენტატორის როლს შეასრულებს.“

კითხვარი გუნდის თითოეული წევრისათვის / ნიმუში

- 1 რა გააკეთეთ ან თქვით ისეთი, რაც თქვენს გუნდს დაეხმარა სამუშაოს შესრულებაში?

---

---

---

---

- 2 რამდენად ნაყოფიერად იმუშავა გუნდმა, როგორც ერთმა მთლიანობამ? რა იყო ამის მიზეზი?

---

---

---

---

**3** დააფიქსირეთ, იყო თუ არა რამე ხელისშემშლელი ფაქტორი, შემდგარი ჯგუფური მუშაობის დროს რას გააკეთებდით სხვანაირობები?



---

---


---

დამოუკიდებელი, კონკურენტები და თანამშრომლობითი სწავლების დანერგვა ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, რადგან, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ზოგისთვის დამოუკიდებლად მუშაობა უფრო კარგ შედეგს იძლევა, ზოგი საჯუთარ პოტენციალს კონკურენციის პირობებში უკეთესად ავლენს, სხვა თანამშრომლობისა და გუნდურობის შეგრძების დროს ვთარდება უვერაზე მეტად. მათი სისტემატური და მიზანმიმართული გამოყენება მასწავლებელს სასურველი შედეგის მიღწევაში დაეხმარება.

ისმის ბუნებრივი კითხვები: როგორი სწავლება უნდა გამოვიყენოთ უფრო ხშირად? რომელ მათგანს მივანიჭოთ უპირატესობა? აქვს თუ არა ამ მხრივ მნიშვნელობა ასაქობრივ ჯგუფს და ა.შ.

ამგვარ კითხვებზე ნათელი პასუხის გასაცემად მოვიხმობთ მეტაფორას. სწავლისა და სწავლების გამოცდილება, ანუ სწავლის პროცესში მოსწავლეებს შორის და მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის ჩამოყალიბებული საქმიანი ურთიერთდამოკიდებულების სტილი წარმოვიდგინოთ მხატვრის პალიტრად. მოცემულ შემთხვევაში პედაგოგი მხატვრის ფუნქციას შეასრულებს, რადგანაც სწორედ მის შეხედულებებსა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეაზარებს ფერებს. პედაგოგმა რომ კარგ შედეგს მიაღწიოს, სამივე სახის სწავლება უნდა გამოიყენოს, მოსწავლეებმა კი უველა ის უნარებები უნდა გამოიმუშაონ, რომელიც დაეხმარება მათ, რომ თავისუფლად გაართვან თავი განსხვავებული ტიპის სიტუაციებს.

სამივე სახის სწავლება სასწავლო პროცესის სხვადასხვა ტიპის მეოდებითა და აქტივობებით დატვირთვას გულისხმობს, როგორც კა: სიმულაციები და როლური თამაშები, პროექტები და ჰელუკებები, შეჯიბრებები, ვიზუალური მასალის გამოყენება, პრეზენტაციები, მეტაფორები და ანალოგიები, აქტივობები ცოდნის ორგანიზებისა და გამოყრებისათვის, სააზროვნო კითხვები, ჯგუფებში, წევილებსა და ტრიადებში მუშაობა, მეტაკოგნიციაზე მუშაობა და სხვ.



თქვენ უკვე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასაწყისში მოცემულ ყველა შეკითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაუცით პასუხები

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- პედაგოგი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ სწავლისა და სწავლების პროცესში მოსწავლე მაქსიმალურად აქტიური იყოს;
- მაქსიმალურ შედეგს სწავლების სხვადასხვა მიღების სიტუაციებისა და საჭიროებების მიხედვით გამოყენება იძლევა;
- ამ თავში განხილული სწავლების სამი სახე ძირულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი მათგანი თავისებურად ეფექტური და უნიკალურია და კლასში ყველა მათგანი უნდა გამოვიყენოთ.



ამ თავის წარითხების შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რატომ არის მნიშვნელოვანი სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება;

როგორ უნდა გამოიყენოთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისთვის განსაზღვრული აქტივობები სასწავლო პრაქტიკაში;

როგორ გავაუმჯობესოთ სწავლების პროცესი სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

- 1 რა სტრატეგიები გამოიყენება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დროს?
- 2 როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს ყურადღების კონცენტრირებასა და საკითხზე ფოკუსირებაში?
- 3 რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიციის განვითარება?
- 4 რა დახმარებას უწევს მოსწავლეს კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა?
- 5 რა მიზანს ისახავს სიმულაციების, პროექტებისა და პრეზენტაციების გამოყენება?
- 6 რითი განსხვავდება პრეზენტაცია გაკვეთილის მოყოლისაგან?

სწავლა რომ სახალისო, საინტერესო პროცესად და ნამდვილ ი-ტელეკომუნიკაციების გამოწვევად იქცეს, კედაგოგმა თავისი სწავლება სხვადასხვაგვარი სტრატეგიის გამოყენებით უნდა დატვირთოს. მიმღვიხლოთ ზოგიერთი მათგანი.

აქტივობები კურადღების კონცენტრირებისა და საკითხზე ფოკუსირებისათვის

თუკი მასწავლებლის მიზანია, რომ მაქსიმალურად მიიპყროს მოსწავლეების კურადღება და დააფიქროს ისინი ამ თუ იმ საკითხზე, მას სამისოდ გარკვეული სტრატეგიები დასჭირდება, რომლებიც:

- ხელს უწყობს მოსწავლეს კურადღების მობილიზებაში;
- ააქტიურებს მის წინა ცოდნას;
- ეხმარება მასალის მთლიანობაში გაძრებაში;
- უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას;
- უვითარებს კითხვის დასმის უნარ-ჩვევას;
- უწევებს, რა არის მნიშვნელოვანი მოცემულ მასალაში;
- მიუთითებს, რა ისწავლა მან ამ მასალის დამუშავებით;
- უმაღლებს მოტივაციას;
- უვითარებს წერილ უნარ-ჩვევებს.

იმდენად, რამდენადაც, ზოგიერთი სტრატეგიის მეშვეობით მასწავლებლი მოსწავლეს სტრუქტურას და საუკერძოეობრივ მიღებობას სთავაზობს, ისინი კურადღების კონცენტრირებასაც უწყობნ ხელს:

- სტრატეგია - ვიცი/ მინდა ვიცოდე/გავიგა
- კორენელის გრაფა
- კოგნიტური დიაგრამები/სააზროვნო სქემები და ა.შ.

## ნიმუშები:

სტრატეგია: კიცი - მინდა გავიგო - რა გავიგო

რას ითხოვს მასწავლებელი?

მასწავლებელი ავალებს თითოეულ მოსწავლეს, რომ ტექსტის წაკითხვამდე, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, შეაგსოს პირველი და მეორე გრაფა, ტექსტის წაკითხვის შემდეგ კი - მესამე.

კიცი	მინდა გავიგო	რა გავიგო

სტრატეგია: აქტიური კითხვა + კორნელის მეთოდი

რას ითხოვს მასწავლებელი?

მასწავლებლის პირველი მოთხოვნაა, რომ მოსწავლემ გადახედოს დასამუშავებელ მასალას. საკუთარ თავს დაუსვას შემდეგი კითხვა: რა კიცი მოცემული საკითხის შესახებ? შემდეგ კი ჩაინიშნოს ინფორმაცია, რაც ამ საკითხის შესახებ აქვს.

მასწავლებლის მეორე მოთხოვნაა, რომ მოსწავლემ წერილობით ჩამოაყალიბოს შესახრულებელი სამუშაოს მიზანი. გახვას პა-

სუხი შემდეგ კითხვებს: რატომ ვკითხულობ ამ ტექსტს? რისი სწავლისა და გაგების იმედი მაქს ტექსტის წაკითხვის შემდეგ?

მასწავლებლის მესამე მოთხოვნაა, რომ ტექსტის კითხვისას მოსწავლემ დასვას შემდეგი კითხვები: რა? ვინ? სად? როდის? როგორ? რატომ? და ამ კითხვების საფუძველზე მოაზრებული ინფორმაცია ჩაინიშნოს.

მასწავლებლის მეოთხე და საბოლოო მოთხოვნაა, რომ მოსწავლემ ხელისხმა წაიკითხოს თავისი შენიშვნები და კორნელის გრაფაში გაკეთებულ პირველად კომენტარებს დაურთოს მეორეული, უკვე ემოციური კომენტარები და შესწორებები და ამით შეავსოს კორნელის გრაფის მეორე ნაწილი.

ამ სტრატეგიის შესრულებას, როგორც წესი, მოხდევს მოსწავლეებს მორის აზრთა გაზიარება და ზოგადი საკლასო დისკუსია.

კორნელის გრაფი:

პირველადი კომენტარი

მეორადი კომენტარი

(ფაქტობრივი)

(ემოციური, კრიტიკული)

სტრატეგია: 3. 2. 1.  
რას ითხოვს მასწავლებელი?

მასწავლებელი ითხოვს, რომ მოსწავლეებმა ორი-სამი წინადაღებით ჩამოწერონ:

3 რამ, რამაც დამაინტერესა

2 რამ, რაზეც მეტი მინდა გავიგო

1 რამ, რასაც გავაკრიტიკებდი / რის შესახებაც დავწერ დავალებას

სტრატეგია: რა დამამახსოვრდება კლასის დატოვების შემდეგ  
რას ითხოვს მასწავლებელი?

მასწავლებელი გაკვეთილის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ურიგებს მოსწავლეებს ძვირე ზომის ფურცლებს და ავალებს მათ, რომ გააფორმონ იგი (დააწერონ თავიანთი სახელი და გვარი და ა.შ.), შემდეგ კი ერთი მომცრო აბზაცის მეშვეობით, მწყობრად და მართლწერის ნორმების დაცვით, ჩამოაყალიბონ თავიანთი აზრი, გამოხმაურება იმის შესახებ, თუ რა ასწავლა და გააგებინა მათ ამ კონკრეტულმა გაკვეთილმა, წაკითხულმა ტექსტებმა, ან ნანახმა ფილმმა. რა დამამახსოვრდებათ მას შემდეგ, როცა საკლასო ოთახს დატოვებენ.

**რა დამამახსოვრდება კლასის დატოვების შემდეგ**

სახელი და გვარი-----

კლასი-----

გაკვეთილის თემა-----

თარიღი-----

---



---



---



---



---

## აქტივობები ცოდნის გათავისებისა და მეტაკოგნიციის განვითარებისათვის

სამუშაოები, რომლებიც ამ ტიპის აქტივობებს ითვალისწინებს, ტრადიციული სწავლებისას თითქმის იგნორირებულია. მოსწავლეზე მორიენტირებული სწავლება კი ამგვარ მუშაობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

მეტაკოგნიცია საკუთარი მოქმედების, აზროვნების, მეცნიერების, აღქმის, ყურადღების თუ სწავლის შესახებ წარმოდგენის გულისხმობას. მოსწავლე ცდილობს, გაანალიზოს და გააცნობიეროს თავისი სასწავლო პროცესი, აკადემიური მოსწრება, სისუსტეები და ძლიერი მხარეები, თვითონ არეგულიროს სწავლის პროცესი, დასახოს ადგევატური პრიორიტეტები, დაგეგმოს და ორგანიზება გაუჰთოს თავის დროს, მუშაობის წესებს, სასწავლო გრაფიკს.

**ობ. I -**

**გვ. 119**

ეს ურთულები რამაა, ცხადია, მოსწავლეები თავიდან აუგარი სამუშაოების ჩატარებას დამოუკიდებლად, მასში ეს დახმარების გარეშე ვერ ჟემდლებენ, ადრამ ასიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უნარ-ჩვევა დღიურია განმავლობაში ვითარდება. პედაგოგმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მოსწავლეებმა არამხოლოდ ისწავლოს მასალა, არამედ გამოიმუშაოს თავიანთი სწავლის პროცესის მართვის უნარი. მოვიყვანთ ამ ტიპის აქტივობების რამდენიმე ნიმუშს.



## სიტუაცია 1

ლიზის ნაწერში ტავტოლოგიები აქვს. მასწავლებელმა მას დამატა  
ლა, რომ ამოწეროს ხშირად ნახმარი სიტყვები და ააგოს სინონიმთა  
სქემები სინონიმთა და განმარტებითი ლექსიკონების გამოყენებით.

ამ სამუშაოს შესრულებით ლიზი გააცნობიერებს, თუ რა პოპ-  
ლეგა აქვს ნაწერში და როგორ უნდა დაძლიოს იგი.

## სიტუაცია 2

სანდრო მშრომელი და ნათელი გონების ბავშვია, მაგრამ უჭირს  
დროის განაწილება. ამის გამო ხშირად პრობლემები ექმნება, ვერ ას-  
წრებს სამუშაოს შესრულებას, ამიტომ ბევრს ნერვიულობს და ვერ  
მუშაობს კარგად.

მასწავლებელი ავალებს მას, შეადგინოს მოცემულ კითხაში გასა-  
კეთებელი სამუშაოების ნუსხა, დააღიაგოს ისინი დღეების მიხედვით  
და თითოეულ დავალებას მიუწეროს, დაახლოებით რამდენი დრო  
დასჭირდება მის შესასრულებლად.

ასე სანდრო შეძლებს პრიორიტეტების დასახვას, საქმის დაგეგ-  
მარებას და დროის რაციონალურ განაწილებას.

## სააზროვნო სქემები ანუ კოგნიტური დიაგრამები

კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეებს გაკვეთილზე  
მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. მო-  
სწავლებს ხელთ ეძლევათ ტექსტის, იდეის, საკითხის კონტროლის  
მუქანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, ცნებისა და დეტალების  
ურთიერთმიმართების დადგენისა და ვიზუალურად დანახვაში დაეხ-  
მარებათ. კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეთა აქტივო-  
ბისა და დამოუკიდებლობის ზრდის კარგი საშუალებაა. სწავლების  
პროცესში კოგნიტური დიაგრამების გამოყენებამ მნიშვნელოვნად  
შეცვალა პედაგოგის როლი და ფუნქცია, გაუადვილა მასწავლებლების  
სტრუქტურირებული, საქმიანი გაკვეთილების დაგეგმვა, ხელთ მისცა

აკადემიური პროგრესის და უნარ-ჩვევების გამომუშავების კონტროლი-  
სა და შეფასების საქმაოდ მოქნილი ტექნიკა, სწავლებისა და სწავლის  
ლის პროცესი უფრო მრავალფეროვანი და შემოქმედებითი განვითარების  
კოგნიტური დიაგრამების საშუალებით მოხსავლა:

- ანაწერებს მოცემულ ინფორმაციას;
- ორგანიზებას უკეთებს ინფორმაციას;
- შეიცნობს მოელისა და დეტალების ურთიერთმიმართებას;
- ეწვევა კრიტიკულ აზროვნებას;
- სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას.


როდის და როგორ გამოიყენება კოგნიტური დიაგრამები:

- გამოიყენება როგორც ახალი მასალის გაცნობა-წარმოდ-  
გენისას, ასევე მასალის ათვისების შემდეგ შემაჯამებელი  
სამუშაოს ჩატარების დროს;
- გამოიყენება როგორც ტექსტის კითხვისა და დამუშავების,  
ასევე წერითი სამუშაოს დაწყების დროს;
- გამოიყენება როგორც საშინაო დავალების, ასევე საკლასო  
სამუშაოს ჩატარების დროს;
- გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში  
მუშაობის დროს.

### ნიმუშები:


## მოვლენათა ჯაჭვი

მოხსავლეებმა უნდა შეავსონ ეს სქემა და უნდა დააფიქსირონ მოვ-  
ლენების /ფაქტების ურთიერთკავშირი.



სქემა გონიერივი იერიშისთვის/იდეა, თემები, ქვეთემები, დეტალები, მოძიებავე საკითხები

მოხსენელებით სქემა უნდა შეაგსონ და ზოგადიდ უნდა მოიაზრონ საკითხი.



## მთავარი შეკითხვა



როდის?

რა?

ვინ?

(სათაური)

---

---

---

(მთავარი შეკითხვა)

---

---

---

სად?

(მთავარი პასუხი, ანუ თეზისი)

როგორ?

რატომ?

შედარება



მსგავსებები:




განსხვავებები:







მსგავსებები:

განსხვავებები:






საორგანიზაციო სქემა: წრეწირი






საორგანიზაციო სქემა: გადაჯაჭვული ცნებები





## საორგანიზაციო სქემა / დროის ცხრილი

სქემის შევსება დაეხმარება მოხწავლეებს ქრონოლოგიური  
დადგენასა და დანახვაში




პრობლემა


მიზანები



გადაჭრის გზები:



## მოვლენათა თანმიმდევრობა



ვიღაცას

უნდოდა

მაგრამ

ამიტომ

ჯოვილას

ძმის მკვლელის სისხლის აღება

ვერ იცნო დროულად და

სტუმრად მოსული ვედარ გაიმება

სახისკვდილოდ

ვიღაცას

უნდოდა

მაგრამ

ამიტომ

განმარტება

სინონიმი

სიტყვა, ან ტერმინი

ანტონიმი

ილუსტრაცია



# სიტყვების რუკა

საკუთარი გან-  
მარტება

სინონიმები

სიტყვა, ან ტერმინი

კონტექსტის მიხედვით მნიშვნელობა

იღუსტრაცია

პედაგოგმა მოსწავლეებს სააზროვნო სქემების მიზნებითაც უნდა აუხსნას და, ამასთანავე, მათი გამოყენებაც უნდა ასწავლოს, შესაძლებელია, მასწავლებელმა თავდაპირველად თავად შეავსოს რამდენიმე ნიმუში კლასის წინაშე იმის საილუსტრაციოდ, რე როგორ უნდა გამოიყენოს მოსწავლეებმა დიაგრამები. შემდეგ კი ნებისმიერი საკითხის თუ კონტექსტის მიმართ უნდა დაავალოს მათ სააზროვნო სქემებით მუშაობა. ღროთა განმავლობაში მოსწავლეები აითვისებენ ამ ხერხის გამოყენების ტექნიკას, თავადაც შეარჩევენ ადეკვატურ სააზროვნო სქემას და მეტიც, სურვილიც კი გაუჩნდებათ, რომ თვითონ შექმნან სქემა, რომელიც დავალების ტიპს კვლაბუ უკეთ მოერგება.

### მეტაფორები და ანალოგიები

მეტაფორებისა და ანალოგიების სწავლებაში გამოყენება ერთ-ერთი საშუალებაა საიმისოდ, რომ მოსწავლეებს თვალინათლივ და-ვანახოთ მსგავსება-განსხვავებები და ამგარად დავაკავშირებინოთ ახალი ინფორმაცია სხვა საგნებთან, ნაცნობ, ნასწავლ საკითხებსა და მოვლენებთან. მაგალითად:

1. ლიტერატურის მასწავლებელი ხსნის რითმას, მოყავს მაგალითები პოეზიიდან. აქ მას შეუძლია მოიყვანოს სიმეტრიის ანალოგია, რაც მოსწავლეებს მათემატიკაში აქვთ ნასწავლი;
2. ახევვ, შესაძლებელია, რომ მათემატიკის მასწავლებელმა, რომელიც ხსნის ალბათობას, გამოიყენოს მცენარეთა დამტკერვის ანალოგია ბოტანიკიდან.

ასეთი მიღება მოსწავლეებში ხელს უწყობს საკითხის ღრმა წვდომას და სამომავლოდ დამახსოვრებას. ამავდროულად, ამჟარებს დისციპლინათმორის (საგანთმორის) კავშირებს და სასწავლო პროგრამას მოსწავლეებს ერთ მთლიანობად მოააზრებინებს.

როლური თამაშები/სიმულაციები ერთ-ერთი ყველაზე შემოქმედებითი მეთოდია. იგი, როგორც წესი, დიდი მოწონებით სარგებლობს მოსწავლეებში და ენთუზიაზმით აღავსებს მათ. სიმულაციები ჯგუფური მუშაობის ფორმაა.

როლური თამაშების დროს მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, რომ აირჩიონ რომელიმე პერსონაჟი, ხიუკები, ხიტუაცია, ისტორიული ფიგურა, მწერალი ან მეცნიერი, გააიგივონ საკუთარი თავი მასთან, დადგან პატარა, დაახლოებით 8-10 წელიანი სცენა, რომელშიც გადმოსცემენ, როგორც ავტორის/წერაოს ძირითად შინაარსს, ასევე საკუთარ ინტერესებისას, დამოკიდებულებას ან შეფასებას. სიმულაციებში ინტერაქტურული შემოქმედებითი სვლები დასაშვები და მეტიც, მისასალმებელია.

სწავლების აღნიშნული ხერხი ხელს უწყობს: საკითხის ლრმა წვდომას, მის ემოციურ დონეზე გათავისებას, საკითხის არა მოკლე, არამედ ხანგრძლივი დროით დამახსოვრებას, ინფორმაციის შეფასებას და ორგანიზებას, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, სასწავლო პროცესში მაქსიმალურ ჩართვას და მოტივაციის ამაღლებას.

სიმულაციების ორგანიზება როლური არ არის. მთავრია, რომ მასწავლებელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გაითვალისწინოს: მან უნდა წაახალისოს მოსწავლეები იმპროვიზაციისთვის, შესაძლებელია, მოსთხოვოს მათ სცენარი ან სცენარის ტიპის მარტივი მონახაზი, როლური გადახაწილება, დადგმის დედაბის მარტივობა და წერილობით დაფიქსირება; შესაძლებელია მარტივი დეკორაციის, თვითნაკეთი რესურსების, კოსტიუმების ელემენტების მოთხოვნაც. უაღრესად საინტერესო იქნება, თუკი მოსწავლეები შემოქმედებითად გამოიყენებენ ტექნოლოგიურ საშუალებებსაც: კომპიუტერს, კიბერ/აუდიო საშუალებებს, დამზადებენ პოსტერებს და ა.შ. სასურველია, რომ მასწავლებელმა, მოსწავლეებმა ან დამსწრებებმა თითოეული როლური თამაშის შემდეგ ჯგუფს თავიანთი კონსტრუქციული კრიტიკა შესთავაზონ, შეაფასონ მათი შემოქმედება, აღნიშნონ სუსტი და ძლიერი მხარეები.

### სიტუაცია 3.

ქართულის მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, მომზადებინათ სიმულაცია ნ. ბარათაშვილის ხაწარმოებზე „ბეჭი ქართლისა.“

როლები: ერგებელი მეფქ მსაჯული სოლომონი, დარბაზის სხვა წევრები.

ერთ-ერთმა ჯვარმა სცენა ასე გაათავაშა:

დეპორაცია - არაგვის ნაირები თვითნაკეთი რესურსებით იყო გაფორმებული. ერგებელი მეფქ და სოლომონ მსაჯული საუბრობდნენ ბეჭის წიაღში.

„მსახიობებმა“ წარმოადგინეს ორი მხარის პოზიცია საქართველო-რუსეთის შეერთებასთან დაკავშირებით, რომელიც თავიანთ, პროზაულად დაწერილ ტექსტთან ერთად, ციტატებით იყო შეღამაზებული. შემდეგ ერთ-ერთმა მოსწავლემ გამოიტანა პოსტერი, გაფორმებული საქართველოს ულამაზესი ფოტოებით/ხედებით, რომელზეც ეწერა: 10 წლის შემდეგ...

გათავამშდა მომდევნო სცენა: რამდენიმე მოსწავლე დაწოქილი ზის, თავზე რუსული ჩინ-მედლებით გულდამშვენებული „გაცი“ ადგას, სახაზავით ხელში და დაჟუვირის: იმუშავეთ, იმუშავეთ!

დაწოქილები ყაფანებენ.

რუსის მოხელე კი უფრო ბრაზდება და უკირის: იშრომეთ, დდეს მე ვიძლევი ბრძანებებს, თქვენს ყაფანს რა აზრი აქვს! კიდევ ერთი ეპოლეტი უნდა დავიკიდო გულზე! მერე კი მიმდერეთ და ერთი თქვენებურად იცემვეთ კიდევ, მიყვარს ქართული ცეკვა-სიმღერა, მართობს და თან დვინის სმის ხასიათზეც მაყენებს! კარგი დვინო გაქვთ ქართველება.

ამგვარად, მოსწავლეებმა გაიაზრეს ტექსტში დასმული პრობლემა და თან თავიანთი დამოკიდებულება და შეფასება გამოხატეს საკითხების მიმართ. დააფიქსირეს, რომ საქართველო რუსეთის კოლონიად იქცა და ეს მათთვის დამამცირებელია.

### პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება და პროექტები

პრობლემაზე თრიენტირებული სწავლების არსი ისაა, რომ პედაგოგმა მოსწავლეებს დაანახოს საკითხი, პრობლემა, რომელიც მრავალგვარი მიღებითა და გზით შეიძლება გადაიჭრას, რომელზეც არ არსებობს ერთი სწორი ან არასწორი პასუხი, საჭიროებს ძიებას, ალტერნატივების დაშვებას და იდეების ჩამოყალიბება-განვითარებას. მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ხასიათი მასალა/ინფორმაცია და პრობლემის გადაჭრის მათეული ხედვა უნდა მიუსადაგონ რეალური

ცხოვრების მიზნებსა და მოთხოვნებს. ამგვარი საკითხები კვლევის ჩატარებას მოითხოვს, რაც აზროვნების ისეთ კომპლექსურ უნარებს უნდა ეფუძნებოდეს, როგორებიცაა: ანალიზი, სინთეზი, შედარწმუნება, ფასება, განსჯა.

პრობლემაზე თრიენტირებული სწავლებით მოსწავლეებს უკო-  
თარდებათ ის უნარ-ჩვევები, რომლებსაც მთელი ცხოვრების განმა-  
ვლობაში ყოველდღიურად გამოიყენებენ. ეს პრობლემის გადაჭრის,  
დროის განაწილების, საქმის დაგეგმარების და საკითხის შემოქ-  
მედებითი ხედვის უნარია. ამ ტიპის სწავლება რამდენიმე საფეხურს  
გულისხმობს. ესენია:

- პრობლემის გამოკვეთა და სიტყვიერი ფორმულირება;
- არსებული ინფორმაციის/გამოცდილების შეგროვება პრობლე-  
მასთან დაკავშირებით;
- პრობლემის გადაჭრის (შემოქმედებითი, არაორდინალური გად-  
აწყვეტის) გზების ძიება.

ცხადია, ასეთ როგორ ანალიზიკურ სამუშაოს მოსწავლე მარტო  
ვერ გაართმევს თავს. ამიტომ, როგორც წესი, ამ ტიპის მუშაობას  
საფუძვლად დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, მოწვევულ სტუმრებთან დი-  
ალოგი, ექსპერტებთან ინტერვიუები უდევს. სმირად მასწავლებელი  
თავად აწვდის ხოლმე მოსწავლეებს სავარაუდო, ასაკობრივი თვალ-  
საზრისით მიზანშეწონილ საკითხთა ნუსხას, საიდანაც მოსწავლეები  
თავად ირჩევენ მათვის საინტერესო და დაძლევად საკითხს. ასევე  
მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ამ საკითხთან დაკავშირებული  
ლიტერატურა და რესურსები შეაფასოს კითხვადობისა და სირთულის  
თვალსაზრისით და შესაბამისი რეკომენდაცია გაუწიოს მოსწავლეს.

პრობლემაზე თრიენტირებული სწავლებით მიღწეული შედე-  
გის წარმოზინება პროექტების მეშვეობით ხორციელდება. პროექ-  
ტი დიფერენცირებული სწავლების უმნიშვნელოვანების კომპონენტია:  
ამძაფრებს დამოუკიდებლობის, ზრდასრულობის განცდას, ავითარებს  
როგორც დამოუკიდებელი, ასევე გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს  
და, რაც ეველაზე მნიშვნელოვანია, ინფორმაციას, ნასწავლ მასალას  
უაღრესად სახალისო და ინტელექტუალურად დატვირთულ ცხოვრე-  
ბისეულ გამოცდილებად აქცევს.

პროექტის განხორციელების პროცესში მასწავლებელი მოსწავლეს  
რამდენიმე კრიტერიუმსა და ზუსტ მითითებას აძლევს, რითაც მო-  
სწავლებ უნდა იხელმძღვანელოს. დაგისახელოთ სხვადასხვა ტიპის  
პროექტის რამდენიმე მაგალითი:

№1

გეომეტრიის გაკვეთილზე მასწავლებელმა დაავალა მოსწავლეობა ჯგუფს, რომ მასწავლებლის მიერ მიწოდებული მასალებით ამზოორ ისეთი მაღალი კონსტრუქცია, რომელიც დამოუკიდებლად განერებას დავმისა შეძლებდა. ამავდროულად, დაგალების ნაწილს შეადგინდა მითითება, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს მუშაობის პროცესი საფეხურეობრივად უნდა აღვწერათ.

№2

ისტორიის მასწავლებელმა დაავალა მოსწავლეებს, რომ გაერკვიათ, რა განასხვავებს გმირს წარმატებული ლიდერისგან. მოეფანათ გმირის და ლიდერის მაგალითები.

№3

ბიოლოგიის მასწავლებელმა დაავალა მოსწავლეებს, რომ შეედგინათ დღის ჯანსაღი კვების რაციონი, გამოეყენებინათ კომპიუტერი და შეექმნათ სარეკლამო ბროშურა, რომლითაც პოპულარიზაციას გაუწევდნენ ჯანსაღ კვებას.

თქვენ უკვე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასაწყისში მოცემულ კველა შეცითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაუციოთ პასუხები.



## ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- განხილული სტრატეგიებით პედაგოგს შეუძლია, სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი და შედეგიანი გახადოს;
- რეკომენდებულია, რომ სანამ პედაგოგი, საკლასო აქტივობის სახით, რომელიმე სტრატეგიას გამოიყენებს, გააცნოს კოლეგებს გადაწყვეტილება და გაითვალისწინოს მათი აზრიც;
- უაღრესად მნიშვნელოვანია, პედაგოგმა გააცნობიერებინოს თავის მოსწავლეებს; რომ ამგვარი სტრატეგიებით მუშაობის მიზანი ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებაა, რომლებიც მათ მოელი მომავალი ცხოვრების მანილზე გამოადგებათ, ანუ პედაგოგმა თავის მოსწავლეებს ამით სწავლის პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა დაანახოს;
- სწავლების მრავალგვარი სტრატეგიით დატვირთვა უზრუნველყოფს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო პროცესს, ამასთან, ამცირებს დისციპლინურ პრობლემებს, რადგან ზრდის სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხს და მეტ აქტიურობას, ინიციატივასა და ქმედითობას მოითხოვს მოსწავლისგან.



## გაკვეთილის დაგეგმვა

ამ თავის წარითანის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

როგორ განსაზღვროთ გაკვეთილის სახავლო მიზნები;

როგორ დაგეგმოთ გაკვეთილი სასწავლო მიზნების შესაბამისად;

რა მნიშველოვანი ასპექტები უნდა გაითვალისწინოთ სასწავლო გეგმის შედგენისას;


როდის შეიძლება ჩაითვალოს გაკვეთილი ეფექტურად/ეფექტოად.

### სიტუაცია

ობ. გვ. 77

ერთ-ერთ კათედრის სხდომაზე მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, განეხილათ შედეგები, რომლებსაც მოსწავლეებმა ორი კვირის განმავლობაში მიაღწიეს. შეელა მასწავლებელმა მოიტანა ჩატარებული გაკვეთილების გეგმები. გაკვეთილის სასწავლო მიზნების ჩამონავალის ანალიზმა აჩვენა, რომ ძირითადად, მასწავლებლები მოსწავლეებისაგან მოითხოვდნენ თემის შესწავლას, სიტყვიერად და წერილობით გადმოცემას, გაგებას, დამახსოვრებას, ამოცანის ამოხსნას. ასევე გამოირკვა, რომ მასწავლებლები არ იყენებდნენ განმავითარებელი შეფასების ხერხებს, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ მასწავლებლები არ ითვალისწინებდნენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს მომდევნო გაკვეთილის დაგეგმვის დროს.

კათელის გამგემ სოხოვა მასწავლებლებს, დაეცავშირებინაფ  
გაპვეთილის მიზნები საგნის სასწავლო გეგმაში მოცემულ უმცდელ  
გებთან. სასწავლო გეგმის შედეგების განხილვამ მასწავლებლებს  
ნათლად უნდა, რომ მათ მიერ განსაზღვრული გაპვეთილის მიზნები  
ნაკლებად ემსახურებოდა სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგების  
მიღწევას.





ხშირად მასწავლებლები მექანიკურად მიჰყვებიან სახელმძღვანელოში ჩელოგზე აღწერილ გაცემილებს, რადგან მიაჩნიათ, რომ აკადემიური მეცნიერებები და საგეგმადა. ზედმეტი ძალის ხელშეკრულების და მათ გამოყენების დასაგეგმადა. ზედმეტი ძალის ხელშეკრულების არ ხქიდებათ. წარმატებულმა მასწავლებლებმა იციან, რომ არ არსებობს ორი ურთიარი კლასი და მოსწავლე. ავტორებს გაფქირდებათ ისეთი უნივერსალური წიგნების დაწერა, რომელებიც თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებს და საჭიროებებს გაითვალისწინებს. აქვთ ან გამომდინარეებ, მასწავლებლების მოვალეობაა, წიგნში მოცემული გაცემილები მოარცოს მოსწავლითა ხაჭირებებს და სასწავლო მიზნები წინა გაცემილების ანალიზზე დაფუძნებით განსახლვროს.

დაბგმვის დროს წარმატებული მასწავლებელი ფიქრობს, რა უნდა, ისწავლის მოსწავლეებიმა. მის სამაგიდო წიგნს სასწავლო გეგმა წარმოადგენს. სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგების გათვალისწინებით, მასწავლებლები აძლევს სასწავლო პროცესს მიმართებულებას და მართავს მას.

იმისათვის, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები უფრო ნათელი გახდეს, გავიხსენოთ, თუ როგორ სწავლობდნენ მოსწავლეები ძველი განათლების სისტემის მოთხოვნებით და რა სიახლეები შემოიწანა ეროვნულმა სასწავლო გეგმამ.

თუკი მანამდე მოთხოვნები ძირითადად მოიცავდა ფაქტების, მოვლენების ცხობასა და დასახელებას, მათ აღწერას, ტექნიკის ძირითადი ინფორმაციის გადმოცემას, ხაგნებისა და მოვლენების დახარისხება/დაჯგუფებას დაშ.


ახალი მოთხოვნები, გარდა ზემოთხამოთვლილისა, ითვალისწინებს მოვლენების მიზეზის ახესას; პროცესის კანონზომიერების გამოვლენას; მიზეზებას და შედეგებს შორის კავშირების დადგენას; პიპოტების წამოყენებას; კვლევის დაგეგმვას; შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას; პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების წამოყენებას; პრობლემის გადაჭრისათვის ხაჭირო მოქმედებების დაგეგმვას; ხაკუთარი პოზიციის არგუმენტირებულ დასაბუთებას; გარკვეულ კრიტერიუმებზე ან სტანდარტებზე დაყრდნობით დასკვნების გაცემებს; პოზიციისა და მისი კონტრარუმენტების განხილვის საფუძველზე დასკვნის გამოტანას; პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზიდან ერთ-ერთის არჩევის მართებულობის დასაბუთებას; მოვლის მოქმედების შეფასებას; მტკიცებულების მნიშვნელოვნების დაზუხულებას.

ჩამონათვალიდან ცხადია, რომ ახალი მოთხოვნები ძველს არ უარყოფს, მაგრამ იმდენად დიდია ახალი მოთხოვნების წილი, რომ ხნდება გაცემილის მიზნების ახლებურად გააზრების ხაჭირება.

რას წარმოადგენს გაკვეთილის სასწავლო მიზანი? გამამდინარე მიზანი გამომდინარებს სასწავლო განვითარების სახურავის მიზანი გვეთქმული გებიდან. სასწავლო მიზანში აისახება ის, თუ რას უნდა გვიცილობოს და რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა. რა გვეურს ვასწავლოთ და ისტავლოთ მოსწავლეებმა. გარდა სასწავლო გებიდან მოცემული შედეგებისა, მასწავლებლები სასწავლო მიზნებს შეიმუშავებს მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით.

მიზანი არ ასახეს პროცესს, ის განსახლევრის მოსალოდნებლ შედეგს ან, შეიძლება ვთქვათ, გაკვეთილის სასურველ დასახრულს. გაკვეთილის დაყვანების დროს მასწავლებლის პირველად ამოცანას წარმოადგენს რეალისტური მიზნების დასახვა, რომლის მიღწევა 45 წელშია შესაძლებელი.

მაგალითად, გაკვეთილის მიზანი შეიძლება ასე ქდერდეს: მოსწავლეებს აცოდინებათ, რა რიცხვში შევთანხმება შემასმენებლი მრავლობითში დასმულ ქვემდებარებს, შეეძლებათ გამოიცნონ არასწორი კონსტრუქციები და გაასწორონ შეცდომები.



## როგორი უნდა იყოს გარგი გაკვეთილის გეგმა



გაკვეთილის მიზანი უნდა აკონკრეტული და განვითარებული უნარ-ჩვევას მიიღებს მოსწავლე.

გაკვეთილის შეფასება მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს გაკვეთილის მიზანს. ეს არ უნდა იყოს უბრალოდ იმის აღწერა, მიაღწია თუ არა მასწავლებელმა მიზანს.

დაკონკრეტულია, თუ რა ცოდნა და უნარებია აუცილებელი მოსწავლისათვის, რომ გაკვეთილი წარმატებული იყოს. რა ინცორმაციას ფლობენ მოსწავლეები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით და რას შეისწავლიან ახალს. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები.

სასწავლო მასალები გაკვეთილის გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს უნდა უკავშირდებოდეს.

სწავლება განხაზღვრული მიზნის მისაღწევად უნდა იყოს ეფექტური. ეფექტურობა გულისხმობს უფრო მეტის მიღწვას ერთი და იმავე რესურსების გამოყენებით.

მოსწავლის აქტივობები, რომლებიც გაკვეთილის გეგმაშია გათვალისწინებული, ზუსტად უნდა შეესხაბამებოდეს და ემსახურებოდეს ბაკვეთილის მიზანს. აქტივობები იმისთვის არ უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მოსწავლეები, უბრალოდ, დაკავშოთ გაკვეთილზე.

გაკვეთილის გეგმაში უნდა გაითვალისწინოთ, როგორ დაიწყებთ გაკვეთილს, რომ მოსწავლეებს შეექნათ სათანადო განწყობა. შეძლება წინა მასალაზე დასხვათ კითხვები და იგი დაუკავშიროთ ახალ მასალას, ან მოკლედ უთხრათ მოსწავლეებს, რაზე ისაუბრებთ და დაუსხვათ ზოგადი კითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით. გაუწინოთ მოსწავლეებს განწყობა, რომ ეს საკითხი მნიშვნელოვანია.

უფრო მეტი კონკრეტიკისთვის გთავაზობთ გაკვეთილის გეგმის ერთ-ერთ ფორმატს. აქვე დავამატებთ, რომ მასწავლებლებს თვითონ შეაქვთ ცვლილებები ამ გეგმაში და ისეთ გეგმებს იყენებენ, რომელიც მათი სასწავლო პროცესისთვის უფრო მოსახურებელი და ეფექტურია.



## სასწავლო მიზნები

სასწავლო მიზნები გამოხატავენ იმის, რასაც სწავლის პროცესში მოიხდება. უნდა მივაღწიოთ, ანუ რა ცოდნა და უნარ-ჩვეულები უნდა შეიძინოს მოსწავლეებმა. შეგიძლიათ დაწეროთ, მე მინდა ჩემმა მოსწავლეებმა იკოდნენ, გაიგონ, აღწერონ, შეადარონ, შექმნან, გაანალიზონ, შეაფინონ, და ა.შ. მიზანი უნდა უკავაშირდებოდეს სასწავლო გეგმის შედეგებს. იგი

ქმნის საფუძველს, როგორც მოსწავლეების პროგრესის შემოწმებისათვის, ასევე მასწავლებლების თვითშეფასებისათვის. განსაზღვრავს მოსალოდნებლ სასწავლო შედეგებს.

## წინაპირობები

აღწერეთ რა უნდა იცოდეს და რისი გაქეთება უნდა შეეძლოს მოსწავლეს, რომ გაკვეთილი იყოს წარმატებული. კვლევები ადასტურებენ, რომ დაახლოებით 70 პროცენტი იმისა, რასაც მოსწავლე სწავლობს, დამოკიდებულია შესაბამის წინა ცოდნასა და უნარზე.

## გაკვეთილის მიმღინარეობა

როგორ იქნებოთ გაკვეთილს, როგორია გაკვეთილის მიმღინარეობა. რა აქტივობები გაძლიერდებია დაგამამილი. აქტივობების შერჩევისას დაფიქრდით, როგორ უნდა მიაღწიოთ დასახულ მიზანს. მიზნის მისაღწევად რას გააკვეთებთ თქვენ და რას გააკვეთებენ მოსწავლეები? მიზნის მისაღწევად დაგვითოდებათ ერთი თუ რამდენიმე აქტივობის ჩატარება? როგორი იქნება აქტივობების თანმიმდევრობა? როგორ დასრულებთ გაკვეთილს.

## მოსწავლეების ორგანიზება

როგორ მოვახდინოთ მოსწავლეების ორგანიზება და როგორ მიგუსადაგოთ ხამუშაო მათ შესაძლებლობებს? როგორ ვამუშავებთ მოსწავლეებს ინდივიდუალურად, წევილებში, ჯგუფებში თუ მთელ კლასთან ერთად?

## დროის განაწილება

როგორ გავანაწილოთ დრო გაკვეთილის სხვადასხვა

მონაცვეტებზე?

რომელ აქტივობას რამდენ წუთს დავუთმობთ?

## რესურსები

რა მჭირდება ისეთი, რაც დამექმარება სასწავლო პროცესის ეფექტინად წარსამართად?

რა ტიპის რესურსებს გამოვიყენებ?

სახელმძღვანელოს, უწრებალებს, ხტატიებს, სამუშაო ფურცლებს, ტელეფონმქნებს, ინტერნეტს და ა.შ.

## დამატებითი აქტივობები

რა დამატებით აქტივობებს მიმართავთ, რომ მოხარულებმა განამტკიციონ თავიანთი ცოდნა. ეს შეიძლება იქთხ ხაშინათ დაგალება, ან მომდევნო გავართოდისთვის დაგეგმილი მცირებენიანი აქტივობა ცოდნის გასამტკიცებლად.

### შეფასება

როგორ უნდა შევამოწმოთ ხასწავლო შედეგები?  
 რა მოქმედებების შეხრალება უნდა შეძლონ მოხარულებმა იმისთვის, რომ ვიცოდეთ, მივაღწიეთ თქმა მიზანს?

**თვითშეფასება (გაგეთილის დასრულების შემდეგ)**  
 რა იყო გაკვეთილზე კარგი, რისი გაუმჯობესება-ბაბა ხასურველი. ბააკეთეთ ანალიზი იმისა, თუ რა გურდათ (მიზანი) და რას მიაღწიეთ (შეფასების შედეგები).

მასწავლებლი გეგმავს გაკვეთილს და განსაზღვრავს, მისცემს თუ არა მოხარულებს არჩევანის ხაშუალებას. მაგალითად, აძლევს შესაძლებლობას, აირჩიონ 5 მოცანიდან ნებისმიერი ხაზი, ან რამდენიმე დასახელებული თემიდან დასაწერად აირჩიონ ერთი. როდესაც მოხარულებს აქვთ არჩევანის ხაშუალება, ისინი დაგალებას ასრულებენ ხალისით. არჩევანის ხაშუალება მოხარულებს ხატუთარ ძალებში რწმენას მატებს, ეხმარება მათ თავიანთი შესაძლებლობების შეფასებაში, ზრდის პასუხისმგებლობის გრძნობას. არჩევანი განაპირობებს მოტივაციას, პასუხისმგებლობის და ხწავლის სურვილს. თავისუფალი პიროვნების აღზრდა გამორიცხულია არჩევანის შესაძლებლობის გარეშე. როდესაც მოხარულე აკეთებს არჩევანს, ის ამით უკავშირდება მოქმედებაზე.

მეტად მნიშვნელოვანია, აქტივობების შესასრულებლად დადგინდებ დროის ლიმიტი. არის შემთხვევები, როდესაც მოხარულები მეტ დროს ხაჭირობენ დაგალების შესასრულებლად. მასწავლებლს შეუძლია, განსარდოს დრო, თუმცა, ხასურველია, მოხარულების ვახსავლით რეგლამენტის დაცვა.

გაგეთილის დაგეგმვისას მასწავლებლი ფიქრობს მოხარულების პროგრესის მონიტორინგზე. მასწავლებლმა იცის, რომ მონიტორინგი

ხაშუალების მიხედვს, დროულად გაიგოს, ხწორად ეხმით თუ მოხსავლებს აქტივობის არხი, აღწევენ თუ არა შესაბამის შემ გებს და ხომ არ არის ხატირო აქტივობაში რამე ცვლილების, ნა მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია, მივიღეს მოხსავლესთან გადამოწმოს, გახაგების თუ არა მისთვის დაგადება. შესაძლებელია, მასწავლებელს გაკვეთილის მიზნის მისაღწევად ორი ან რამდენიმე აქტივობა პრონდებ დაგვგმილი. ასეთ შემთხვევაში პირველი აქტივობის დასრულების შემდგა მასწავლებელი იკვლევს აქტივობის ეფექტობას და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის მომდევნო აქტივობაზე. უცილებელია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს კომენტარების გაკვთვის აეცილებლობა მოხსავლების მიერ შეხრულებული ხამუშაოებზე. მას შეუძლია, გააკვთოს კომენტარები მთელი კლასისთვის, ან შეიძლება მოხსავლებს ინდივიდუალურად მისცემ მითითებები, მომავალი ხამუშაობის გასაუმჯობესებლად. ჩატარებული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ პოზიტიური კომენტარები და წახალისება დადგებით გავლენას ახდენს მოხსავლის სწავლაზე. პოზიტიური კომენტარები ამაღლებს მოხსავლის თვითშეფასებას და რწმენას ხატუარ შეხაძლებლობებზე. გაკვეთილის დაგვგმვის დროს მასწავლებელი დეტალურად განიხილავს დაგვგმვის კომპონენტებს და იმ ასპექტებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ გაკვეთილის ჩატარებაზე.

მასწავლებლს დაგვგმილი გაკვეთილის ეფექტურობისა და ეფექტობაზის (ეფექტიანობა ხასეულებით შედეგის მიღწევას გულისხმობს, ევალერობა კი ერთი და იმავე რესურსების პირობებში მაქსიმალური შედეგის მიღწევას) განხაზღვრაში დაეხმარება ქვემოთ მოცემულ ხაკონებზე დაფიქტება:

- არის თუ არა შესაძლებელი ხასწავლი მიზნის მიღწევა 45 წევთში;
- შეესაბამება თუ არა გაკვეთილის ხასწავლი მიზნები მოხსავლების ხატიროებებს, მათ უნარებს, ცოდნას, გამოცვლილებას, შეხაძლებლობებს, ინტერესს და წინაშარ ჩატარებულ ხამუშაოებს;
- გაკვეთილის შინაარსი, შერჩევლი ხასწავლი მასალა და აქტივობები ემსახურება თუ არა მიზნის მიღწევას;
- ვიცი თუ არა, რა შედეგების მიღებას მოვალეობისაგან და როგორ ხავატარებ მოხსავლეთა პროგრესის მონიტორინგს იმისათვის, რომ დავრწმუნდე, შეესაბამება თუ არა გაკვეთილი მოხსავლით ხატიროებებს;
- რა ტიპის შეფასების ფორმებს გამოვიყენებ, განმსაზღვრელს თუ განმავითარებელს; რამდენად ხწორად მაქვს დაგვგმილი შეფასების პროცესი;
- მაქვს თუ არა ყველა აქტივობის ჩატარებებლად ხატირო ხაგან-

მანათლებლო რესურსები, შემოწმებული მაქვს თუ არა აღჭურვილობა, წინასწარ ჩატარებული მაქვს თუ არა ის ცდა, რომელსაც მოხსავა-  
ლები ჩატარებენ;

- ვარ თუ არა მზად დამატებითი აქტივობების ჩასატარებლად.

გაკვეთილის მიზნების განსაზღვრის 1ტრატეგიების გასაუმჯობესებლად გაეცანით ბლუმის ტაქსონომიას, რომელიც დაგეხმარებათ აზროვნების უნარის დონეების გააზრებაში. ბლუმის თეორიის მიხედვით, არსებობს აზროვნების ქვედა და ზედა დონეები. ქვედა დონეში მოიაზრება ცოდნა, გაგება და გამოყენება. ხოლო ზედა დონეში ანალიზი, სინთეზი და შეფასება. ვრცელად ბლუმის ტაქსონომიის შესახებ იხილეთ (მეოთხოდოვანიური სახელმძღვანელო „როგორ ვახსნავლოთ მოსწავლეებს აზროვნება,“ ან „განმარტებითი დექსიონი განათლების სპეციალისტებისთვის,“ თბილისი, 2007, ერთგული სახსავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის გამოცემა).

სასწავლო გეგმის შედეგნისას გაითვალისწინეთ, რომ გაკვეთილის მიზნები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეებზე როგორც ქვედა, ასევე ზედა დონის სააზროვნო უნარების განვითარებას.

კარგი სასწავლო გეგმა ჯერ კიდევ არ ნიშნავს წარმატებულ გაკვეთილს, თუმცა იგი წარმატებული გაკვეთილის ერთ-ერთი მთავრი წინაპირობაა.

### ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- სასწავლო პროცესის დაგეგმვა და გაკვეთილის სასწავლო მიზნების განსაზღვრა ორიენტირებულია საგნობრივ სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგების მიღწევაზე;
- გაკვეთილის მიზნის განსაზღვრის დროს მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეების ცოდნას, უნარ-ჩვევებს, გამოცდილებას, საჭიროებებს და ინტერესებს;
- გაკვეთილის მიზნები ემსახურება მოსწავლეებზე როგორც ქვედა, ასევე ზედა დონის სააზროვნო უნარების განვითარებას;

## შეფასება

ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლის შეფასება;

როგორ უნდა გამოიყენოთ შეფასების შედეგები;

როგორ უნდა დაუკავშიროთ ერთმანეთს შეფასება და ხწაგლების დაგეგმვა;

როდის უნდა გამოიყენოთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება;

როდის უნდა გამოიყენოთ მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება.

გაეცანით ქვემოთ დახმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

- 1 რა არის შეფასების ორი უმთავრესი მიზანი?
- 2 რა არის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები?
- 3 რა კონკრეტულ მიზნებს ისახავს მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება?
- 4 რას ნიშნავს განმავითარებელი შეფასება?



შეფასება ხწავლისა და ხწავლების პროცესის ერთ-ერთი მასში მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასება არის საგნის, მოვლენის ცენტრის შესაბამისობის განხაზღვრა წინასწარ დადგენილ უმეტესობაში. შეფასების საშუალებით, მასწავლებელი აღგენს მოსწავლეთა მიღწევების შესაბამისობას სახწავლით გეგმითა და საგნითმოვა ხწანდარტებით განხაზღვრელ მოთხოვნებთან.

შეფასება მასწავლებელს აძლევს ინფორმაციას მოხწავლების წინავლის, მიღწევების და პრობლემების შესახებ, ანუ იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად ხწავლობენ მოხწავლეები. მეორე მხრივ, შეფასება მასწავლებელს აძლევს ინფორმაციას იმის შესახებაც, თუ რამდენად კარგად ასწავლის თვითონ მასწავლებელი და რამდენად შედეგიანია ის მეთოდიკა, რომელსაც იყი იქცებს. აქედან გამომდინარეობს შეფასების ორი უმთავრესი მიზანი:

1. მოხწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მოხწავლის ხწავლის ხელშეწყობა.

2. ხწავლების კონკრეტული მეთოდიკის და ხანის გადა პროგრამების გვაძებიანობის შემოწმება და ხრულებითა. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ რა კონკრეტულ მიზანს ისახავს მოხწავლის შეფასება, ასევე ის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ინფორმაცია, რომელსაც მოხწავლის შეფასების შედეგად იღებს.

ხწავლების დაგეგმვისა და განხილვის შეფასებას მნიშვნელოვანი აღგილით უჭირავს. მასწავლებების უნდა იცოდეს, თუ რა, როდის, რატომ და როგორ უნდა შეაფასოს. მასწავლებელი, პირველ რიგში, გვგმავს, თუ რა შედეგს (ან შედეგებს) სურს, რომ მიღწეული; შემდეგ გვგმავს, თუ როგორ შეაფასოს, აღწევს თუ არა იყი ამ შედეგს და ბოლოს, განხაზღვრავს იმ საშუალებებს, რომლითაც იყი ამ შედეგის მიღწევას შეეცდება. აქედან გამომდინარე, შეფასების როლი უმნიშვნელოვანებია სწორედ იმიტომ, რომ მისი საშუალებით მასწავლებელი განხაზღვრავს და აღგენს იმ საშუალებებს, რითაც მან სახურველ შედეგებს უნდა მიაღწიოს.

ქვემოთ აღწერილ სიტუაციაში ნაჩვენებია, თუ რა მნიშვნელობა აქს შეფასებას მასწავლებლის მიერ დაგეგმილი ერთი კონკრეტული მიზანის მიღწევაში და რამდენად მნიშვნელოვანია შეფასების როლი, ზოგადად, ხწავლების დაგეგმვის პროცესში.



## სიტუაცია

მე -7 კლასის ქართული ენის მასწავლებელს არ მოხვდის, როგორ მეტყველებენ მისი მოხსავლები. ამა თუ იმ ნაკირთხების მსჯელის ისინი ხშირად აკეთებენ დიდ პატჩებს, უჭირთ არგვმენტაცია, არ ახრულებენ წინადაღებებს, არასწორად სვამებს მასვილებს, იუნიტებენ არასწორ ბეჭრებს და ა.შ. მასწავლებელი მოზნად ისახავს, რომ მოხსავლების მეტყველების უნარი განუვითაროს. მან იცის, რომ შეძლები მიღწეული იქნება იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული პერიოდის შემდგა მოხსავლები ზემოთ ჩამოთვლილ ნაკლოვანებებს დაძლევებს და კარგად იმეტყველებენ.

მასწავლებელი აღდგენს იმ კრიტერიუმებს, როთაც მისაღწვი შედგების გაზიარებას შეძლებს. ეს კრიტერიუმებია: მოხსავლე მეტყველებს გაძმულად, დიდი პატუხების გარეშე; მოყავს არგუმენტები; იუნიტები ხერუქებულად გაძართულ წინადაღებებს; ხეროვნულ სვამს მახვილებს; ბეჭრები ხეფთაა.

მასწავლებელი ამ კრიტერიუმებს სქემის სახით აყალიბებს და თოთვევლ მათგანს სამ ხარისხიან (ყოველთვის, ზოგჯერ, არასოდეს) შევასტებას აძლევს. ამით იგი ქმნის მისაღწვი შედგენის შეფასების ინსტრუმენტს - შევასტების სქემას - რომლის ერთი ნაწილი ასე გამოიყერება:

	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
მეტყველებს გაძმულად			
მოყავს არგუმენტები			
ხეროვნულ სვამს მახვილებს			



ამის შემდეგ, მასწავლებელი განსაზღვრავს იმ საშუალებებს რომ ლითაც იგი შედეგის მიღწევას შეეცდება. ამაში მას შეასრულებს სქემა და მასში გათვალისწინებული კრიტერიუმები ეხმარება. იგი აეგძვს, რომ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა, მაგ. როლური თამაშები და ზეპირი პრეზენტაციები. მასწავლებელი ცდილობს, რომ როლური თამაშების და ზეპირი პრეზენტაციების თემატიკა სასწავლო გეგმას მოუსადაგოს.

### **ob. გვ. 98**

იგი მოსწავლეების მეტყველებას პერიოდულად სქემის მიხედვით აფასებს. იმავე სქემას ურთიერთშეფასებისთვის და ოფიციალური იყენებენ. შეფასების შედეგების შესამაბამისად, მასწავლებელი გეგმავს სწავლების შემდომ ეტაპს.

აუცილებელია ვიცოდეთ და დავიცვათ შეფასების ძირითადი პრინციპები. ეს პრინციპებია: სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

შეფასება სანდოა იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების შედეგები იდენტურია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ, სად ან როდის აფასებს მოსწავლის მიერ ერთი და იმავე საკითხის ცოდნას. მაგ. შეფასება სანდო იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა. სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს.

ბ. ერთი მასწავლებელი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს.

შეფასების სანდოობას უზრუნველყოფს მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკითხები და დავალების ინსტრუქციები, ზუსტად განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და გამსწორებლის კვალიფიკაცია.

შეფასება ვალიდური, ანუ მიზანთან შესაბამისია, როდესაც მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად. მაგალითად, თუ შეფასების მიზანია კომუნიკაციის დროს კონკრეტული ლექსიკური ერთეულების გამოყენების უნარის შემოწმება, ხოლო დავალება მიმართულია გრამატიკის შეფასებაზე, მაშინ ამ დავალებით თავდაპირველ უნარს ვერ გაგზომავთ და შეფასებაც არავალიდური, ანუ მიზანთან შეუსაბამო იქნება.



შეფასება თბილქმრია იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების შედეგები არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებების მის პიროვნეულ სურვილებზე ან დამოკიდებულებებზე. ამისას უნდა ყოველი აუცილებელია, რომ შეფასების კრიტერიუმები და სქემები იძლევანად მკაფიო და ცალსახა იქნება, რომ სუბიექტური გადაწყვეტილებებისთვის აღგილი არ რჩებოდება.

შეფასება გამჭვირვალე ანუ ლიაა იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების შექანიზმები და კრიტერიუმები ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისთვის, პირველ რიგში კი მოსწავლეებისთვის. შესაძლებელია, რომ მოსწავლეები თავადაც იდებდნენ მონაწილეობას შეფასების კრიტერიუმების დადგენაში და შეფასების სქემების შემუშავებაში. ამით მათ საკუთარი ცოდნის შეფასების მიმართ სამართლიანობის გრძნობა უყალიბდებათ, შეფასების პროცესი კი გამჭვირვალობას იძენს.

## რას ნიშნავს შეფასების კრიტერიუმები?

კრიტერიუმი არის პრინციპი ან ნაშან-თვისება, რომელის მიხედვითაც რაიმეს აფასებენ და/ან განსაზღვრავენ. სასკოლო შეფასების კრიტერიუმები იქნება, ერთი მხრივ, სანდოება, ვალიდურობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა და, მეორე მხრივ, ის საშუალებები და ინსტრუმენტები, როთაც ხდება შეფასება, მაგა : შეფასების ცხრილები, საკითხებზე ქველების მინიჭება, დროის ლიმიტი და სხვა. შეფასების ხარისხიანობა სწორედ ამ კრიტერიუმების საშუალებით განისაზღვრება და იზომება.

## განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

მოსწავლის შეფასება სხვადასხვა მიზანს ემსახურება. შესაბამისად, არსებობს შეფასების სხვადასხვა, კონკრეტული მიზნის შესაბამისი ფორმა. შეფასების ორი უმნიშვნელოვანები ფორმა, რომელიც სწავლისა და სწავლების განვითარებისა და სისტემურ ნაწილს წარმოადგენს, არის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა იცოდეს, თუ როდის და რა კონკრეტული მიზნისთვის უნდა გამოიყენოს შეფასების ერთი ან მეორე ფორმა.

განმავითარებელი შეფასების მიზანია, რომ დაეხმაროს მოსწავლეს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციის თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. განმავითარებელი შეფასების დროს მოსწავლე მასწავლებლისგან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით გაკეთებული კომენტარების დახმარებით, მუშავი.

ვად იდებს იხეთ ინფორმაციას, რომელიც მას განვითარებაში და საკუთარი სწავლის გაცნობიერებაში ქმარება. ასევე განმავითარებელი შეფასების მიზანია, რომ მასში აღლებელმა, მოსწავლების სისტემის მიხმარებისა და ხიდლიერების გათვალისწინებით, უკრ დაგმორის სასწავლო პროცესი და უფრო ეფექტური განხაზევით სწავლების ტემპი, რაც ხაბოლოდ იხევ მოსწავლების განვითარების გენერაციას მიმართებდი.

განმავითარებელი შეფასების ტიპები ფირმებია ზეპირი და წერილობითი კომენტარები, რომლებიც ტრიმესტრის განმავლობაში, ან სულაც ტრიმესტრის ბოლოს კეთდება. კომენტარები ძლიერს მოსწავლის (და მისი ხამტვრების) ძლიერ და სუსტ მხარეებს და, ამავდროულად, შეიცავს რეკომენდაციებს სწავლის გაუმჯობესების შესახებ. განმავითარებელი შეფასების გაფრცელებული ხერხებია შეფასებისა და თვითშეფასების ცხრილების გამოყენება.

განმავითარებელი შეფასება მოსწავლის განვითარებაზე და სწავლების თრიქტირებული. ძელდან გამომდინარე, ასეთი ხახის შეფასებისას არ არის ხავალდებული, რომ მასში აღლებელმა მოსწავლეებს ქმნა დაუწეროს.

განმსაზღვრელი შეფასების მიზანია მოსწავლეთა მიღწევების ლონის განსაზღვრა ხასტატობით გეგმასთან და ხასტატო მიზანებით. განმსაზღვრელი შეფასება, ფაქტობრივად, არის ქულარომელსაც მასშავლებელი უწერს მოსწავლეს კონკრეტული თემის ან ხაკოტხის დახრულების შემდგენ ტრიმესტრის განმავლობაში ან ტრიმესტრის/წლის ბოლოს. განმსაზღვრელი შეფასების მიზნით, მ. 1. წარმოდგენილი იყენებს ხევადახსევა „შემაჯამებელ“ აქტივობებს, მაგ. პრეზენტაციას, პროექტის განხილვას, ტესტს, ხაკოტბროლო წერას და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასება შედეგზეა თრიქტირებული. მისი ძირითადი დანიშნულება სწავლისა და სწავლების შედეგების შემოწმება-შეფასებაა. აქედან გამომდინარე, ქულის დაწერა განმსაზღვრელი შეფასების ხავალდებულო მოთხოვნაა. ქულის ხახით მიკვემდი განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლის მიღწევების დონის განმსაზღვრელია და მას არ ახლავს კომენტარები ან რეკომენდაციები შედების გაუმჯობესების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ მასში აღლებელი ხისტემატურად იყენებდეს როიგეს: განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. ამავე დროს, ხასურველია, განმავითარებელი შეფასების წილი უფრო მეტი იყოს, ვიდრე განმსაზღვრელის.

როგორც ითქვა, განმსაზღვრელი შეფასება შედეგზე, ანუ ნიშანზეა

ორიენტირებული, ხოლო განმავითარებელი შეფასება – მოსწავლის განვითარებაზე და შედეგების გაუმჯობესებაზე. ამ ორივე მიზნის მისაღწევად მასწავლებელი სისტემატიკურად იქნებს შეფასების მიმართ როგორიცაა მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება. მინარე შეფასება რაიმე თემის შესწავლის ან მიზნის მისაღწევი პროცესის მიმდინარეობისას მიღწევების შეფასებაა. ასეთია, მაგალითად, საშინაო დავალებების, პროექტის ერთი რომელიმე ეტაპის, ან სესიას, გაკვეთილზე ხართულობის შეფასება.

მიმდინარე შეფასება, მირითადად, ტრიმეტრის განმავლობაში გაკვეთილის დროს ხდება. მისებან განსხვავებით, შემაჯამებელი შეფასება აჯამებს მოსწავლის ცოდნის რამე დიდი თემის ან პროექტის დასრულების შემდეგ. იგი გარკვეული დროს მონაცვეთის ბოლოს (მაგ. ტრიმეტრის ან წლის ბოლოს) გამოყენებული შეფასებაა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომელიც ეროვნული სახსრავლი გამგებილა არის აღებული, ამ თაო სახის შეფასების (განმსაზღვრული/ განმავითარებული და მიმდინარეული/შემაჯამებელი) ურთიერთკავშირს აჩვენებს:

### შეფასების ტიპები და მათი გამოყენება დროის მიხედვით

	განმსაზღვრული	განმსაზღვრელი
მიმდინარე	ერთგლდლიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ხართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვ. რომელიმე ნიშანი იწერება	ჟოვლდლიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ხართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვ. რომელიმე ვასხის მოსწავლება, როგორ გაუმჯობესოს შედეგი.
შემაჯამებელი	რაიმე თემის, დროის მონაცვეთის, პროექტის ბოლოს მიღწეული ხიტყვიერი შეფასება, კომენტარი, რეპრიკით შეფასება და სხვ.	რაიმე თემის, დროის მონაცვეთის, პროექტის ბოლოს მიღწეული ხიტყვიერი შეფასება, კომენტარი, რეპრიკით შეფასება და სხვ.

**თქვენ უკვე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხისმას დასაწესებელი დახმარებელი კულტურული მუზეუმის მემკონიანებაზე დაუძირებლივ კითხვების და გამოცილების გამოყენების მიზანით პასუხისმას.**

**ძირითადი რჩევები და რეკომენდაციები:**

- გახსოვდეთ, რომ შეფასების ძირითადი პრინციპებია: სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა;
- სწავლების პროცესში გამოიყენეთ შეფასების ორი ფორმა: განმავითარებელი და განმსაზღვრელი;
- განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში თქვენ ეხმარებით მოსწავლეს განვითარებაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციების თუ პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავების საშუალებით. განმავითარებელი შეფასების დროს ქულის დაწერა არ არის აუცილებელი;
- განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენეთ მაშინ, როდესაც მიზნად ისახავთ მოსწავლის მიღწევების დონის განსაზღვრას სასწავლო გეგმასთან და სასწავლო მიზნებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების დროს მოსწავლეს აუცილებელად დაუწერა.

## შეფასების მეთოდები

### ტესტირება

ამ თავის წარმომადგენ შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რა მეთოდებით შეიძლება შეაფასოთ მოსწავლის ცოდნა;

რა მოთხოვნები უნდა გაითვალისწინოთ ტესტის შედგენისას;

რა სახის ტესტური შეკითხვები შეგიძლიათ შეაღებინოთ;

როგორ უნდა გამოიყენოთ ტესტირების შედეგები სასწავლო მიზნებისთვის.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. რა მოთხოვნებს უნდა აქმაყოფილებდეს ტესტი?
2. რა მიზნებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ტესტი?
3. რომელია ტესტური შეკითხვების ორი ძირითადი ტიპი?
4. რა განსხვავებაა დია და დახურულ შეკითხვებს შორის?

მასწავლებელი მოსწავლეების ცოდნის და მათი უნარ-ჩვევების შესაფასებლად სხვადასხვა საშუალებას, მეთოდს იყენებს. ეს მეთოდებია

- ტესტირება
- მასწავლებლის დაკვირვება
- მოსწავლის თვითშეფასება
- თანატოლთა შეფასება
- კომენტარი (გამოხმაურება)

შეფასების ყველა ამ მეთოდს საერთო მიზანი აქვს – მათგანს საჭიროა ალებით გროვდება ინფორმაცია მოსწავლეების წარმატებისას მათი პრობლემების შესახებ და, აქედან გამომდინარე, იგეგმება სწავლების შემდგომი ეტაპი. მეორე მხრივ, განსხვავებულია ცალკეული შეფასების მეთოდის როგორც ფორმა, ისე მნიშვნელობა და კონკრეტული მიზანი. განვიხილოთ შეფასების მეთოდები ცალ-ცაბლება:

### ტესტირება

ტესტი მოსწავლის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ტესტის დახმარებით შეგვიძლია გავიგოთ, თუ რა და როგორ ისტავდეს მოსწავლეებმა, ასევე ის, თუ რა უნარ-ჩვევები განუვითარდათ მათ. მიუხედავად იმისა, თუ რა სახისაა ტესტი და რა მიზნისთვისაა შექმნილი. იგი რამდენიმე აუცილებელ მოთხოვნას უნდა აქმაყოფილებდეს. ეს მოთხოვნებია:

ის. გვ. 73

- ტესტი უნდა იყოს ვალიდური და სახდო ინსტრუქციები და საკითხები ისე მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ სწორედ იმ ცოდნას ზომავდეს, რის გაზომვასაც ეს კონკრეტული ტესტი ისახავს, შეფასების შედეგები კი ყველა შემთხვევაში იდენტურ შედეგს უნდა იძლეოდეს;

ის. გვ. 98

- ტესტი უნდა იყოს გაზომვადი. ტესტის შედეგები უნდა ფასდებოდეს წინასწარ შემუშავებული პასუხებით ან შეფასების სქემით. წინასწარ უნდა იყოს ასევე დაღგენილი ქულების რაოდენობა სწორი პასუხისთვის; შეფასების მექანიზმი უნდა იყოს მკაფიო და ცალსახა; იგი ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს;

- ტესტი განსაზღვრულ დროის დიმიტურ უნდა იყოს გათვლილი. დროის ფაქტორის გათვალისწინება და იმის ცოდნა, რომ მნიშვნელოვანია არაშეოლოდ ტესტის შესრულება, არამედ ისიც, რომ გამოყოფილ დროში ჩაეტიო, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც დროის უფრო ეფექტიანად გამოყენებას აჩვევს;



- ტესტი უნდა იყოს გამჭვირვალე. მოსწავლეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, თუ რა ფორმატისაა ტესტი, რას ამოწმებს, როგორია შემოსახულის მექანიზმი და რა დროა მისთვის გამოყოფილი.

მასწავლებელმა ტესტი სხვადასხვა მიზნისთვის შეიძლება გამოიყენოს.

სასკოლო პრაქტიკაში ტესტი ყველაზე ხშირად მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება. ამ მიზნებისთვის შექმნილ ტესტებს ხშირად მიმდინარე და შემაჯამებელ ტესტებსაც უწოდებენ. ტესტი შეიძლება ასევე დიაგნოსტიკური მიზნებისთვის გამოიყენებოდეს. დიაგნოსტიკური ტესტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელს სურს, რომ თავიდანვე (მაგ. წლის, სემესტრის ან კურსის დასაწყისში) განსაზღვროს, თუ რა იციან მოსწავლეებმა და რა - არა. მიღებული შედეგების მიხედვით იგი გეგმავს სწავლების შემდეგომ ეტაპს და ტემპს. არსებობს ასევე ტესტები, რომლებიც მასწავლებელს მოსწავლეების ცოდნის ან უნარ-ჩვევების მიხედვით დაჯგუფების საშუალებას აძლევს.

ო. გვ. 79


ტესტური შეკითხვები შეიძლება იყოს დია და დახურული. დახურული კითხვების შემთხვევაში მოსწავლემ მოცემული პასუხების არჩევანიდან მხოლოდ ერთი სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. დია კითხვების შემთხვევაში კი პასუხების არჩევანი არ არის მოცემული და მოსწავლემ პასუხი თვითონ უნდა მოიფიქროს.

დახურულ კითხვებზე აგებული დავალებების შესაძლო ტიპებია:

- ოთხი შესაძლო პასუხიდან აირჩივ და შემოხაზე სწორი პასუხი.
- მიუხადაგე /დაუკავშირე ერთმანეთს სიტყვები/ციფრები/დგბულებები.
- გამოიცანი, წინადადება სწორია თუ მცდარი.

დია კითხვებზე აგებული დავალებების შესაძლო ტიპებია:

- უპასუხე შეკითხვებს.
- ჩასვი სწორ ფორმაში.
- დაასრულე.
- შეავსე ცხრილი.
- დაწერე განმარტება /თქმა.



იმისდა მიხედვით, თუ რისი გაზომვა და შეფასება სურს მასწავლებელს, ტესტი შეიძლება შედგებოდეს როგორც მხოლოდ დია ან მხოლოდ დახურული სახის კითხვებისაგან, ისე მათი ერთობლიობისაგან. დახურული კითხვები კარგად ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნას, ხოლო დია სახის კითხვებით შეიძლება შემოწმდეს როგორც ფაქტობრივი ცოდნა, ისე ანალიზის, მსჯელობის და დასკვნების გაპეტების უნარი.

მასწავლებელმა უნდა შექმნოს, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევაში და მას და მიზნისთვის თვითი შეადგინოს ტესტი. მან წინასწარ კარგად უნდა განსახულების ტესტის ფორმატი, დავალებების ტესტის და შინაარხი, ასევე ის, თუ რა მიზნისთვის სტილები მას ტესტის შედეგად მიღებული შედეგები. მასწავლებელს შეუძლია მიღებული შედეგები სწავლის პროცესის შესაფასებლად გამოიყენოს (ტესტირება, როგორც მიმდინარე შეფასების ნაწილი). მას ასევე შეუძლია მიღებული შედეგები მიღწევების შესაფასებლად გამოიყენოს (ტესტირება, როგორც შემაჯამებელი შეფასების ნაწილი). ტესტირება შეიძლება იყოს მოსწავლის განმავითარებელი შეფასების ნაწილი (მასწავლებელი ქველებს არ წერს და მხოლოდ კომენტარებით შემოიფარგლება). ტესტირება შეიძლება იყოს და, უძველეს შემთხვევაში არის კოდენ, განმსაზღვრელი შეფასების ნაწილი (მასწავლებელი ქველებს წერს და ამით მოსწავლების ცოდნის დონეს განსაზღვრავს).

ქვემოთ აღწერილ სიტუაციაში ჩანს, თუ როგორ ამზადებს მასწავლებელი ტესტს განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რა სახის დავალებებს ადგენს და როგორ იყენებს ტესტირების შედეგად მიღებულ შედეგებს.

## სიტუაცია

მე-9 კლასის ბიოლოგიის მასწავლებელმა 6 აკადემიური საათი დაუთმო ცვალებადობის კანონზომიერების თემას. სანამ იგი შემდეგ თქმაზე გადავა, მას სწრს იმის გარკვევა, თუ რამდენად კარგად ათვისეს მოსწავლეებმა ეს თემა. ამ მიზნით იგი ადგენს ტესტს. ტესტის ზოგ საკითხს იგი თვითონ ადგენს, ზოგსაც სახელმძღვანელოდან ამოკრებს. მასწავლებელი იცავს ოთხ პრინციპს:

1. დავალებებს აგებს მხოლოდ იმ საკითხებზე ან თემაზე, რისი შემოწმებაც მას სურს;
2. წინასწარ ადგენს სწორ პასუხებს, რომელთა მიხედვითაც ცალსახად გაასწორებს დავალებებს;
3. სწორ პასუხს ანიჭებს ქველას, რაც დახურული კითხების შემთხვევაში თითოეული სწორი პასუხისთვის არის ერთი;
4. დროის ლიმიტად ადგენს 30 წუთს. ამგვარად, მასწავლებელი ადგენს ტესტს, რომელიც მას მოსწავლეების შემაჯამებელ შეფასებაში დაექმარება. ტესტის ერთი ნაწილი, რომელიც ფაქტების ცოდნის შემოწმებაზეა ორიენტირებული, ასე გამოიყერება:

1. კასუებებ შეკითხებებს:

- ა. რა არის მუტაცია?
- ბ. რას სწავლობს ადამიანის გენეტიკა?

2. შემთხვევა სწორი პასუხი:

რას ნიშნავს არამეტკვიდრეობითი ცვალებადობა?

- ა. გენოტიპის შეცვლელად ფენოტიპის ცვლილებას.
- ბ. ასაკობრივ ცვლილებას.
- გ. ნიშან-თვის გენის მიღიყვისაციურ ცვალებადობას.
- დ. გენეტიკურ ცვლილებას.

3. დაასრულე წინადაღებები:

1. ბიოლოგიაში ჩამოყალიბდა ახალი დარგები. ესენია: გენური ინჟინერია და \_\_\_\_\_.

2. ახალი ხახეობის წარმოშობა მიმდინარეობს ორი გზით. ესენია: ხახეობათა გეოგრაფიული წარმოშობა და \_\_\_\_\_.

მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ რა თემატიკაზე იქნება ტესტი. ისინი ტესტისთვის სპეციალურად ემზადებიან. დადგენილ დღეს მოსწავლეები წერენ ტესტს. მასწავლებელი ნაშრომებს ასწორებს დადგენილი ასეუქების მიხედვით და წერს ჭელებს. მასწავლებელი უკინება მოსწავლეებს, თუ რამდენი ჭელა დააგროვეს ტესტში. მოსწავლეებმა იციან, რომ ტესტის ეს ჭელა მათი ტრიმესტრული „უორმალური“ შეფასების ნაწილი იქნება. მათ ასევე იციან, რომ ტრიმესტრული შეფასების შემადგენელ ნაწილებს შორის პროცენტული მიმართება: 40%- შემაჯამბეჭდი დაგალებები; 30%- გაკვთილზე ჩართულობა; 20%- საშინაო დავალებები; 10% კლასგარემე მუშაობა. მასწავლებელი წიგნაში იწერს ჭელებს, რომლებიც მოსწავლეებმა ტესტში მიიღეს და ითვალისწინებებს მათ ტრიმესტრული შეფასების გამოყანისას, როგორც შემაჯამბეჭდი დავალებების შემადგენელ ნაწილს.



ტრადიციულად, ტესტი წერილობითია. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ წერილობითი ტესტი ასევე გასასწორებელია. მეორე მხრივ, თუ მასში უკუღებელი სურს, შეამოწმოს წარმოთქმა, ზეპირი კომუნიკაციას ან პრეზენტაციის უნარი, წერილობითი ტესტის შედეგები მას, რა თქმა უნდა, სწორ ინფორმაციას ვერ მისცემს. „ზეპირი“ ტესტის ჩატარებას განსაკუთრებული ცოდნა და სიფრთხილე სჭირდება. მასში ვლებელს პარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, თუ კონკრეტულად რისი შემოწმება სურს „ზეპირი“ ტესტით და ასევე ის, რომ „ზეპირი“ ტესტის შევასება სპეციალური სქემით უნდა ხდებოდეს.

ტესტირებას მასში ვლებელი ძალიან ფრთხილად და გულისყურით უნდა მოვაიდოს. ტესტის საკითხების შედგენისას მასში ვლებელმა უნდა გაითვალისწინოს ის აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც ამ თავის დასაწყისშია მოცემული. არასწორად შედგენილი ტესტი ან არასწორი შეფასების შედეგად დაწერილი ქვედა (ანუ, ისეთი ტესტი, რომელიც არ არის სანდო, ვალიდური, ადვილად გაზომვადი, ობიექტური და ა.შ.), მოსწავლის ცოდნის დონის ობიექტური შემფასებელი ვერ იქნება. ასეთი შეფასება მოსწავლეს იმედს გაუცრუებს და მასში ვლებლის ნდობას დაუკარგავს. საყურადღებოა ისიც, რომ ასაკით რაც უფრო პატარაა მოსწავლე, მასში ვლებელმა მით უფრო დიდი დრო უნდა დაუთმოს შეფასების ისეთ „არატესტურ“ მეთოდებს, როგორიცაა მაგ. მასში ვლებლის დაკვირვება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, კომენტარი და ა. შ.

მასში ვლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ ტესტი მხოლოდ განვლილ მასალაზე ააგოს. გავრცელებული გამონათქამი „გამოწმებთ იმას, რასაც ვასწავლით“ ნებისმიერი სახის ტესტის შინაარსის ამოსავალი უნდა იყოს (გამონაკლისია დიაგნოსტიკური ტესტი). მასში ვლებელმა მოსწავლები განსაკუთრებული ყურადღებით ისეთი ტესტისთვის უნდა მოამზადოს, რომლის შედეგებსაც იგი განმსაზღვრებლი შეფასებისთვის გამოიყენებს. მან მოსწავლეებს უნდა განუმარტოს ტესტის შინაარსი, ფორმატი და ის, თუ რა ქულებით ფასდება იგი, ასევე წინასწარ განუსაზღვროს ტესტისთვის გამოყოფილი დრო. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ნაშრომის გასწორება შეცდომების დათვლის პროცედურად არ გადაიქცეს. უმჯობესია, დაკითვალოთ სწორი პასუხება, ვიდრე შეცდომები და ამით მოსწავლეს წინსვლის შეგრძნება გავუძლიეროთ. მაგ., „20 საკითხიდან დღეს შენ 11-ს უპასუხე“, უკეთესი კომენტარია, ვიდრე წარუმატებლო-

მეორე მხრივ, დაუშვებელია, რომ გაკვეთილები მხოლოდ უსახლი მომზადებაზე იყოს ორიენტირებული და შეფასების სხვა მქონედები უკრადების მიღმა დარჩეს. ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სწავლების პროცესზე. სასურველია ტესტირება ჩატარდეს ტრიმებრში 2-3-ჯერ და ტრიმებრის ან წლის ბოლოს. როგორც სიტუაციიდან დავინახეთ, შემაჯამებელი შეფასების მიზნებისთვის ჩატარებული ტესტირების შედეგები მოსწავლის ტრიმებრული ან წლიური შეფასების ნაწილი ხდება.

**თქმებ უქმე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასაწყისში მოგემულ შეკითხვებზე. დაუშირულით კითხვებს და გაუციოთ პასუხები.**

#### ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- მასწავლებელი მოსწავლეების ცოდნის და მათი უნარ-ხვევების შესაფასებლად სხვადასხვა მეოდეს იყენებს. ეს მეოდებია ტესტირება, თვითშეფასება, თანატოლის შეფასება, მასწავლებლის დაკირვება და კომენტარი;
- სანამ ტესტის შედეგნას დაიწყებთ, კარგად განსაზღვრეთ, თუ რა საკითხების შემოწმება გსურთ. დაადგინეთ, როგორი სახის დავალებებს გამოიყენებთ: ლიას თუ დახურულს. განსაზღვრეთ დავალებების (საკითხების) რაოდგნობა. დაადგინეთ პასუხები, რომლის მიხედვითაც გაასწორებთ ტესტს. განსაზღვრეთ ასევე ქალების რაოდგნობა და დროის ლიმიტი;

- თქვენ შეგიძლიათ, რომ შეფასების შედეგები გამოიყენოთ სწავლის პროცესის შესაფასებლად, ანუ მიმდინარე შეფასების მიზნებისთვის; მოსწავლეების მიღწევების შესაფასებლად, ანუ შემაჯამებელი შეფასების მიზნებისთვის; ასევე, საკუთარი სწავლების მეოდებში სუსტი და ძლიერი მხარეების აღმოჩენისა და საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.



## Շեքասեծություն մշտականական

### մասնագլւղություն դաստիարակության և գործերականության մասին

ամ տարրություն վայսելու մասնագլւղությունը այլ առաջարկություններում:

Ռաս ցանկությունը մասնագլւղություն դաստիարակության և գործերականության մասին:

Ռոգոր պահանջված է առաջարկությունը դաստիարակություն և գործերականության մասին:

Ռոգոր պահանջված է առաջարկությունը դաստիարակություն և գործերականության մասին:

Ռոգոր պահանջված է առաջարկությունը դաստիարակություն և գործերականության մասին:

Ցանկությունը պահանջված է առաջարկությունը դաստիարակություն և գործերականության մասին:

1. Ռա մօթեամատ պահանջված է առաջարկությունը դաստիարակություն և գործերականության մասին?
2. Ռա քաջարակությունը պահանջված է առաջարկությունը դաստիարակություն և գործերականության մասին?
3. Ռա քաջարակությունը պահանջված է առաջարկությունը դաստիարակություն և գործերականության մասին?
4. Ռա քաջարակությունը պահանջված է առաջարկությունը դաստիարակություն և գործերականության մասին?

## მასწავლებლის დაკვირვება

მასწავლებლის მიერ მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარე შეფასების ერთ-ერთი მეთოდია. დაკვირვების შედეგად გაკეთებული ჩანაწერები მოიცავს კომენტარებს და შენიშვნებს მოსწავლის მიღწევების და პრობლემების შესახებ. კლასის თავისებურებებიდან და სიდიდიდან გამომდინარე, მასწავლებელი თვითონ განსაზღვრავს მოსწავლების რაოდენობას, რომელსაც უნდა დააკვირდეს. საშუალოდ ეს არის 3-5 მოსწავლე დღეში.

მასწავლებელი თავის წიგნაში აწარმოებს დაკვირვების ჩანაწერებს. ზოგი მასწავლებელი ჩანაწერებს სპეციალურ ცხრილში აწარმოებს (ი. სიტუაცია), თუმცა სავალდებულო არ არის, რომ დაკვირვების ჩანაწერს რამე კონკრეტული სტრუქტურა პქონდეს. ჩანაწერის ფორმას თვითონ მასწავლებელი ადგენს. მასწავლებელი მოსწავლეს ხსნავლების ყოველ ეტაპზე ძალია - როდესაც მოსწავლე დასტულ შეკითხვებს პასუხისმგებელი დაუპარაზონ მუშაობს, ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობს, ინდივიდუალურ სამუშაოს ასრულებს, საკლასო წერას წერს, ან მეგობრებთან ურთიერთობს.

ამგვარად, მასწავლებელი სისტემატურად აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის პროგრესის, მისი მოტივაციის, აქტიურობის და მონდომების შესახებ. მასწავლებელი არ აკვირდება მოსწავლეებს იმისათვის, რომ ისინი შეამოწმონ. იგი მათ აკვირდება იმ მიზნით, რომ ურჩიოს, რა გააუმჯობესონ და როგორ მიაღწიონ უპევეს შედეგებს. მასწავლებელს გააზრებული აქვს, რომ დაკვირვება მოსწავლის განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ნაწილია და იგი მას მოსწავლის შესახებ სრული სურათის შექმნაში ეხმარება.


ქვემოთ მოყვნილ სიტუაციაში ჩანს, თუ როგორი სახის დაკვირვების ჩანაწერებს აწარმოებს მასწავლებელი და როგორ იქნებს იგი იმ ინფორმაციას, რომელსაც ჩანაწერების შედეგად აგროვებს.

### სიტუაცია

მე-10 კლასის მათემატიკის მასწავლებელი პერიოდულად აგვირდება მოსწავლეებს და თავის წიგნაში ინიშავს ზოგიერთ, მისი აზრით, მნიშვნელოვან დეტალს. ზოგი ჩანაწერი მოსწავლის მოსწრებას ეხება, ზოგი მის მოტივაციას, ზოგიც – მოსწავ-

ლის დამოკიდებულებას სხვა მოსწავლეების მიმართ. ზოგი ჩანაწერი კონკრეტულია - ერთ დღეს მოიცავს, ზოგიც - უფრო ზოგადი. ჩანაწერებს მასწავლებელი მის მიერ სპეციალურად ამ მიზნისთვის გაკეთებულ ცხრილში ათავსებს. ჩანაწერის საშუალებით იგი უფრო გარგად ხედავს თითოეული მოსწავლის ქლიერ და სუსტ მხარეებს, მათ მიღწევებს და პრობლემებს. ასე მასწავლებლისთვის უფრო ადვილია, თითოეულ მოსწავლეს აღეკვაბური რჩევა მისცეს და წინსჭლაში დაეხმაროს.

დაგვირვების ცხრილი და ერთ მოსწავლეზე გაკეთებული ერთი დის ჩანაწერი ასე გამოიყერება.





სახელი	თარიღი	სამინისტრო დავალებები	საკლასო დაფლტბის	ჯგუფური მუშაობა	თრგანისტებული ბა/კლასიფიცირებული ურთიერთობა
ირაკლი ორაკლი	2 ოქტ.	სამინისტრო და ვალება ბა მხოლოდ სა- ხახე კროდ პქონდა შეს- რელებული	დამაჯრებ- ლ ლ ა დ მხჯლობლის; გამოყენა კარ- გი არგუმენტი.	გაცემირდა ჯგუფური მუშაობა. გაუტელავია.	მოწესრიგებულია უკონფლიქტო.

მასწავლებელს ბევრი მოსწავლე ჰყავს და უჭირს ყველა დეტა-  
ლი დაიმახსოვროს თითოეულის შესახებ. ასეთი სახის ჩანაწერი კი  
მას ეხმარება, რომ კონკრეტული მოსწავლის კონკრეტულ პრობლემას  
დროულად გამოეხმაუროს. ჩანაწერებიდან გამომდინარე, მასწავლე-  
ბელი:

1. პერიოდულად ახსენებს ირაკლის, რომ უფრო უკრადდებით  
მოეკიდოს საშინაო დავალებებს – სახლში არ დარჩეს და ბოლომდე  
შეასრულოს ისინი;

2. წყვილებად ან მცირე ჯგუფებად მუშაობის დროს აძლევს  
ლიდერის როლს. ამით მას ეხმარება, გადალახოს გაუტელაობა და  
შეიძინოს თავდაჯერებულობა;

3. ურჩევს, რომ საშინაო დავალების შესრულებისას დაინიშნოს



ხაათი და კცელოს, ჩაეტიოს განსაზღვრულ დროში. ამით იგი მოსწავლებს სწრაფად მუშაობას და დროის ეფექტიანად გამოიყენოს ანგავს. მასწავლებელი ამ რჩევებს ირაკლის ცალკე აძლევს, რომელიც კლასელებზომა უხერხეულობა არ იგრძნოს. მასწავლებელი აკვირდება ირაკლის შემდგომ წინსვლას და იმას, თუ რამდენად გაითვალისწინა მან მისი რჩევა.

დაკვირვების ჩანაწერები მოკლე და ინფორმაციული უნდა იყოს. ჩანაწერი შეიძლება იყოს კონკრეტულიც, როგორიცაა მაგ. სანდომ დღეს კარგი პრეზენტაციი გააკეთა. და ზოგადიც, როგორიცაა, მაგ. სანდომ კარგ პრეზენტაციებს აკეთებს. ჩანაწერების სხვა მაგალითებია: საღომაჟ ჯგუფში კარგად მუშაობს, კომუნიკაციები და მოსმენა შეუძლია. ნინოს გაუქირდა უკრალდების კონცენტრაცია; დათომ დღეს ძალიან ხელა იმუშავა:

ან უფრო კონკრეტული, საგანთან მიმართებაში, მაგ. რეზოს უჭირს რიცხვის პროცენტის პოვნა, ეკა ხშირად უშვებს ორთოგრაფიულ შეცდომებს; გიგი არასწორად სგამს მახვილებს.

ასეთი სახის ჩანაწერები განსაკუთრებით სასარგებლოა დიდ ჯგუფებთან მუშაობისას, როდესაც მასწავლებელს დრო არ რჩება კოველთვის თანაბარი ყურადღება მიაქციოს თითოეულ მოსწავლეს. ჩანაწერები მას იმის განსაზღვრაში ეხმარება, თუ რომელი მოსწავლე კონკრეტულად რა დახმარებას საჭიროებს და როგორ არის მოსწავლე მოტივირებული ზოგადად. სასურველია, რომ მასწავლებელმა გამოქვებნოს დრო, რათა პერიოდულად ინდივიდუალურად შეხვდეს მოსწავლებს და ესაუბროს მათ, ან დამატებით იმუშაოს მათთან. ასეთი სახის შეხვედრები ხანმოკლეა, მაგრამ ისინი ეფექტურია და ზრდის მოსწავლის მოტივაციას და მონდომებას.

დაკვირვების შედეგად ქ'ლდა არ იწერება. იგი მოსწავლის განმავითარებული „არაფორმალური“ შეფასების ჩაწილია, თუმცა დიდია მისი როლი სწავლის და სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში.

### კომენტარი (გამოხმაურება)

კომენტარი, ანუ გამოხმაურება მიმდინარე შეფასების კიდევ ერთი მეთოდია. კომენტარი ის ინფორმაციაა, რომელსაც მასწავლებელი აწვდის მოსწავლეს იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს იგი მოსწავლის კონკრეტულ პასუხს ან მის მიერ შესრულებულ კონკრეტულ დავალებას. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს მოსწავლის პასუხის

სისწორის დადასტურება, მისი შექმნა, გამხნევება, რჩევა, მოწოდება დაფიქრებისაკენ, შეცდომის გასწორება და ა.შ.



მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობისას სისტემატურად „ეხ-მაურება“ მოსწავლის პასუხს. ეს არის ზეპირი მოძღვა კომენტარი, მაგ. ყოჩად, შესახიშნავია; დაფიქრდი, სწორი არ არის; ან, ექიმიკულაციის (ეგრეთ წოდებული, სხვულის ენის) გამოყენება, მაგ. სახის გამომჯებაველება, თავის დაქნევა, ხელის მოძრაობები და ა.შ. სასურველია, რომ ზეპირი კომენტარების გაკეთებისას მასწავლებელმა მოსწავლეს სახელით მიმართოს. ეს მოსწავლეს თავისი თავის რწმენას უზრის და მასწავლებლის მიმართ მეტი პატივისცემით განაწყობს.

სისტემატური კომენტარები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეასრულა მოსწავლემ ესა თუ ის თუნდაც მცირე დავალება:

- მოსწავლეს აღვის ინდიექტურ ინფორმაციას მისი წარმატებისა და პრობლემების შესახებ სრულიად კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.
- მოსწავლეში ზრდის საჭითარი თავის რწმენას, ხდის მას უფრო თავდაჯერებელს.
- უვითარებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს.
- აღუძრავს ინტერესს, უდვივებს სწავლის სერვისს.

კომენტარები, დადებითი თუ უარყოფითი, ზეპირი თუ წერილობითი, ზომიერად და ტაქტით უნდა გაცემოდეს. არ არის საჭირო მოსწავლეების გადაჭარბებული ქება (მაგ. გენიოსი ხარ, ყველაზე ჭკვიანი ხარ, მარტო შენი იმედი მაქვს). ისევე, დაუშვებელია, მოსწავლეების ზედმეტი კრიტიკა. კომენტარმა მოსწავლეს შეურაცხეოფა არ უნდა მიაუქნოს და უხერხელ მდგომარეობაში არ უნდა ჩააუქნოს (მაგ: არაფერი არ იცი, უნიჭო ხარ, შენგან არაფერი გამოვა). მნიშვნელოვანია, რომ შეფასდეს მოსწავლის ნამუშევარი და არა მოსწავლე, როგორც პიროვნება. ნამუშევრის შეფასებისას ასევე მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ უარყოფით მხარეებზე არ გამახვილდეს ყერადღება. მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ნამუშევარი მრავალ შეცდომას შეიტანს, მასწავლებელმა კომენტარი აუცილებლად გაიკეთოს დადებით მხარ-

ეზე და მხოლოდ შემდეგ გააკრიტიკოს ნაშრომი. მნიშვნელოვანია, რომ კომენტარი აძლევდეს მოსწავლეს რჩევას იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გააკეთოს მას იმისთვის, რომ გააუმჯობესოს თავის წილი მუშევარი და ზოგადად, შესაძლებლობები. კომენტარი არ უნდა იყოს ზოგადი, იხეთი როგორიცაა, მაგ.: არ მომწონს შენი ნაწერი. კომენტარი კარგი და სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მოსწავლეს აძლევს კონკრეტულ რჩევას, როგორიცაა, მაგ. უკეთესი იქნება, თუ აბზაცის წერისას იფიქრებ იმაზე, თუ რა არის აბზაცის მთავარი აზრი და ამ აზრს პირველივე წინადაღებაში იტყვი.

მასწავლებლის მიერ მოსწავლის მიმართ გაკეთებული ნებისმიერი კომენტარი კონკრეტული, ობიექტური და მოსწავლის განვითარებისას მიმართული უნდა იყოს. კომენტარის მთავარი დანიშნულებაა, მოსწავლეები უფრო მოტივირებულები და მონდომებულები გახადოს და იხინოს სწავლის მიმართ პოზიტიურად განაწყოს.

თქვენ უკვე შევიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დახასწევისში მოცემულ უკეთესობის შეკითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაუციოთ პასუხები.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- სისტემატურად დააკვირდით მოსწავლეებს. ჩაიწერეთ დაპვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები. თქვენ ამგვარად შეაგროვებთ მეტად საჭირო ინფორმაციას მოსწავლეების შესახებ და შესაბამისად დაგეგმავთ სასწავლო პროცესს;
- გახსოვდეთ, რომ დაკვირვება შეფასების თვალსაზრისით ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც, მაგ. ტესტირება. დაკვირვება, შეფასების სხვა მეთოდებთან ერთად, მოსწავლის შესახებ სრული სურათის შექმნაში და მის შემდგომ განვითარებაში გეხმარებათ;
- კომენტარი, ისევე როგორც დაპვირვება, განმავითარებელი შეფასების ნაწილია. კომენტარის საშუალებით თქვენ მოსწავლეებს ეხმარებით, აკონტროლოს ცოდნის მიღების პროცესი, გააცნობით ეროს საკუთარი წარმატებები და წარუმატებლობები. თქვენი კომენტარი მოსწავლეებს საკუთარი თავის რწმენას უზრდის და დამოუკიდებელს ხდის;
- მოსწავლის პასუხის ან მის მიერ შესრულებული აქტივობის შესახებ გაკეთებული კომენტარი შეიძლება იყოს ზეპირიც და წერილობითიც. ორივე შემთხვევაში კომენტარი არის გამოხმაურება მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

ამ თავის წარითხების შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რატომ არის საჭირო განსხვავებული ტიპის და დანიშნულების მქონე შეფასების სქემები;

რა შემთხვევაში შეგიძლიათ ანალიტიკური შეფასების სქემების გამოყენება;

რა შემთხვევაში შეგიძლიათ ზოგადი შეფასების სქემების გამოყენება;

როგორ უნდა შეადგინოთ შეფასების სქემები კონკრეტული მიზნებისთვის.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. რა ნაწილებისაგან შედგება შეფასების სქემა?

2. როგორი ტიპის დავალებების ან აქტივობების შეფასება შეგიძლიათ შეფასების სქემების საშუალებით?

3. რას ნიშნავს ანალიტიკური და ჰოლისტური (ერთიანი) შეფასების სქემები?

4. რა განსხვავებაა ზოგად და კონკრეტულ შეფასების სქემებს შორის?

5. რა შემთვევაშია შეფასების სქემა სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე?

6. რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა შეფასების სქემების შედგენისას?

შეფასების სქემები (რებრიკები) არის მკაცრად განსაზღვრული

კრიტერიუმებისა და და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ფასდება მოსწრება ამა თუ იმ აქტივობაში ან საგანძი. შეფასების სქემები მასწავლებელს მოვალეობას იმის საშუალებას, რომ მოსწავლის პასუხის ხარისხიანობა შეასრულდა და გაზომოს რამდენიმე კრიტერიუმის საშუალებით. ეს შესაძლებელი ხდება შეფასების ცხრილების სტრუქტურიდან გამომდინარე; შეფასების ცხრილები შედგება, ერთი მხრივ, იმ კომპონენტებისაგან (მახასიათებლებისაგან), რომელთა მიმართუაშიც ფასდება მოსწავლის მოსწრება, ხოლო, მეორე მხრივ, ამ მოსწრების სხვადასხვა დონეებისა და მათი შესაბამისი ქულით ან სიტყვით გამოხატული მნიშვნელობებისაგან.

შეფასების სქემებით, როგორც წესი, ფასდება ისეთი დავალებები ან აქტივობები, როგორიცაა, მაგალითად, თხზულება, ზეპირი პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა ან პროექტზე მუშაობა. დახურული კითხვების შემთხვევაში, ანუ ისეთ შემთხვევაში, როდესაც კითხვებს ერთმნიშვნელოვანი პასუხები აქვთ, შეფასების ცხრილები საჭირო არ არის. დახურული კითხვები სწორდება და ფასდება მზა პასუხების მიხედვით.

არსებობს განსხვავებული ტიპის და დანიშნულების შეფასების სქემები. იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს კონკრეტული შეფასება და როგორ მიიღწევა ეს მიზანი, განასხვავებენ ანალიტიკურ და პოლიტიკურ, ზოგად და კონკრეტულ შეფასების სქემებს. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

### ანალიტიკური და პოლიტიკური (ერთიანი) შეფასების სქემები

ისეთ შემთხვევებში, როდესაც მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლის ცოდნა შეავასოს ორი ან მეტი კრიტერიუმის მიხედვით, იგი იყენებს ან ქმნის ანალიტიკური შეფასების სქემას. ქვემოთ მოცემული თხზულების შეფასების სქემა ანალიტიკურია, რადგანაც იგი თხზულებას აფასებს ორი კრიტერიუმის - დავალების მოთხოვნასთან შესაბამისობის და გრამატიკულ-ლექსიკური კომპეტენციის მიხედვით.

თხზულების ანალიტიკური შეფასების სქემის ნიმუში:

მაქსიმალური ქულა: 6 (3 - დავალების მოთხოვნასთან შესაბამისობა; 3 - გრამატიკულ-ლექსიკური კომპეტენცია).

ქულა	დავალების მოთხოვნასთან შესაბამისობა	გრამატიკული — ლექსიკური გომ- პეტენცია	ქულა
3	<ul style="list-style-type: none"> <li>დავალების მოთხოვნას სრულად პასუხობს;</li> <li>აზრი მკაფიოდ და თანამიმდევრულად არის გადმოცემული;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნის შესაბამისია;</li> <li>შეცდომების რაოდენობა უმნიშვნელოა;</li> </ul>	3
2	<ul style="list-style-type: none"> <li>დავალების მოთხოვნას სრულად პასუხობს;</li> <li>აზრი მკაფიოდ და თანამიმდევრულად მხედლოდ ზოგ შემთხვევაშია გადმოცემული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნაზე მარტივია;</li> <li>შეცდომების რაოდენობა ზოგ შემთხვევაში ხელს უშლის აზრის გაგებას.</li> </ul>	2
1	<ul style="list-style-type: none"> <li>დავალების მოთხოვნას პასუხობს მხედლოდ ნაწილობრივ;</li> <li>უმეტეს შემთხვევაში აზრის გაგება ჭირს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები წინადაღებების დიდ ნაწილშია დაშვებული.</li> </ul>	1
0	ნაწილი დავალებას არ პასუხობს, ან გურცელდება ცარიელია.	გურცელდება	0

იმისდა მიხედვით, თუ კონკრეტულად რის შემოწმებას/გაუმჯობესებას გეგმას მასწავლებელი, მან სქემა შეიძლება 2-ზე მეტ კრიტიკულური დაყოს (მაგალითად, დავალების მოთხოვნასთან შესაბამისობა) არგუმენტაციის უნარი / გრამატიკულ-ლექსიკური კომპეტენცია; ან: დავალების მოთხოვნასთან შესაბამისობა / არგუმენტაციის უნარი / გრამატიკული კომპეტენცია / ლექსიკური კომპეტენცია და ა.შ. ანალიტიკური სქემის უპირატესობა არის ის, რომ მისი გამოყენების შემთხვევაში მასწავლებელსაც და მოსწავლესაც უძლევა კონკრეტული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რაში (რომელ კრიტერიუმში) აქვს მოსწავლეს პრობლემები და რაზე უნდა იმუშაოს მეტი. ერთი და იმავე სქემის სისტემატურად გამოყენება პროგრესის მონიტორინგის კარგ საშუალებას იძლევა.

არის შემთხვევები, როდესაც შეფასების სქემის დაყოფა ორ ან მეტ დამოუკიდებელ მახასიათებლად აუცილებელი არ არის ან, უბრალოდ, ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი ქმნის ან იყენებს პოლისტურ შეფასების სქემას. პოლისტური შეფასების სქემის გრაფებში გაერთიანებულია ყველა კრიტერიუმი და ყველა მახასიათებელი, რის მიხედვითაც მასწავლებელს სურს, რომ ნაწერი შეაფასოს. მოსწავლის პასუხის ხარისხი ფასდება ზოგადად და არა - კონკრეტული მახასიათებლების შეფასების სქემის ნიმუში:

მაქსიმალური ქულა: 3.

დავალების მოთხოვნას პასუხობს სრულად. აზრი მკაფიოდ და თანამიმდევრულად არის გადმოცემული. გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნის შესაბამისია. შეცდომების რაოდენობა უმნიშვნელოა.

3

დავალების მოთხოვნას პასუხობს ნაწილობრივ. აზრი თანამიმდევრულად მხოლოდ ზოგ შემთხვევაშია გადმოცემული. გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნაზე მარტივია. შეცდომების რაოდენობა ზოგ შემთხვევაში ხელს უშლის აზრის გაგებას.

2

დავალების მოთხოვნას მხოლოდ მცირედ პასუხობს. აზრის გაგება ჭირობს. გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები არის წინადაღებების უმცირესობაში.

1

ნაწერი დავალებას არ პასუხობს, ან აზრის გაგება შეუძლებელია, ან ფურცელი ცარიელია.

პოლიხერური შეფასების სქემით სარგებლობა გამსწორებლის გამოცდილებას და მის მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. არსებობს იმის საშიშროება, რომ შემფასებელმა უგულებელყოს მოხსენებლის მიღწევები ზოგიერთ კატეგორიაში და ნაწერი მხოლოდ იმ მახასიათებლებით შეფასოს, სადაც მეტი შეცდომაა დაშვებული (მაგ.: შეაფასოს მხოლოდ დავალების მოთხოვნასთან შესაბამისობა და არ მიაქციოს ქურადღება გრამატიკულ-ლექსიკურ კომპეტენციას, ან პირიქით).

## ზოგადი და კონკრეტული შეფასების სქემები

შეფასების სქემა შეიძლება შეიქმნას როგორც დავალებათა ან უნარ-ჩვევათა ერთობლიობის შესაფასებლად (ზოგადი შეფასების სქემა), ისე ერთი კონკრეტული დავალების ან უნარ-ჩვევის შესაფასებლად (კონკრეტული შეფასების სქემა). დაგუშვათ, საგნობივი სტანდარტის და, შესაბამისად, მახსავლებლის მიზანია მოხსავლეებში პრეზენტაციის უნარის განვითარება. ამ მიზნისთვის მასწავლებელი დამოუკიდებლად, ამ მოსწავლეებთან ერთად ქმნის პრეზენტაციის შეფასების სქემას (ან იუნიტს მთა შეფასების სქემას), რომლის საშუალებითაც მოწმდება ზეპირი პრეზენტაციისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ერთობლიობა. ასეთი ზოგადი შეფასების სქემების უპირატესობა ისაა, რომ მათი გამოყენება მრავალჯერადად შეიძლება მანამ, სანამ მოსწავლე სასურველ შედეგს არ მიაღწევს. გარკვეული დროის განმავლობაში ერთი და იმავე შეფასების სქემის სისტემატიკურად გამოყენება და შედეგების შედარება მოხსავლის განვითარების ეფექტური საშუალებაა.

ქვემოთ მოგვავს ზოგადი შეფასების სქემის ნიმუში. შეფასების სქემის მიხედვით ფასდება პრეზენტაციის უნარი ზოგადად. მიაქციეთ კურადღება იმას, რომ თითოეული კატეგორია ფასდება სამი ქვლით: 0 – დაბალი შეფასება; 1 – საშუალო შეფასება; 2 – მაღალი შეფასება. ქულების მინიჭება პირობითია. შემფასებელი შემოხაზებს იმ ქულას, რომელსაც ანიჭებს მოხსავლეს.

(ალტერნატივა: ქულების მაგივრად შეფასება შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად, მაგ. სუსტი-საშუალო-კარგი. ასევე, შეიძლება რომ

შეფასებები ცალ-ცალკე გრაფიში მოთავსდეს).

პრეზენტაციის შეფასების სქემა  
 მაქსიმალური ქვედა: 10.

### პრიზერიუმები

ქალა

მომსაღებულია; საუბრობს ფაქტებზე და არგუმენტებზე  
 დაქრიტიკით; პერიოდულად იყენებს წინასწარ მომსაღებულ მოქ- 0 - 1 - 2  
 ლე ჩანაწერებს.

აუდიტორიას თავდაჯერებულად მიმართავს; ამყარებს თვალით  
 გონიერებებს; ხმა და ინტონაცია დამაჯერებულია.  
 წარმოთქმა – კარგი.

იყენებს ვაზუალურ მასალას: ფოტოებს, სურათებს, ა.შ. იყენებს  
 ექრანს, დაფას.

პრეზენტაციის დახატყისი და დაბოლოება ეფექტურია.

იცავს დროის დიმიტებ.

მასწავლებელს პერიოდულად უწევს ერთი კონკრეტული ფაქტის  
 და მოვლენის ცოდნის შემოწმება/შეფასება. შესაბამისად, უნდა აიგოს  
 შეფასების სქემაც. მაგალითად, იხევ შემთხვევაში, როდესაც პრეზენტაცია  
 კონკრეტულ იხტორიულ ფაქტზე ან მოვლენაზეა აგებული, შე-  
 ფასების სქემა იხევ უნდა აიგოს, რომ მასში სწორედ ამ კონკრეტული  
 ფაქტის ან მოვლენის, ასევე ამ მოვლენების გამომწვევი ფაქტორების

და შედეგების შეფასება იყოს გათვალისწინებული. ასეთი შემთხვევაა ბისოვის დაქმა კონკრეტული, ერთჯერადად გამოსაყენებელი შემთხვევა, სექმა. ასეთი შეფასების სქმა, გომეორებო, მოსწავლის ცოდნის აძლიშვილის მხრივ მოვლენასთან, ფაქტთან ან დურალთან მიმართებით და, ცხადია, მრავალჯერადი გამოყენებისთვის ერ გამოდგება.

შესაძლებელია ისეთი შეფასების სქმის შედგენაც, რომელიც აერთიანებს ზოგადი და კონკრეტული შეფასების სქმების მახასიათებლებს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების მიზანია როგორც ზოგადად პრეზენტაციის უნარის, ასევე კონკრეტულად ფაქტების ცოდნის შემოწმება/შეფასება, შეფასების სქმა ორივე შეფასების სქმის მახასიათებლებს უნდა შეიცავდეს.

როგორც ვხედავთ, არ არსებობს შეფასების სქმის ერთი უნიფიცირებული ფორმა. საგანმანათლებლო სისტემებმა და საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, შინაარსობრივად, სტრუქტურულად და შეფასების ოვალსაზრისით, შეიძლება სრულიად განსხვავებული შეფასების სქმები შეიმუშაონ. ეს დამოკიდებულია იმ ზე, რა ფასება, შეფასებისას რა კრიტერიუმებია პრიორიტეტებული, რა მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტულ შეფასების სქმას, ვინ და როგორ იყენებს შეფასების შედეგებს და ა.შ. შეფასების სქმების მრავალფეროვნების მიუხედავად, მოთხოვნები მათ მიმართ ერთნაირია. ესენია:

- შეფასების სქმა უნდა იყოს სანდო; შეფასების სქმა სანდოა იმ შემთხვევაში, როდესაც ორი გამსწორებლის მიერ ერთი და იმავე მოვლენის შეფასებისას შედეგები არ არის განსხვავებული. შეფასების შედეგები არ უნდა იყოს განპირობებული მასწავლებლის გამოცდილებით, გემოგრებით ან განათლებით. ეს მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც მახასიათებლები (რეპრიკები) ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული;

- შეფასების სქმა უნდა იყოს გალიდური, ანუ მიზანთან შესაბამისი. იგი უნდა ამოწმებდეს მხოლოდ იმას, რის შემოწმებასაც ისახავს მიზანად და სხვას არაფერს. მაგალითად, თუ მასწავლებელს სურს, შეფასოს ჯგუფურ მუშაობაში მოსწავლეების ჩართულობა, ხოლო შეფასების სქმა ზეპირი კომუნიკაციის უნარს აძლიშვილს, ეს შეფასების სქმა ვალიდური, ანუ მიზანთან შესაბამისი ვერ იქნება;

- შეფასების სქმა უნდა იყოს გამჭვირვალე. მოსწავლეები წინასწარ უნდა იცნობდნენ იმ შეფასების სქმას, რომლითაც მათი ცოდნა ფასდება. მათ უნდა იცოდნენ, თუ რას, რა კრიტერიუმებით და როგორ



აფასებს კონკრეტული შეფასების სქემა. სასურველია, რომ მოსწავლებმა თვითონ მიიღონ მონაწილეობა შეფასების სქემის შექმნაში.

ხსავლების პროცესში მასწავლებელმა უნდა შეძლოს:

- გამოიყენოს არსებული „მზა“ შეფასების სქემა;
- შეძლოს „მზა“ შეფასების სქემის აღაპეტაცია;
- შეაღგინოს ახალი შეფასების სქემა.

ახალი შეფასების სქემის შედგენისას მასწავლებელი ითვალისწინებს შემდგენ (შეფასების სქემის შედგენის გზაპეტი მოცემულია თანამიმდევრულად):

1. განსაზღვრავს შეფასების სქემის მიზანს და მის ფორმატს. ადგენს მის ძირითად კრიტერიუმებს;

2. ადგენს მაქსიმალური ქულის, ანუ ყველაზე მაღალი დონის მაჩვენებლის მახასიათებლებს;

3. ადგენს მინიმალური ქულის, ანუ ყველაზე დაბალი დონის მაჩვენებლის მახასიათებლებს;

4. განსაზღვრავს შუალედური დონების რაოდენობას და მახასიათებლებს. ყოველი შუალედური დონის მახასიათებლები ოდნავ მაინც უნდა განსხვავდებოდნენ როგორც მის წინა, ისე მისი შემდგომი დონეების მახასიათებლებისაგან. შეფასების დონეების რაოდენობა, ხასურველია, იყოს 4 ან 5;

5. დონეების მახასიათებლები უნდა იყოს მაქსიმალურად კონკრეტული და დაზუსტებული. მაგალითად, ზოგად გამონათქვამს: „მასწავლის მათემატიკური გამოთვლები კარგია“, ხჯობს კონკრეტული გამონათქვამი: „მათემატიკურ გამოთვლებში მოსწავლეს არც ერთი შეცდომა არ აქვს დაშვებული“;

6. შეფასების სქემის შედგენის პროცესში, შეძლებისდაგვარად, რთავს მოსწავლეებს. ამით მასწავლებელი მოსწავლეებს ხაშუალებას აძლევს, უფრო კარგად გაერკვნებ იმაში, თუ რას ითხოვენ მათგან და როგორ აფასებენ მათ ცოდნას;

7. ერთ-ერთ კოლეგასთან ერთად იყენებს შეფასების სქემას პილოტირების მიზნით. ისინი ერთდროულად, პაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, აფასებენ ერთსა და იმავე აქტივობას და, განსხვავებული შედეგების მიღების შემთხვევაში, მასწავლებელი სქემას უფრო მეტად აკონკრეტებს.

მოგვავს კიდევ ორი შეფასების სქემის ნიმუში.

**ზეპირი კომუნიკაციის შეფასების სქემის ნიმუში**

(მაგ. პრობლემის გარშემო მხჯლობა, როლები თამაშები, დებატები, მაქსიმალური ქედა: 10 (0 - ცედი; 1 - სამუალო, 2- კარგი).

### პრიტერიუმები

### ქულები

მხჯლობს გარკვევით და ამომწურავად; მოყავს ვაქტები და არგუმენტები.

მეტყველებს თანმიმდევრულად; წინადაღებებს ლოგიკურად უკავშირებს ერთმანეთს.

იქნებს სათანადო, ასაკისთვის და კლასისთვის შესაფერის ლუქსის და მხატვრულ ხერხებს.

საუბრობს ნელა და გარკვევით; პერტები კარგია; ინტენსივა, ასხილი და რიტმი – სწორი.

იცავს დროის დამიტები.

მოხაველის განვითილზე წართუდობის განმსაზღვრელი  
ბის სქემის ნიმუში

მოხაველის სახელი და გვარი -----

კლასი -----

### დადებითი მაჩვენებლები

მონაცილებს დისკუსიებში.	ყოველთვის	ხანდახან	იმპიატად	არახოდეს
ხვამს კითხვებს; ითხოვს გან- მარტივებებს	ყოველთვის	ხანდახან	იმპიატად	არახოდეს
განვითილზე მოდის მომზადე- ბული.	ყოველთვის	ხანდახან	იმპიატად	არახოდეს
მონაცილებს კლასგარეშე აქტივობებში.	ყოველთვის	ხანდახან	იმპიატად	არახოდეს
ეხმარება თანატოლებს	ყოველთვის	ხანდახან	იმპიატად	არახოდეს

### უარყოფითი მაჩვენებლები

აცდენს განვითილებს	ყოველთვის	ხანდახან	იმპიატად	არახოდეს
იგიანებს განვითილებზე	ყოველთვის	ხანდახან	იმპიატად	არახოდეს
განვითილზე ცალდად იქცევა; თანატოლებს ხელს უძლის.	ყოველთვის	ხანდახან	იმპიატად	არახოდეს
უერადდება გაფანტული აქტების	ყოველთვის	ხანდახან	იმპიატად	არახოდეს



მოხწავლის გაპეტილზე ჩართულობა შეიძლება ქულტურული შეცვალისას ამ შემთხვევაში მხოლოდ დადებითი მაჩვენებლები უნდა გამოვიტანოთ, მაგალითად:

მაქსიმალური ქვედა: 10.

მოხწავლის სახელი და გვარი —————

ძლახი —————

შოკელოვის ხანდახან იშვიათად არახოდებ	შოკელოვის ხანდახან იშვიათად არახოდებ	შოკელოვის ხანდახან იშვიათად არახოდებ	შოკელოვის ხანდახან იშვიათად არახოდებ	შოკელოვის ხანდახან იშვიათად არახოდებ
მონაწილეობს დისკუსიებში სემინარების კონფიდენციალურობის შეცვალის განხორციელების აქტივობებში;	10-9-8	7-6-5	4-3-2	1-0
განვითარებული მოდის მიმზადებული.				
მონაწილეობს ჯგუფურ აქტივობებში.				
ემარჯენს თანატოლებს.				
მემათებს პროექტებზე.				
მონაწილეობს ძლახის გარეშე აქტივობებში.				

**თქვენ შეგე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხის ამ თავისი დახასწევის მიღებული ყველა შეკითხვაზე დაუძრულდით კითხვების და გაჯით პასუხები.**

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- შეფასების სქემები (რუბრიკები) არის მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ფასდება მოსწავლის მოსწრება ამა თუ იმ აქტივობაში ან საგანმაზი;
- არსებობს განსხვავებული ტიპის და დანიშნულების შეფასების სქემები. იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს კონკრეტული შეფასება და როგორ მიიღწევა ეს მიზანი, განასხვავებენ ანალიტიკურ და პოლისტურ, ზოგად და კონკრეტულ შეფასების სქემებს;
- დროის გარკვეული მონაცემთის განმავლობაში ერთი და იმავე შეფასების სქემის სისტემატიზრად გამოყენება და შედეგების შედარება მოსწავლის განვითარების ეფექტური საშუალებაა;
- სასურველია, რომ მასწავლებელმა შეფასების სქემის შექმნის პროცესში ჩართოს მოსწავლეები. ეს მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, უფრო კარგად გაერკვნენ იმაში, თუ რას ითხოვენ მათგან.

# თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება



ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცითინებათ:

როგორ შეუძლია მოსწავლეს საკუთარი თავის ან თანატოლის შეფასება;

როგორ უნდა შევქმნათ თვითშეფასების სქემები;

როდის უნდა გამოვიყენოთ მოსწავლის თვითშეფასების ან თანატოლთა შეფასების მეთოდი;

როგორ უნდა გამოვიყენოთ თვითშეფასების და თანატოლთა შეფასების სხვადასხვა ფორმა.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. რას ნიშნავს თვითშეფასება?
2. რას ნიშნავს თანატოლთა შეფასება?
3. რომელია თვითშეფასების ან თანატოლთა შეფასების ყველაზე გავრცელებული ფორმა?
4. მოსწავლეში რა თვისებებს ავითარებს თვითშეფასება და თანატოლის შეფასება?

## სიტუაცია

მე-10 კლასის ინგლისური ენის მასწავლებელი სისტემაზურად აგროვებს ინფორმაციას მოსწავლეების წინსევლის და პრობლემების შესახებ. იგი ამისთვის შეფასების განსხვავებულ მეთოდებს იყენებს. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი მოსწავლეთა მიერ საკუთარი ცოდნის შეფასებაა. მასწავლებელმა იცის, რომ ყველაზე ხალისით მოსწავლეები სწორედ თვითშეფასების სტანდარტული აღსანები. უფრო მეტიც, თვითშეფასების სქემის შევსების შემდეგ ისინი დაიდ უჩვენებენ ერთმანეთს შედეგებს და ხალისით მხჯელობენ მათ შესახებ. შეფასების ეს ფორმა მასწავ-



ლებელსაც მოხწონს. მან იცის, რომ იგი ამით ხელს უწყობს მოსვალეების თვითგანვითარების და ცოდნის შემენის პროცესის რეგულირების. სემებრის ნახევარმა უკვე გაიარა და მასწავლებელი იღებს კალაპვეტილებას, ააგოს თვითშეფასების ისეთი სქემა, რომელიც კითხვისა და წერის უნარ-ჩვევებს შემოწმებს და, ამავე დროს, სასწავლო გეგმაში მოცემულ სწავლის შედეგებზე იქნება ორიგინალური.

მასწავლებლის მიერ შედგენილი სქემის ნაწილი შემდეგნაირად გამოიყერება:

თვითშეფასების სქემა ინგლისურ ენაში  
სახელი, გვარი \_\_\_\_\_  
თარიღი \_\_\_\_\_  
გახაზე სწორი პასუხი

1. ერთი თვალის გადავლებით ვხვდები, რაზეა ტექსტი.  
*უკველთვის ზოგჯერ არასოდებ*
2. კონტექსტით ვხვდები უცნობი სიტყვების მნიშვნელობას.  
*უკველთვის ზოგჯერ არასოდებ*
3. სანამ თემის წერას დაკიტებ, ჯერ გეგმას ვადგენ.  
*უკველთვის ზოგჯერ არასოდებ*
4. ნაწერის შევ ვარიანტს ვასწორებ და გადავწერ.  
*უკველთვის ზოგჯერ არასოდებ*
5. წერისას ვიცავ დროის ლიმიტს.  
*უკველთვის ზოგჯერ არასოდებ*
6. ვხარგებლობ ლექსიკონით.  
*უკველთვის ზოგჯერ არასოდებ*



მოსწავლეები ავსებენ სქემას. შედეგების მიხედვით, ისინი ოკაზიანთლივ ხედავენ, თუ რა გამოსძიოთ კარგად, რა – საშუალოდ და რა – ცუდად. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შევსებული ხელი შეინახონ. რამდენიმე კვირის შემდეგ მოსწავლეები ავსებენ თვითშეფასების იმავე სქემას და ძველ და ახალ შედეგებს აღარებენ. ისინი მასწავლებლის დახმარების გარეშე ხედავენ, თუ რა უნარ-ჩვევები გაიუმჯობესეს და რა მიმართულებით სჭირდებათ მუშაობა.

\*\*\*\*\*

მოსწავლეებმა შეიძლება შეაფასონ საკუთარი თავი (თვითშეფასება), ასევე შეაფასონ მეგობარი (თანატოლთა შეფასება). მოსწავლის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება მოსწავლის შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტებია. შეფასების ეს მეორები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს თვალყური ადგენოს საკუთარ პროგრესს. მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ თვითშეფასების სისტემატიკური გამოყენება მოსწავლეს საქუთარი ცოდნის ობიექტზე შეფასებას ასწავლის და დამოუკიდებლად სწავლის წვევებს და თვითკრიტიკის უნარს უფითარებს.

თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება მოსწავლეებს აძლევს იმის საშუალებას, რომ უფრო გარგად გააცნობიერონ თავიანთი ხეხური და ძლიერი მხარეები. ამით მათ სწავლის პროცესის მიმართ მეტი ასუხისმგებლობის გრძნობა უფითარდებათ.

**ობ. გვ. 79**

— მეორე მხრივ, შეფასების ამ მეორების გამოყენება მნიშვნელოვანია თავად მასწავლებლისთვისაც – მათი საშუალებით უფრო მეტი ინფორმაციას აგროვებს მოსწავლეების შესახებ და უფრო ეფექტურად შეუძლია დაეხმაროს მათ. თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება მასწავლებელს მოსწავლის განმსაზღვრელ შეფასებაში ეხმარება. თვითშეფასების სხვადასხვა ფორმა არსებობს. მათ შორის გავრცელებულია:

### I. შეფასების სქემები:

მოსწავლეები მიღებულ ცოდნას ავსებენ წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით და ცოდნის ხარისხს ზომავენ ქულებით, ან ისეთი სიტყვების საშუალებით, როგორიცაა: დიახ/არა; ყოველთვის/იშვიათად/არახდროს; ვეთანხმები/არ ვეთანხმები.

იგივე ტექნიკა შეიძლება თანატოლის შეფასების დროსაც გამოვიყნოთ.



## 2. შეაძლებელი შენი თვე:

მოსწავლეები მათ მიერ დაწერილ სავარჯიშოებს ან მიმოხილულ ტესტებს ასწორებენ წინასწარ შემუშავებული პასუხების მოქმედების და იწერენ ქველებს.

იგივე ტექნიკა შეიძლება თანატოლის შეფასების დროსაც გამოვყენოთ. ალტერნატივა: პასუხებს მასწავლებელი უკითხებს მოედ ჯგუფს ერთად; მოსწავლეები მასწავლებლის მიერ წაკითხულ პასუხებს ადარებენ მათ მიერ დაწერილს და ბოლოს ითვლიან, თუ რამდენი საკითხი გააკეთეს სწორად.

### 3. ჩანაწერები:

მოსწავლეები აკეთებენ ჩანაწერებს ან წერენ ინდივიდუალურ დღიურებს იმის შესახებ, თუ რას მიაღწიეს, რას – ვერა, რა შედეგები აქვთ, რა უშლით ხელს სწავლაში და ა.შ.

### 4. შეხვედრები მასწავლებელთან:

მოსწავლეები ინდივიდუალურად ხვდებიან მასწავლებელს და ესაუბრებიან თავიანთი წარმატებებისა და პრობლემების შესახებ.

თვითშეფასების კველაზე გავრცელებული ფორმა თვითშეფასების სქემებია. ეს სქემები შეიძლება გამოვიყენოთ განსხვავებულ დროს და განსხვავებულ შემთხვევებში: როდესაც ვამოწმებთ, თუ როგორ დაძლიერ მოსწავლეებმა სახელმძღვანელოში მოცემული ერთი თემა, ერთი გაკვეთილი, ან, სულაც, ერთი სავარჯიშო; როგორ მიაღწიეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კონკრეტულ შედეგს ან შედეგებს; როგორ აითვისეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფაქტობრივი მასალა; როგორ განუვითარდათ გარკვეული უნარ-ჩვევები და სხვ. ზოგიერთ სახელმძღვანელოს თავად ახლავს თვითშეფასების და თანატოლთა შეფასების სქემები. მასწავლებელმა მათ გვერდი არასოდეს არ უნდა აუართოს. ქვემოთ მოგვყავს თვითშეფასების სქემის სამი ნიმუში. სამივე სქემა შეიძლება თანატოლის შესაფასებლადაც გამოიყენებოდეს. მსგავსი სქემების შემუშავება როგორი არ არის. მასწავლებელს უნდა შეეძლოს, რომ სწავლების ყოველ ეტაპზე და ყოველი კონკრეტული მიზნისათვის შექმნას მარტივი, სწრაფად გასაკეთობელი ანალოგიური სქემები. ასეთი სქემების შემუშავებაში შესაძლებელია მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ.

ჩაუვარ მექაობაში მონაწილეობის თვითშეფასების სქემის ნიმუში (იგივე სქემა დგბატებში მონაწილეობის თვითშეფასების დროსაც გამოდგება):

სახელი, გვარი —————  
თარიღი —————

შემოხაზე სწორი პასუხი.

- დავალების მოთხოვნას ვუპასუხე ზუსტად. დიახ არა
- მოვიყვანე რამდენიმე მაგალითი. დიახ არა
- დავიცავი აბზაცები. დიახ არა
- დავიცავი სიტყვების რაოდენობა. დიახ არა
- ნაშრომი გადაგათვორე. დიახ არა

სახელი, გვარი —————

თარიღი —————

აღნიშნე სწორი პასუხი.

კოველთვის ხანდახან იშვიათად არასოდეს

- ჩემს აზრს დიად გამოვთქმაშ. ————— ————— ————— —————
- ვცდილობ, არგუმენტირებულად ვისაუბრო. ————— ————— ————— —————
- როცა სხვა ლაპარაკობს, ქურადღებით ვუსმენ. ————— ————— ————— —————
- განსხვავებული აზრი მაინტერესებს. ————— ————— ————— —————
- განსხვავებულ აზრს ვითვალისწინებ. ————— ————— ————— —————
- ვიცი, რომ ქამათი ჩხებში არ უნდა გადაიზარდოს. ————— ————— ————— —————
- დროის ლიმიტს ვიცავ. ————— ————— ————— —————



სახელი, გვარი —————

თარიღი —————

აღნიშნე სწორი პასუხი

ყოველთვის ხანდახან არასოდეს

- შემიძლია მეგობარს მივწერო წერილი.
- შემიძლია, შევადგინო განცხადება ნაცნობ თემაზე
- შემიძლია, შევაგხო სააპლიქაციო ფორმა.
- თემის წერისას ვიყებენ ახლადნასწავლ სიტყვებს.
- შემიძლია, ვისაუბრო ჩემი მომავალი სპეციალობის შესახებ.
- ჩანაწერის მოსმენისას შემიძლია გავიგო, რაზეა საუბარი.
- შემიძლია ლუქსიკონის გამოყენება.

(გამოყენებულია ევროპავშირის განათლების კომიტეტის მიერ შემუშავებული დებულებები, რომელთა მიხედვითაც ხდება უცხოური ენის ცოდნის დონის დადგენა)

თვითშეფასების შედარებით უფრო არაფორმალური მოდელია მოსწავლეების მიერ ჩანაწერების (დღიურების) წარმოება. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუქსნას ასეთი ჩანაწერების გაგთვების

მნიშვნელობა და სარგებლობა. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ თვითშფასებაზე ორიენტირებული ჩანაწერები მათ ხაშუალებას მისცემს, უფრო ნათლად დაინახონ საკუთარი წარმატებებიც და მარტინი მარტებლობებიც. ასევე, დამოუკიდებლად იპოვონ სირთულეების ძლევის გზები. ქვემოთ მოგვავს ასეთი ჩანაწერის ნიმუშს:

„დღეს ფიზიკაში ნივთიერების აგენტებია აგვისტონებს. მერე ორი ცდა წაგატარეთ. ცდები მიყვარს. პირველი ცდა ქარტად გავთგე-როდესაც მასწავლებელმა გვითხრა, ვარაუდი გამოთქვით, ასე რა-ტომ მოხდათ, მე ჩემი ვარაუდი გამოვთქვი და მართალიც აღმოგწნდო. მაგრამ მურჯ ცდა ნაძღვილად ვერ გავიგვ და გამიჭირდა დასკვნის გაკეთება. მე მგონი დაღლილი ვიყავი, ან, უბრალოდ, ყურადღებით არ ვიყავი. არ ვიცი. კიდევ ერთხელ გადავიკითხავ გაკვეთილს და თუ კიდევ ვერ გავიგვ რისტვის იქო ის ცდა, მერე მასწავლებელს ან დათოს ვკითხავ.“

თქვენ პატი შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დახარჯის შემცირებულ კველი შეკითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაეცით პასუხები.

ძირითადი დასკვნები და რეფომუნდაციები:

- მოსწავლეების მიერ საკუთარი შესაძლებლობების და მიღებული ცოდნის შეფასება არის თვითშეფასება, ხოლო მეგობრის, თანაკლასელის შეფასება - თანატოლთა შეფასება;
- თვითშეფასების ან თანატოლთა შეფასების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა შეფასების სქემებია. მასწავლებელმა უნდა შეძლოს ყოველი კონკრეტული შემთხვევისა და საჭიროების მიხედვით მარტივი და კონკრეტული შეფასების სქემების შემუშავება;
- ჩანაწერი თვითშეფასების ერთ-ერთი ფორმაა. ჩანაწერის საშუალებით მოსწავლე ობიექტურად აფასებს საკუთარ წარმატებებს და პრობლემებს და ეძებს სირთულის გადაღახვის გზებს;
- თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება შეფასების ის მეთოდებია, რომლის დროსაც მოსწავლე დამოუკიდებლად, მასწავლებლის უშუალო მონაწილეობის გარეშე აღვნებს თვალს ცოდნის მიღების პროცესს და აფასებს თავის შესაძლებლობებს. ეს კი მას დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევას უფალიბებს

ამ თავის წარმომადგენ მუნიციპალიტეტის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რატომ არის მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის პროცესის გაანალიზება და შეფასება;

რას გულისხმობს პრობლემის გადაჭრამდე გადადგმული ნაბიჯების ანალიზი და შეფასება;

როგორ უნდა შეაფასოთ, თუ რამდენად კარგად ესმით და ალწერენ მოსწავლეები პრობლემის გადაჭრის პროცესს;

როგორ შეიძლება დავადგინოთ მოსწავლეთა კონკრეტული და სპეციფიკური საჭიროებები პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით.

## სიტუაცია

მასწავლებელს კლასში 25 მოსწავლე ჰყავს. იგი დაინტერესებულია, დაადგინოს, თუ რამდენად კარგად ესმით მოსწავლეებს განტოლებები და რამდენად შეუძლიათ გამოიყენონ ისინი სხვადასხვა სირთულის პრობლემების გადასახურებლად. ასევე, მას სურს, გაიგოს, დროული იქნება თუ არა ახალ მასალაზე გადახვდა. ამიტომ ახალ საკითხებზე გადასვლამდე მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა ცოდნას განტოლებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მასწავლებელი წინასწარ მოემზადა გაკვეთილის ჩასატარებლად. მან გადახედა მასალას, რომელიც მოსწავლეებმა გაიარეს წინა კვირას. მასწავლებელმა აარჩია რამდენიმე სხვადასხვა სირთულის ამოცანა და დაახარისხა ისინი სირთულის მიხედვით. მან გაითვალისწინა თავისი მოსწავლეების შესაძლებლობები და ჩამონათვალიდან შეარჩია სამი სხვადასხვა სირთულის პრობლემა. დაინიშნა დრო, გააგეთა შესაბამისი ჩანაწერები და ამოხსნა თითოეული მათგანი. მასწავლებელმა იცის, რომ მისგან განსხვავებით, ამოცანის ამოსახსნებლად მოსწავლეებს ორჯერ მეტი დრო დასჭირდებათ. ის კარგად იცნობს

მოსწავლებს და დარწმუნებულია, რომ ერთი ამოცანის ამოხსნას ყველა მოსწავლე მოახერხებს, შეორე ამოცანას მოსწავლეთა უმეტესობა ამოხსნის, ხოლო მესამე, შესაძლოა, ყველასთვის რთული იქნას კრიტიკული მოვლენები.

მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია პროცესის აღწერა თუმცა დაც კველაზე მარტივი პრობლემის გადაჭრის დროს. მასწავლებელმა იცის, რომ შესაძლოა ზოგიერთი მოსწავლე რამდენიმე მცდარი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ მიხვდეს საუთარ შეცდომას და თავიდან დაიწყოს პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება.

შესაძლოა, ზოგიერთმა მოსწავლემ შესანიშნავად აღწეროს მის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მაგრამ სასურველ შედეგს კერ მიაღწიოს, ანუ მას ამოცანა კერ ამოხსნას, პრობლემა კერ გადაჭრას. მოსწავლეთა მიერ აღწერილი ნაბიჯები მასწავლებელს საშუალებას მისცემს, დაინახოს, როდის დაიწყებს  
მოსწავლებმა მცდარი  
გადაწყვეტილებების  
მიღება და რა იქმ ამის  
მიზეზი.

ბ ა კ ვ ე თ ი ლ ი ს  
დ ა წ ე გ ბ ი ს ა ს  
მასწავლებელი ძალიან  
ნათლად აცხობს  
მოსწავლებს, თუ რა  
მოქთხოვებათ მათ. იგი  
უხსნის მოსწავლებს,  
რომ ეს არ არის  
ის შემთხვევა, როცა  
ყველაზე მთავარია  
ხწორი პასუხის  
გაცემა. ამ შემთხვევაში  
მასწავლებლისათვის  
ბევრად მნიშვნელოვანია,  
თუ როგორ, რა გზით  
ხსნიან ისინი ამოცანებს.  
მისთვის მნიშვნელოვანია,  
არასწორი პასუხის  
დროსაც იცოდეს, თუ  
რა გზით ცდილობდა  
მოსწავლე პრობლემის  
გადაწყვეტას და რა კონკრეტული ნაბიჯები გადადგა. აქედან  
გამომდინარე, მოსწავლებმა უნდა გააკეთოს  
ხანაწერები, რომელთა ანალიზი საშუალებას  
მისცემს პედაგოგს, დაადგინოს, თუ სად უშვებენ



შეცდომებს მოსწავლეები და გაუწიოს მათ დახმარება.

მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს სამ ამოცანას, სოხუმის ჩანაწერების გაკეთებას და პირდება, რომ ვინც დავალებას სრულად ვასოვნად შეასრულებს, 10 ქვლას მიღებს და მის წარმატებას. მეტობიც გაითვალისწინებს. მასწავლებელი მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნასა და პროცესის დოკუმენტირებაზე 45 წელს ძლიერდება. დავალების დასრულების შემდეგ იბარებს მოსწავლეთა ნამუშევრებს და იწყებს მათ ანალიზს.

მასწავლებლი ეცნობა ჩანაწერებს, აანალიზებს მათ და ხვდება, რომ კლასში სამი ჯაუფი იკვეთება: 1. მოსწავლეები, რომლებმაც ორი ამოცანა მაინც ამოხსნებ და ამოხსნის გზები კარგად ჩაწერეს; 2. მოსწავლეები, რომლებმაც ორი ამოცანა მაინც ამოხსნებ, მაგრამ ამოხსნის გზები ცუდად ჩაწერებ; 3. მოსწავლეები, რომლებმაც საურთოდ კურ გაიგეს ამოცანის ამოხსნის პროცესი და ძირითადად არასწორი პასუხები გასცეს. ასეთმა შედეგებმა მასწავლებელი დაარწმუნა, რომ სხვადასხვავა სირთულის ამოცანების ამოხსნებულად კვადრატული განტოლების გამოყენების პროცესი ყველასათვის ნათელი არ იყო. ამიტომ კიდევ ერთი გაკვეთილი უნდა ჩაეტარებინა ამ თემაზე და გაეთვალისწინებინა ყველა ის შეცდომა, რომელიც გამოიკვეთა მოსწავლეთა ჩანაწერებში.

უმეტეს შემთხვევაში მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლის მიერ გადაჭრილი პრობლემის მართებულობას და აფასებს შესაბამისი ქვლებით. შეფასების ეს ფართოდ გავრცელებული ხერხი მნიშვნელოვანია, მაგრამ ნაკლებად იძლევა ინფორმაციას მოსწავლეთა სპეციფიკური და კონკრეტული საჭიროებების შესახებ.

ამ თავში ვსაუბრობთ ისეთ მეთოდზე, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია პრობლემის გადაჭრამდე გადადგმული ნაბიჯების ანალიზი და შეფასება. ამ მეთოდით მუშაობის დროს მოსწავლეები აკეთებენ თანმიმდევრულ ჩანაწერებს პრობლემის გადასაჭრელად ჩატარებული სამუშაოს შესახებ. ეს მეთოდი ორიენტირებულია უფრო პროცესზე და არა შედეგზე. ამ მეთოდს პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასება შეიძლება უკრძალო. იმისთვის, რომ პრობლემის გადაჭრის პროცესი უფრო ნათელი გახდეს, გავისხმოთ, თუ რა არის პრობლემა და ჩამოვთვალოთ პრობლემის გადაჭრის შესძლო ეტაპები, რომლებიც, რა თქმა უნდა, საგნისა და პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება გარკვეულწილად განხსნავებული იყოს:

პრობლემად ითვლება ისეთი სიტუაცია, როედი საკითხი, ამოცანა, რომელიც საჭიროებს შესწავლას და გადაჭრას. პრობლემის

გადაჭრა გულისხმობს გარკვეული პრობლემის ამოსახსნელი პირობების, ხერხების ან დამხმარე საშუალებების მოფიქრებას კრიტიკული და შემოქმედებითი გზით. პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს საზოგადო საზოგადო უნიკალურობას, რომელიც უფრო უძველესია ცოდნასა და ლოგიკურ აზროვნებას.

პრობლემის გადაჭრის შესაძლო ეტაპებია:

1. პრობლემის განსაზღვრა;
2. შესაყერისი ინფორმაციის შეგროვება;
3. პრობლემის გამოქვეყნი შესაძლო მიზეზების დადგენა;
4. პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ხერხების მოფიქრება;
5. პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის არჩევა;
6. პრობლემის გადაჭრის გეგმის ჩამოყალიბება;
7. შედეგების შემოწმება და შეფასება.

პრობლემების გადასაჭრელად მოსწავლეების მიერ გადადგმული ნაბიჯების აღწერას, ანუ პროცესის შეფასების მეთოდს მასწავლებლისათვის სამი მიზანი აქვს:

1. შეაფასოს, თუ როგორ გადაჭრიან მოსწავლეები პრობლემებს;
2. განსაზღვროს, თუ რამდენად კარგად ესმით და აღწერენ მოსწავლეები პრობლემის გადაჭრის პროცესს;
3. შეისწავლოს მოსწავლეების აზროვნების პროცესი და განიხილოს მათთან ერთად პრობლემის გადაჭრის წარმატებული და წარუმატებელი გზები.

ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გაანალიზოს მოსწავლეთა ჩანაწერები. ჩანაწერების ანალიზის შედეგად მასწავლებელს შეუძლია დაადგინოს პრობლემის გადაჭრის როგორი უნარ-ჩვევები აქვს თითოეულ მოსწავლეს; მისცემს მოსწავლეს დროული და მნიშვნელოვანი რჩევები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე უკეთ გაიგებს საკუთარი შეცდომების მიზანს და ისწავლის პრობლემის გადაჭრის პროცესის კონტროლს.

პრობლემის გადაჭრის უფატიანი პროცედურების ცოდნა და გამოყენება მნიშვნელოვანია ნებისმიერი საგნის შესწავლისთვის.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დროს პრობლემების გადაჭრა მიმდინარეობს წყაროების ანალიზე, რეალურ სიტუაციებზე დაყრდნობით, სხვადასხვავა ფაქტორების გათვალისწინებით და ა.შ.

საბუნებისმეტყველო საგნებში – პრობლემური სიტუაციების გადაწყვეტა უფრო უძველესია კვლევებს, კესპერიმენტებს, ცდებს, ანალიზს და ა.შ.

მუსიკაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში/შრომით სწავლა-

ბაში პრობლემების გადაჭრა უფრო შემოქმედებითი ხასიათისაა.

ქართველში პრობლემის გადაჭრა მიმდინარეობს კრიტიკული წეროვნებისა და შემოქმედებითი მიღვომის გზით.

უცხო.ქნებში არსებობს საკითხავი, მოსახმენი, წერითი და გადაღებითი ტემა.

მასშიავლებლის მიერ პრობლემა ისე უნდა იქნას დასმული, რომ მოსწავლეებს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების საშეალება მისცეს. მნიშვნელოვანია, მასშიავლებელმა განიხილოს მოსწავლეთა მიერ გაკორებული დეტალური ჩანაწერები და გააკორს კომენტარები.

### პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასების სასწავლო მიზნებს წარმოადგენს:

- მოსწავლეებმა შეძლონ ნაცნობი პრინციპების განზოგადება და პრობლემებთან მისაღავება;
- პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარება;
- საგნის ხავერდივის გათვალისწინება;
- სწავლის სტრატეგიების და უნარ-ჩვევების განვითარება.

### პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასება ზემოთ აღწერილ შემთხვევასთან დაკავშირებით

1. აირჩიე ერთია, ური ან სამი პრობლემა იმ მასალიდან, რომელსაც მოსწავლეები წინა კვირაში სწავლობდნენ. თუ აირჩევ სამ პრობლემას, მაშინ ეცალე, რომ იქიდან ერთის ამოხსნა მოედ კლასს შეეძლოს, მეორის ამოხსნა კლასის მირთად ნაწილს, ხოლო მესამე, შესაძლოა, როედი იქნას კველასათვის.

2. ამოხსნენ პრობლემები შენ თვითონ და ჩაიწერე ყველა ის ნაბიჯი, რომელიც გადაღები ამ პრობლემების გადაჭრისას. ჩაინიშნე, რა დრო და გარემონდა პრობლემების გადასაჭრელად და რამდენი ნაბიჯი დასჭირდა თითოეულ მათგანს.

3. თუ აღმოაჩენ, რომ რომელიმე პრობლემის გადაჭრა ძალიან ბევრ დროს ითხოვს, ან ძალიან როგორია, შეცვალე ან გაამარტივე.

4. მას შემდეგ, რაც პრობლემებს შეარჩევ, ხათვალე, რომ მოსწავლეებს თოჯვერ მეტი დრო მაიც დასჭირდებათ იმავე დავალების შესახულებლად. ეცადეთ, რომ ინხტრუქციები იქნას ძალიან ნათელი.

5. კარგად აუხსენით მოსწავლეებს, რომ ეს არ არის ტესტი, ხადაც მთავარია პასეჟის გაცემა. ბევრად მნიშვნელოვანია, თუ რა გზით გადაჭრიან იხინი პრობლემებს. მოსწავლეთა ჩანაწერების ანალიზით



შესაძლებელია იმის დადგნა, თუ სად უშემდებრ მოსწავლეები შეი-  
ღომას და რა ტიპის დახმარება დახსრირდებათ.

6. მოსწავლეთა ნამუშევრების განხილვის დროს თავდაპირებული  
გაიკეთეთ სიტყვიერი წამახალისებელი კომენტარები და შემდგა გაძი-  
აფლის ზოგადი სასიათის ხარვეზები.

7. სთხოვეთ ისეთ მოსწავლეების, რომლებმაც განსაკუთრებით გარ-  
გად გაართვეს თავი დავალებას, წარუდგინონ თავიანთი ნამუშევარი  
სხვებს დეტალური, ნაბიჯ-ნაბიჯ განხილვის შეთვის.

8. შეფასების ეს მეთვდი გამოიყენეთ საშინაო დავალებების დრო-  
საც. სთხოვეთ მოსწავლეებს, მიცემელი პრობლემებიდან ერთი მაინც  
ამთხსნან ასეთი გზით. წაახალისეთ ისინი ასეთი მუშაობისათვის.

#### ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- მასწავლებელს პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასება ეხ-  
მარება, გამოიკვლიოს საერთო სირთულეები, რომლებიც ხელს უშ-  
ლის მოსწავლეებს წინსვლაში და წარმოადგენს ახალი მასალის  
აუთვისებლობის საფუძველს;

- მეთვდი, რომლითაც პრობლემის გადაჭრის პროცესი ფას-  
დება, ნათელს ხდის მოსწავლეებისათვის პრობლემის გადაჭრის  
წარმატებულ და წარუმატებულ გზებს;

- ბევრი მოსწავლისთვის ჩანაწერების ხშირად გაკეთება, შეს-  
აძლოა, რთული აღმოჩნდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი  
ეწვევიან პროცესის განხილვას, რაც სწავლის მნიშვნელოვან უნარ-  
ნევას წარმოადგენს;

- ამ მეთვდით მუშაობის დროს მასწავლებელი ითვალისწინებს  
მოსწავლეთა წარმატებების სხვადასხვა დონეებს და კველა მოსწავ-  
ლებს აძლევს საშუალებას, მიიღოს აქტიური მონაწილეობა ჩანაწ-  
ერების გაკეთების პროცესში;

- აღნიშნული მეთვდი ნათელს ხდის მოსწავლეთა საჭიროებებს  
და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შეარჩიოს სწორი სტრატე-  
გია შემდგომი საქმიანობისათვის;

- ამგვარი სწავლება სასწავლო პროცესს ინტენსიულურად  
უფრო დატვირთულს ხდის, ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციის  
დონეებს და აძლიერებს სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის  
ხარისხს.

## კომუნიკაცია

ამ თავის წარითხების შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რას ნიშნავს კარგი კომუნიკაცია;

რატომ არის მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;

როგორ უნდა გააუმჯობესოთ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. რამდენად არის დამოკიდებული მოსწავლეების აკადემიური მოწვება მასწავლებლის კომუნიკაციის უნარზე?
2. რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს ხმას და სამეტყველო ენას მოსწავლეებისათვის?
3. როგორ უნდა მართოთ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები სწავლებისა და სწავლის გასაუმჯობესებლად?



კლასში ხმაურია და მასწავლებელს უჭირს მოსწავლეობის ტროლი. მასწავლებელი ხმამაღლი საუბრით ცდილობს, გადატანონ მათი ხმები. იგი დარწმუნებულია, რომ კლასისთვის მიცემული ინტერესული ფასაზე გასაგებია, რადგან მისი ხმა ყველგან აღწევს. მასწავლებელს ესწრება კოლეგა და დიქტოფონზე იწერს გაკვეთილს. მასწავლებლები წინასწარ თანხმდებიან, რომ გაკვეთილების შემდეგ მათ ერთად უნდა განიხილონ ჩატარებული გაკვეთილი. მასწავლებელი, რომლის გაკვეთილის ჩანაწერსაც ისმენენ, საკუთარი ხმის სიმაღლით გაოცებულია. იგი შეწუხებული და უკმაყოფილო საჯუთარი საუბრით და უჭირს იმის დაჯერება, რომ ის, ვინც ასე უხილვნოდ ყვირის, თავადაა.

როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა, რომ ოქვენც იგივე რეაქცია გქონდეთ საკუთარი ხმისა და მეტაველების მოსმენის შემდეგ? იმისათვის, რომ თქვენი პასუხი ობიექტური იქნება, ჩაიწერეთ ერთ-ერთი გაკვეთილი. ამის გაკეთება როგორი არ არის და არც კოლეგის დასწრებაა აუცილებელი. უბრალოდ, ჩართულ მაგნიტოფონი ან დიქტოფონი და ჩაიწერეთ გაკვეთილის მსგლელება. მოისმინეთ და შეადარეთ თქვენი რეაქცია აღნიშნულ შემთხვევაში აღწერილ მასწავლებლის რეაქციას. შემდეგ შეავსეთ თვითშეფასების სქემა.





## მასწავლებლის თვითშეფასების სქემა

კითხვები	დიახ	არა
გამოვხატავ თუ არა ნათლად იმას, რისი თქმაც მსურს?		
სასიამოვნოდ აღიქმება ჩემი ხმის სიმაღლე თუ არა?		
ძალიან ჩქარა ვსაუბრობ თუ არა?		
არის თუ არა ჩემი საუბარი მონოტონური და უემოციო?		
ყველა სიტყვას ნათლად და გასაგებად წარმოვთქვამ?		
არის თუ არა ჩემი სამეტყველო ენა რთული და ტერმინოლოგიით დატვირთული?		
ვიყენებ თუ არა აქტიური მოსმენის ტექნიკებ?		
გაძლიერ თუ არა განსაზღვრულ დროს მოსწავლეებს კითხვებზე პასუხების გასაცემად?		

პასუხების გაანალიზების შემდეგ განსაზღვრეთ ხარვეზები. მეტი ობიექტურობისთვის, სთხოვეთ სხვა მასწავლებელს, მოუსმინოს ჩანაწერს და მიგანიშნოთ იმაზე, რის გამოხსწორებასაც საჭიროდა.

სანამ საკუთარ გაუვათილს ჩაიწერდეთ, გაუცანით ქვემოთ მოცემულ თეორიულ მასალას, რომელიც საშუალებას მოგცემთ, უკეთესად მართოთ საკუთარი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

კომუნიკაცია წარმოადგენს როგორც პროცესს, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის ან იდეაბის გაცვლას ვერბალურად (ხიტყვიერად), არავერბალურად (არასიტყვიერად), თუ წერილობით. ეფექტიანი კომუნიკაცია გულისხმობს არამარტო ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მიღებას, რაც ითვალისწინებს მოსმენას, დაკვირვებასა და შეგრძებას. ადამიანების უმრავლესობა ფიქრობს, რომ არა აქვს პრობლემა კომუნიკაციაში, თუმცა, თუ სისტემატურად დაგაკვირდებით წვენს კომუნიკაციურ უნარ-ჩვევების, აუცილებლად ვაპოვით ხარვეზს. მასწავლებელებს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, თუ როგორი რეაქცია ექნება მოსწავლეს შეთავაზებულ აქტივობაზე, საუბარზე ან დასმულ შეკითხვაზე. მასწავლებლის რეაქცია, ვერბალური თუ არავერბალური, ნებისმიერ საკლასო სიტუაციაში გავლენას ახდენს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაზე. იმისათვის, რომ მასწავლებელს შესაბამისი რეაქცია პქონდეს, სჭირდება კარგად განვითარებული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები და იმის გაგების უნარი, თუ რას როგორ აღიქვამებ მოსწავლეები.

## სმის გამოყენება

მასწავლებლის ხმა საკლასო კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ხმის აქვს ზოგიერთი ფიქსირებული თვისება, რომელიც აძლევს მას განსაკუთრებულ ხასიათს. აქედან გამომდინარე, სასურველი ეფექტის მისაღწევად, თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ ხმის დონე, ბეჭრის სიმაღლე, ტონი, მკაფიობა და გამომხატველობა, რათა ხმა უფრო ეფექტურად გამოიყენოთ და ყურადღება გაამახვილოთ იმაზე, რასაც ამბობთ.

შეტყველება არამხოლოდ შინაარსის გადასცემის, არამედ მოსწავლესთან ურთიერთობის საშუალებაა. მოსწავლეთა სახელების გამოყენება, მათი კლასგარეშეცხოვებით დაინტერესება, მათი გამოცდილების დაფასება ქმნის კომუნიკაციისათვის დაღებით ატმოსფეროს.

დისციპლინის დასამყარებლად მასწავლებელი შეტყველებას ხშირ-

ად უარყოფითი ფორმით იქნებს. თუმცა, დადგბით მიღვომას უფრო  
მეტი შედეგი მოაქვს.

უკელა დამიანს შეუძლია იხსიავლოს სასიამოვნო საუბარის პრეზი-  
ლიოროს საგუთარი ხმის სიმაღლე და საუბრის ტემპი. კარგია, თუ  
შეგვიძლია სხვადასხავა ტონალობის ეფექტიანად გამოყენება, მა-  
გრამ არ უნდა კილაპარაკოთ ძალიან ხმამაღლა, თუ მის უკიდურესი  
აუცილებლობა არ არის. ცნობილია, რომ ხმამაღლა მოხაუბრე მას-  
წავლებელს პეავს ხმაურიანი კლასი. თუ ზედმეტს ვკვირით, მაშინ  
კვირილი ჩვევაში გადადის.

რასაკვირკველია, კლასში მასწავლებლის ხმა უკელას უნდა ეხმოდეს,  
მაგრამ ამისთვის კვირილი საჭირო არ არის.

თუ მასწავლებელი მკაფიოდ და ნათლად გამოთქმამს ხიტყვებს,  
შესაძლოა, ხმადაბლი ნათქვამიც გასაგები იყოს მთელი კლასითვის. ხმის რეგულაცია და პროექცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია  
კომუნიკაციაში. ხმირად თქვენი საუბრის შინაარსი განსაზღვრავს  
ხმის ტონს. ადამიანს, შესაძლოა, ჰქონდეს მაღალი ან დაბალი ტონი,  
მაგრამ რომელია ბუნებრივი, ამის გარჩევა მოხსავლებს არ უჭირთ.  
სათქმელის ხაზგასასმელად, სახურკველია, ხმის სიმაღლე დავწიოთ.  
ხმის სიდაბლე მნიშვნელოვნების შეგრძნებას ბადებს დაუკრადდების

მიქცევის მიზნით, უფრო  
ავტორიტეტული და  
სანდოა. ჩვენ შეგვიძლია  
ხმა აკიმაღლოთ, მაგრამ თუ  
იხსელი ხმამაღლა საუბარი  
გვახასიათებს, ამას არ  
ექნება იგივე შედეგი. შმვიდი,  
გაწონასწორებელი საუბარი  
მსმენელზე გაცილებით  
უფრო დიდ გავლენას  
ახდენს. თუმცა, გარკვეულ  
ხიტეაციაში შეიძლება  
აუცილებელიც იყოს  
ჩქარი ლაპარაკი, მაგრამ  
ამ დროს უკრადდება უნდა  
მივაქციოთ გამოთქმას.

ხმის საშუალებით  
სახურკველი შედეგის  
მისაღწევად, საჭიროა.

ზ ე მ ო ა დ ნ ი შ ნ უ ლ ი  
ფაქტორები ავტორიდ გამოვიყენოთ. მაგალითად, მასწავლებლი ვერ  
შეძლებს ეფექტიან კომუნიკაციას, თუ მისი ხმის სიმაღლე მისაღებია,  
მაგრამ სიტყვებს ნათლად და მკაფიოდ არ გამოთქმას.



დაუბრუნდით თქვენი გაკვეთილის ჩანაწერს და დააკვირდოთ, რა ეფექტს ახდენს მოსწავლეებზე თქვენი საუბარი. თუ თქვენ ხმაში-დღა საუბრობთ და მოსწავლეებიც თქვენგან ასეთ ტონს მიზარდეთ ბი არიან, სასურველ შედეგს ვერ მიაღწევთ. ასევე, მნიშვნელოვანი, თქვენი ხმა გამოხატავდეს ემოციას. თუ ვინმეს აქებთ, თქვენი ხმა უნდა იყოს სასიამოვნო; თუ რამე მოგწონთ, ხმაში სიხარული უნდა იგრძნობოდეს; თუ დისციპლინაზე საუბრობთ, თქვენი ხმა უნდა იყოს მომთხოვნი. თუ თქვენ ყველაფერზე ერთხაირი ხმით საუბრობთ, მაშინ არ გაგიკვირდეთ, რომ მოსწავლეები ყველა თქვენს ნათქვაში ერთგვანად აღიქვამენ.

## მასწავლებლის სამეტყველო ენა

იმისათვის, რომ მოსწავლეებს განუკითარდეთ მეტყველების უნარი, აუცილებელია, რომ მათ კარგად ესმოდეთ მასწავლებლის საუბარი. მოსწავლეებმა, შესაძლოა, არ იცოდნენ ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, რომელიც მასწავლებლის ყოველდღიური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი.

მოსწავლეებს უნდა ვალაპარაკოთ მათთვის გასაგებ ენაზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეს არ უნდა ვასწავლოთ საგანთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ამ ტერმინოლოგიას მოსწავლე თანდათანობით უნდა ითვისებდეს. მოსწავლეებისათვის მარტივია ახალი მასალის გაგება, თუ მას დავაკავშირებთ უკვე ნაცნობ თქმებთან.

კიდევ ერთხელ განიხილეთ თქვენი გაკვეთილის ჩანაწერი და დაადგინეთ თქვენი სამეტყველო ენის სპეციფიკა ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხების გაცემით:

- რა არის თქვენს საუბარში დადებითი?
- გაიხსენეთ, თქვენი მოსწავლეებიდან რამდენი იყენებს იმავე ტერმინებს და ფრაზეოლოგიას, რომელსაც თქვენ ხმარობთ? თუ საგმაოდ მცირე, რას ნიშნავს ეს?
- ხომ არ მიგვანიშნებს ეს იმაზე, რომ მათ არ ესმით ამ ტერმინების მნიშვნელობა?
- როგორ წარმოადგენთ და განმარტავთ უცხო სიტყვებს ბაკვეთილზე?
- ჩამოწერეთ, რომელ სპეციფიკურ სიტყვებს თუ ფრაზებს იყენებთ?
- რა სახით მისცემთ მოსწავლეებს შესაძლებლობას, რომ ივარჯი-

## პუნქტი

საუბრის დროს მეტად მნიშვნელოვანია პაუზა. მასწავლებელს შეუძლია ის ძალზედ ეფექტიანად გამოიყენოს რომელიმე საკითხის მნიშვნელობაზე ხაზგასასმელად. ასევე, აუცილებელია პაუზის გაკორება და მოთმინება, სანამ მოსწავლე პასუხს გასცემს თქვენ მიერ დასმულ კითხვას. კვლევებმა აჩვენეს, რომ პაუზისთვის საუკეთესო დროა 3 წამიდან თხუთმეტ წამამდე და ზემოთ, კითხვის სირთულის შესაბამისად.

## ყურადღების მიპყრობა

მასწავლებელმა გაკვეთილის დასაწყისშივე ისეთ ხერხს უნდა მიმართოს, რომ მიიპყროს მოსწავლეთა ყურადღება. შესაძლოა მასწავლებელს ამისთვის რამე წესი პქონდეს შემოღებული. მაგალითად: „კითვლი სამამდე. როდესაც ვიტყვი სამს, კველა მოსწავლე მზად იქნება გაკვეთილისთვის“<sup>4</sup>. სანამ ლაპარაკს დაიწყებდეთ, დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე ჩუმად არის, გხედავთ და ყურადღებით გისმენთ. საუბრის დროს ნუ იმოძრავებთ, რადგან ამან შეიძლება გაფანტოს მოსწავლეთა ყურადღება.

## არავერბალური კომუნიკაცია

არავერბალური კომუნიკაციაში შედის ადამიანის ჩაცმულობა, უსტიკულაცია, პოზა, სახის გამომეტყველება (მიმიკა), მანერები, მზერა. არავერბალური კომუნიკაცია აძლიერებს ან ამცირებს ერბალურს და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ემთხვევა ერთმანეთს ვერბალური და არავერბალური სიგნალები. სხის ტონალობისა და ინტონაციის შესაბამისი უსტიკულაცია და სახის გამომეტყველება უნდა ახლდეს. მაგალითად, შეიძლება შეკითხვა ისე წარმოეთქმათ, რომ მოსწავლემ მასში თხოვნა შეიცნოს. ტონი და სხის ტემპი ხშირად თითქოს ცვლის სიტყვების შინაარსსაც კი. მკვლევარების აზრით, ადამიანი საუბრის დროს ინფორმაციის 55%-ს არავერბალური კომუნიკაციით იღებს.

თქმებ შევე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დახარისხის  
 მიღებულ კველა შეგითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაუცით  
 პასუხები.

### ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- ეფექტიანი კომუნიკაციის უნარ-ჩვევა მასწავლებელს უაღვილებს მოსწავლეებთან ურთიერთობას, ხწავლებისა და ხწავლის პროცესის უკეთ წარმართვას და მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში;
- მასწავლებლის მონიტორინგისა და სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია საკუთარი ხმისა და სამეტყველო ენის დახვეწა;
- მასწავლებელი, რომელიც საუბრის დროს არ ხმარობს გაუგებარ სამეტყველო ენას და აქტიურად უსმენს მოსწავლეს, მეტ წარმატებებს აღწევს;
- ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები ავსებენ ერთმანეთს და მასწავლებელი, რომელიც ეფექტიანად იყენებს მათ, უფრო ნაკლებ ენერგიას ხარჯავს კლასში და უკეთეს შედეგებს იღებს.

ამ თავის წარითხების შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

კომუნიკაციის რა საშუალებები არსებობს;

რას ნიშნავს აქტიური მოსმენა;

როგორია დახურული და დია კითხვები;

როგორ უნდა წარვმართოთ ეფექტიანი ახსნის, კითხვა-პასუხისა და დიალოგის პროცესი.

## აქტიური მოსმენა

### სიტუაცია

მასწავლებელი გაკვეთილზე მოქმედებს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით და ცდილობს, არ დაარღვიოს განსაზღვრული დროს ლიმიტი. ერთ-ერთი აქტივობის დროს მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს. მოსწავლეთა უმეტესობა აქტიურობს. მასწავლებელს სურს, მთილოს სწორი და სწრაფი პასუხები. მოსწავლეებს, რომლებიც აყოვნებენ პასუხებს, აწყვეტინებს და საპასუხოდ სხვა მოსწავლეს იწვევს. მოსწავლეების არასწორი პასუხის შემთხვევაში მასწავლებელი გამოხატავს უგძაყოფილებას და გადიზიანებას. დროთა განმავლობაში კითხვებზე მოპასუხებ მოსწავლეთა რაოდენობა კლებულობს და ბოლოს მხოლოდ ორი მოსწავლე იღებს მონაწილეობას. მასწავლებელი მუდმივად ამოწმებს დროს და კმაყოფილია, რომ კითხვები განსაზღვრულ დროში ამოწურა.

განიხილეთ სიტუაცია, გაეცანით ქვემოთ მოცემულ განმარტებებს და ადგილად დაადგენთ, არის თუ არა ეს მასწავლებელი აქტიური მსმენელი.

აქტიური მოსმენია არის მოსმენისა და პასუხების გაცემის ისთის ფორმა, რომელიც აუმჯობესებს ურთიერთგაგებას. აქტიური მოსმენის დროს მსმენელი მთლიანად არის ჩართული მოსმენის პროცესში და თანაუგრძნებლს მოსაუბრებს. ის ხშირად იმურებს მოსაუბრის სიტკვებს, რათა დააზუსტოს ხწორად გაიგო თუ არა მისი ნათქვამი. ასეთი ქცვა მოსაუბრებს ეხმარება, საჭიროების შემთხვევაში, კიდევ ერთხელ განმარტოს თავისი მოსაზრება.

მასწავლებელი, რომელიც აქტიური მსმენელია:

- უერადდებით უსმენს მოსწავლეებს და ცდილობს, დაადგინოს შეცდომების მიზანები.
- არ ღიზიანდება, როდესაც არ ეთანხმება მოსწავლის მოსაზრებებს.
- მოსწავლეებს აგრძნობინებს, რომ იგი მზად არის მათი მოსაზრებების მოსასმენად და გასაგებად.
- დარწმუნებულია, რომ მოსწავლეებს კარგად ესმით კითხვების არსი.
- აძლევს მოსწავლეებს დამატებით შეკითხვებს ნათქვამის დასაზუსტებლად.
- აძლევს მოსწავლეებს დროს შეკითხვებზე პასუხების გასაცემად.

ხშირად კონფლიქტი, პრობლემები და გაღიზიანება უკავშირდება იმას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ აქტიური მსმენელები. აქტიური მოსმენის უნარ-ჩვევას გამომუშავება სტირდება.

შეიძლება ჩამოვთვალოთ აქტიური მოსმენის რამდენიმე პრინციპი:

- წაახალისეთ ადამიანები საუბრის დროს, რათა მათ ნათლად გამოთქვანა თავიანთი მოსაზრებები;
- განმარტეთ და დააზუსტეთ მოსაუბრის ნათქვამი;
- გამოყავით ძირითადი იდეები და მოსაზრებები;
- შეაჯამეთ მიღებული ინფორმაცია.

მოსმენის დროს აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ყერა-დღებას გამოვხატავთ მზერით, მანერებით, სხეულის მოძრაობით, სისი-ტონით, უსტიკულაციით და ა.შ.

ჩატარებულ გამოკვლევათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მასწავლებლები დროის უმეტეს ნაწილს მოსწავლეთათვის შეკითხვების დასმას და მათი პასუხების მოსმენას უთმობენ. კარგი იქნება, თუ მასწავლებლები გაითვალისწინებენ, რომ მათი მხრიდან აქტიური მოსმენა სასიკეთო გავლენას ახდენს მოსწავლის განწყობაზე და კომუნიკაციის კულტურაზე.

სხვისი მოსმენის და გაგების უნარი არის მოსწავლეთათვის აუცილებელი უნარ-ჩვევა. პირველ რიგში, ამის საუკეთესო მაგალითს თავად მასწავლებელი უნდა იძლეოდეს. დროთა განმავლობაში მოსწავლები სწავლობენ მოსმენას, რაც ეხმარება მათ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში და სხვების მიმართ პატივისცემის გამოხატვაში.

## ახსნა

მასწავლებელი ბეჭრ დროს უთმობს ახსნას. ახალი თქმის შემოტანისას მოსწავლეები მოელიან, რომ მასწავლებლის ახსნილს კარგად გაიგებენ და როდესაც ეს ასე არ ხდება, ისინი დიზიანდებიან, ან საკითხისადმი გულგრილი ხდებიან. კარგად სტრუქტურირებული ახსნის პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა გამოცდილებას, იყენებს სხვადასხვა საგანამანათლებლო რესურსეს, გეგმავს ისეთ აქტივობებს, რომლებშიც მოსწავლეები არიან ჩართული და თავად იკვლევენ ახალ მასალას.



ასპექტი	მასწავლებლის ქმედება
გაბეჭდი	<ul style="list-style-type: none"> <li>• განიხილავს ახალ ინფორმაციას უკვე ნაცხობ თემებზე დაფუძნებით;</li> <li>• იყენებს მოსწავლეთათვის გასაგებ გამოთქმებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა გამოცდილებას.</li> </ul>
სტრუქტურირება	<ul style="list-style-type: none"> <li>• აყალიბებს გაკვეთილის მიზანს;</li> <li>• წინასწარ განსაზღვრავს გაკვეთილის ორგანიზების ფორმას;</li> <li>• აჯამებს მოსწავლეთა მირითად მოსაზრებებს.</li> </ul>
მიმღევრობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლოგიკურად აწყობს გაკვეთილის შინაარსს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.</li> </ul>
ახსნა	<ul style="list-style-type: none"> <li>• განსაზღვრავს მირითად საკითხებს;</li> <li>• აძლევს მაგალითებს ამ საკითხების იღებებრაციისათვის;</li> <li>• იყენებს ისეთ მაგალითებს, რომელთაგან ზოგი კონკრეტულია და ზოგიც აბსტრაქტული.</li> </ul>
წარდგენა	<ul style="list-style-type: none"> <li>• კარგად გამოთქმამს სიტყვებს და ლაპარაკობს საქმიანისად ხმამაღლა;</li> <li>• პრეზენტაციის ყველა ნაწილი გასაგებია;</li> <li>• ვერბალურ ნაწილს ახმარს არავერბალურ კომუნიკაციას და იყენებს ვოზუალურ საშუალებებს.</li> </ul>



## კითხვების დასმა

კითხვების დასმა სწავლებისა და სწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანებული ხერხია. კითხვის დასმა წარმოადგენს ინტერაქტიულ სწავლის ნაწილს. იმისათვის, რომ შეგვძლოთ კითხვების ეფექტურად დასმა, უნდა გაითვალისწინოთ:

- რა ტიპის კითხვის დასმას აპირებთ;
- რატომ სვამთ კითხვას;
- როდის აპირებთ კითხვის დასმას;
- რა ფორმით აპირებთ კითხვის დასმას;
- ვის უსვამთ კითხვას;
- რა ხერხს მიმართავთ, თუ მოსწავლე ვერ იგებს შეკითხვას, ან შეუსაბამო პასუხს გაძლიერებთ;
- რა დროს აძლევთ მოსწავლეს დახმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

მიუჟედავად ამისა, თქვენ არ შეგიძლიათ, წინასწარ დაგეგმოთ კველა შეკითხვა. სწავლებისას უნდა იყოთ შემოქმედებითები, გაკვეთოლის გეგმის ფარგლებში. კითხვის დასმა არ არის მარტივი პროცესი. კითხვა შეიძლება დაიხვას ბევრი მიზეზის გამო. მაგალითად, მოსწავლების ყურადღების მისაპყრობად; იმის შესამოწმებლად, გისმენებ თუ არა; გაიგეს თუ არა ინსტრუქცია ან განმარტება; პრობლემების გადაჭრისა და ანალიზის სტიმულირებისათვის; ან, უბრალოდ, დისკუსიის გამოსაწვევად.

## დია და დახურული შეკითხვები

ყველაზე მეტად გავრცელებულია იხეთი ტიპის კითხვების დასმა, რომელზეც არსებობს ერთი სწორი პასუხი. ამით მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლის ცოდნას რამე კონკრეტული საკითხის შესახებ. მაგალითად, დაასახელეთ პერს დედაქალაქი; რა არის რინის ატომური წონა? რას ვეძახით ძირითად არტერიას, რომელიც გულში შედის? - ასეთ კითხვებს ჰქვიათ დახურული შეკითხვები, რადგან მათ აქვთ მხრივოდ ერთი სწორი პასუხი. მოსწავლემ ან იცის სწორი პასუხი, ან არა. ის არ ფიქრობს ბევრს. დახურული კითხვები შეიძლება დაუსვათ მთელ კლასს. ასეთი კითხვები აძლიერებს მოსწავლეთა მეხსიერებას და ახალ მასალათან დასაკავშირებლადაც გამოიყენება.

რაც შეეხება დია შეკითხვებს, მათ არა აქვთ ცალსახა პასუხი. ასეთი კითხვები ხშირად გამოიყენება აღქმის და გაგების განვითარებისათვის. მაგალითად: როგორ შეგვიძლია შევამციროთ ნარკოტიკების მოხმარება? რატომ დაეცა რომის იმპერია? რა სიტყვებს გამოიყენებდი

**შემოდგომის ტყის აღწერისას?**

ასეთი კითხვები უფრო კომპლექსურია, ვიდრე დახურული კითხვები. მათი მიზანია, გააფართოონ მოსწავლის გაგება. ასეთ კითხების მიზანი ასეუხის გაცემისათვის მოსწავლეებს უწევს ინფორმაციის მანამუშავდების ცოდნის, დოგიკის და წარმოსახვის დახმარებით. დია კითხვას არ მოხდევს სწრაფი პასუხი. მოსწავლეებს სჭირდებათ დრო ინფორმაციის შესაგროვებლად, იდეების გარშემო კამათისა და პასუხისათვის.

თუ მასწავლებელი სრულყოფილად ფლობს კითხვების დასმის უნარ-ჩვევას, იგი ისე წარმართავს მას, რომ თვითონ შეუმჩნეველი რჩება, ხოლო მოსწავლეებს უწინდებათ კონკრეტული საკითხისა თუ სასწავლო მასალის სრული ამოწურვისა და დრმად გამოკვლევის სურვილი.

### **გავრცელებული შეცდომები კითხვების დასმის დროს**

მასწავლებელი კითხვების დასმის დროს შეიძლება უშვებდეს ისეთ შეცდომებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეთა ჩართულობაზე და ხელს უშლის შედეგების მიღებას.

**გავრცელებული შეცდომები:**

- მოსწავლეებს არ უქმნებს;
- კითხვებს სწრაფად სვამს;
- გულისყურით არ უხმებს;
- ერთი კითხვიდან მეორეზე ხტება;
- ბევრ კითხვას სვამს ერთდროულად;
- სვამს კითხვებს და თავად პასუხობს;
- კითხვებს მხერილოდ წარმატებულ მოსწავლეებს უსვამს;
- როგორ კითხვებს ლოგიკისა და თანმიმდევრობის გარეშე ხვამს;
- შეუსაბამო კითხვებს სვამს;
- ყოველთვის ერთნაირი ტიპის კითხვებს სვამს (მაგ. დახურული);
- მოსწავლეებს ფიქრის საშუალებას; არ აძლევს;
- მოსწავლეთა პასუხებს იგნორირებს უკეთებს;
- მოსწავლეთა პასუხებზე დასკვნებს არ აკეთებს;
- კითხვებს მოსწავლეთა პასუხებზე არ აგებს.

გავრცელებული შეცდომაა, როდესაც მასწავლებელს წინასწარ აქვს მოაზრებული, თუ რა პასუხს ელის მოსწავლისგან დია შეკითხებს დროს და აიძულებს მოსწავლეს, მივიდეს მის მიერ გაცნობიერებულ პასუხამდე. დია კითხვებმა უნდა მიანიშნონ პასუხების

ხიმრავლებე, რომელიც შეიძლება მასწავლებლისათვის არ იყოს მოხალოდნებლი პასუხის მსგავსი, მაგრამ იყოს კითხვის შესაბამისი. თუ მოსწავლებებს წინასწარ აქვს განსაზღვრული, რა უნდა უდისუხშირ მოსწავლებმა, მაშინ ასეთი კითხვა არ შეიძლება დიაკრიტიკულ ჩაითვალოს. მოსწავლეები ცდილობენ, მიხვდნენ, როგორი პასუხის მიღება სურს მასწავლებელს და ასეთი პასუხი არ წარმოადგენს მოსწავლის ნააზრებს. მასწავლებელმა არ უნდა დაუსვას მოსწავლებს ისეთი შეკითხვები, რომლებიც შეუსაბამო იქნება მათ ცოდნასა და გამოცდილებასთან. არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეთა მცირე ჯგუფს უსვამს კითხვებს, ხოლო დანარჩენებს კი იგნორირებას უკეთებს. ხანდახან, მასწავლებელი სვამს შეკითხვებს, რომელიც მოსწავლეებისთვის გაუგებარია, რადგან მათ სიტყვების მნიშვნელობა არ ესმით, ან მათთვის კითხვა რთული გასაგებია.

## დიალოგი

კომუნიკაციის საუკეთესო ფორმას წარმოადგენს დიალოგი. მასწავლებელი მუდმივად უნდა ცდილობდეს, რომ მისი საუბარი არ იყოს მონოლოგი. მას უნდა შეეძლოს დიალოგის წარმართვა.

დიალოგის დროს მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლებთან ერთად ფაქტების ანალიზი, სიტუაციის ობიექტები შესწავლა, და არა საკუთარი პოზიციის დაცვა. მოსწავლეებთან წარმართული დიალოგის დროს მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, მათთან ერთად შემოქმედებითად მიუდგეს საკითხს. დიალოგმა უნდა მიგვიყვანოს თანამშრომლობამდე. მასწავლებლისთვის მეტად მნიშვნელოვანია, შეძლოს მოსწავლეების თანაგრძნობით მოსმენა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასში გადიზიანებას არ უნდა იწვევდეს მოსწავლის განსხვავებული, თუნდაც მცდარი მოსაზრება. მთავარია, მასწავლებელმა დაადგინოს, რა უდევს საფუძვლად მოსწავლის მხრიდან საკითხის ამგვარ გაგებას.

დიალოგის წარმართვის, კითხვების დასმისა და მოსმენის უნარ-ჩევების დახვეწა ხანგრძლივი პროცესია და მას მასწავლებელი მუდმივად სრულყოფს. საერთო პრობლემებზე მსჯელობისას მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ სასკოლო გამოცდილებას, ხოვაზობენ შენიშვნებსა და რჩევებს, რითაც დიდ დახმარებას უწევენ ერთმანეთს. ასეთი ტიპის თანამშრომლობა ხელს უწყობს სწავლებაში ახალი მიღვომების გამოყენებას. ამით კი უმჯობესდება და იხვეწება სასწავლი პრაქტიკა.



თქვენ უკვე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასტურებულის შე მოცემულ კველა შეკითხვაზე. დაუბრუნდით კითხების დაუცილებელი პასუხები.

### ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- მოსმენა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უნარ-ჩვევას სწავლისა და სწავლების პროცესის წარმატებით წარმართვისათვის;
- დადგებითი განწყობით მოისმინეთ მოსწავლეთა პასუხები და ისინი მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიებში, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და აქტიურად ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში;
- დიალოგისა და დისკუსიის მეთოდით მომუშავე მასწავლებლები მუდმივი შემოქმედებისა და განვითარების პირობებს უქმნიან მოსწავლეებს და თავადაც მუდმივი პროფესიული განვითარების პროცესში იმყოფებიან;
- მასწავლებლის კომუნიკაციის უნარ-ჩვევები და მისი დამოკიდებულება დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეების განვითარებაზე.

ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რატომ არის მნიშვნელოვანი საკლასო დისკუსია;

როგორ უნდა მოვემზადოთ და მოვამზადოთ მოსწავლეები დისკუსიისთვის;

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ დისკუსიის პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურმა რაოდენობამ მიიღოს მონაწილეობა;

როგორ უნდა გავაუმჯობესოთ სასწავლო პროცესი დისკუსიის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1.რომ განსხვავდება კითხვა-პასუხი დისკუსიისაგან?

2.როგორ ვმართოთ დისკუსიის პროცესი?

3.როგორი ტიპის კითხვები უნდა დაგვათ დისკუსიის დროს?

4.როგორ ჩავრთოთ მოსწავლეები დისკუსიის პროცესში?


5.როგორ ჩავატაროთ დისკუსია სხვადასხვა ხერხის გამოყენებით?



## სიტუაცია

კათედრის შეხვედრაზე მასწავლებლები განიხილავნ ჩატარებულ გაკვეთილებს. კათედრის გამგე დაინტერესებულია დისკუსიის მეთოდის გამოყენებით, მიღებული შედეგით და, ამასთან დაკავშირებით, სკამს შეკითხვას. შეხვედრაზე დამსწრე მასწავლებლების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ამ მეთოდით თითქმის ყოველ გაკვეთილზე მუშაობს. ამის დასადასტურებლად, ერთ-ერთი მასწავლებელი იხსენებს კითხვებს, რომელიც მოსწავლეებს დაუსცა და მიმოხილავს მოსწავლეთა პასუხებს. მეორე მასწავლებელი ამბობს, რომ მისი მოსწავლეები ხშირად თავად მართავნ დისკუსიას და უსვამენ შეკითხვებს ერთმანეთს. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მოსწავლეები ძალიან კარგად ართმევნ თავს ამ პროცესს და მისი ჩარევა მხოლოდ მი შემთხვევაშია საჭირო, თუ მოსწავლეების პასუხები ხშირი არ არის. მასწავლებელი კმაყიფილია იმით, რომ მოსწავლეები ზუსტად ისე პასუხობენ, როგორც თავად უპასუხებდა.

გთხოვთ, განიხილოთ მოცემული სიტუაცია და განსაზღვროთ, თუ რა დასკვნებს გააკეთებდა კათედრის გამგე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. დასკვნები ჩაიწერეთ და თეორიული ნაწილის გაცნობის შემდეგ გააუმჯობესეთ ისინი.





დისკუსია კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებააა და თავისუალური სით დიალოგს გეტარება, როგორც სწავლების ორგანიზაციის ფორმით, ისე სასწავლო მასალის შინაარსზე მუშაობის ხერხებით. დისკუსია წარმოადგენს ისეთ მეთოდს, რომელიც ორგანიზებას უკეთებს და კითხვების დახმისა და პასუხების გაცემის პროცესს და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, უფრო დრმად განიხილოს შესასწავლი საკითხი. მასწავლებელი ყოველთვის წინასწარ ემზადება დისკუსიისათვის. განსაზღვავს სადისკუსიო პროცედურას, კითხვებს და პროცედურებს. საკლასო დისკუსია შეიძლება მიმდინარეობდეს მოსწავლეთა მცირე ჯგუფებში, ან მთელ კლასში, ასევე – მასწავლებელსა და მოსწავლეებს, ან მოსწავლეებს მორის. დისკუსიის დროს მასწავლებელი გეზის მიმცემის როლს ასრულებს და აკონტროლებს პროცესს, რათა მოსწავლეებმა არ გადაუხვიონ სადისკუსიო საკითხს და არ დაარღვიონ დისკუსიის წესები. მთელ კლასთან დისკუსიის ჩატარების თრგანიზების საუკეთესო ფორმას წრეში მოსწავლეების განლაგება წარმოადგენს.

დისკუსიის მეთოდით მუშაობის დროს აუცილებელია კლასში იქის ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო. მასწავლებელი თავად უნდა წარმოადგენდეს სხვის აზრის პატივისცემის მოდელს, რადგან მასწავლებლის მოსწავლეებისადმი დამოკიდებულება მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულების განმსაზღვრელია.

დისკუსიის უფექტური და მასწავლებელში უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

1. მოსწავლეების მომზადება;
2. წესები და პროცედურები;
3. დისკუსიის მართვა;
4. მოსალოდნელი შედეგები.

## **1. მოსწავლეების მომზადება**

- მოსწავლეების უნარ-ჩვევების და ცოდნის დადგენა;
- საჭირო ინფორმაციის განსაზღვრა;
- მოსწავლეებისათვის ინფორმაციის წყაროების მითითება.

## **2. წესები და პროცედურები**

- საკითხის შერჩევა და დისკუსიის დროის განსაზღვრა;

- სივრცის ორგანიზება ისე, რომ ყველა მოსწავლეს შექმნოს ერთმანეთთან თვალით კონტაქტი;
- დიკუსიის წესების განსაზღვრა.

### 3. მასწავლებლის როლი

- ნათლად განსაზღვრავს სადისკუსიო საკითხებს;
- არ ერება დისკუსიის შინაარსობრივ მხარეში;
- ხელს უწოდს მოსწავლეების დისკუსიაში ჩართვას;
- აძლევს მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობას;
- აკონტროლებს იმას, რომ მოსწავლეებმა ერთმანეთს დააცადონ საუბარი და აზრის სრულფასოვანი გამოხატვა;
- აკონტროლებს იმას, რომ დისკუსიის დროს მოსწავლეებმა კონკრეტული საკითხიდან არ გადაუხვონ და მსჯელობა უსაგნო საუბარში არ გადაიზარდოს.

### 4. მოსალოდნელი შედეგები

- საგაკვეთოდო მასალის უკეთ გაგება, გამოყენება, ანალიზი და შეფასება;
- სწავლა სხვების მოსაზრებების და შეხედულებების საფუძვლზე;
- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შემქნევა;
- საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცება.

ყველა მოსწავლის დისკუსიაში ჩასაბმელად საჭიროა მასწავლებელმა ისეთი შექითხვები დასვას, რომლებიც შეესაბამება როგორც თითოეული მოსწავლის, ასევე მოელი კლასის ინტერესებს.

კითხვები მოსწავლეებს შემოქმედებითი თუ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ეხმარება, რაც შემდგომში უთუოდ ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციისა და ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბებას.

შეკითხვის ფორმაში შეიძლება გავლენა მოახდინოს პასუხის სტილზე, შინაარსსა და ემოციურ ხასიათზე. მაგალითად, თუ დავხვამოთ შეკითხვას: რა სახის პრობლემები წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ტერიტორიები დაგვარგეთ? პასუხი ემოციური იქნება.

მასწავლებელმა შეკითხვების დასმის დროს სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს საუბრის ტონს, ხმის ტემპის, წარმოთქმის სისწრაფეს, სახის მიმიკას, სხეულის მოძრაობას, თვალით კონტაქტს და, რაღა თქმა უნდა, კითხვის შინაარსს. შეკითხვის დასმა შესაძლებელია დაიწყოთ საკმაოდ მკაცრი, ცივი, ან თვითიალური

ტონით, რომელიც ბოლოში ოდნავ უნდა შეარბილოთ. მაგალითად, რას ფიქრობთ თქვენ? ეს მარტივი კითხვითი წინადადება შეიძლება მრავალნაირად წარმოვთქვათ. კარგი იქნება, თუ შეკითხვის დასტილიზების დროს გავიღიმებთ კიდევ.

დისკუსიისათვის დრმა და შინაარსიანი ფორმის მიცემისათვის შეიძლება შეკითხვა ისე წარმოვთქვათ, რომ მოსწავლემ მასში თხოვნა შეიცნოს. ტონი და ხმის ტემპი ხშირად თითქოს ცვლის ხიტების შინაარსსაც კი. მეტად მნიშვნელოვანია კითხვებით ხასიათის დაღვენა და სხვადასხვა ტიპებიდ დაყოფა. კითხები მრავალმხრივით უნდა გამოირჩეონ და გააჩნდეთ განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა. მასწავლებელთა უმრავლესობა ადგენს კითხვათა ნუსხას, რომელიც დაახლოებით, 8 ან 10 ბაზისური კითხვისაგან შედგება. აქედან შეიძლება წარმოიშვას უმრავლეს სხვადასხვა შეკითხვა. კითხვათა ცვლილება დამოკიდებულია ხასწავლის მიზნის ცვალებადობაზე.

მასწავლებელი მოსწავლეებს დისკუსიისათვის წინასწარ ამზადებს. აცნობს დისკუსიის საკითხებს და მიზნებს. მასწავლებელი დისკუსიას იწყებს ისეთი კითხვებით ან პრობლემით, რომელიც აღმრაგს მოტივაციას მოსწავლეებში და რთავს მათ დისკუსიაში. დისკუსიას შეიძლება ახლდეს მოკლე პრეზენტაციები მასწავლებლის ან მოსწავლეების მხრიდან. მასწავლებელი ცალილობს, დისკუსიაში მხოლოდ მოსწავლეები იყვნენ ჩართული და ანალიზისა და კვლევის საფუძველზე ამოწურო საღისებულის საკითხი. დროთა განმავლობაში მოსწავლეები ენევიან დისკუსიის დროს რეგლამენტის დაცვას, ხწრავი და ადგვაციური პასუხების გაცემას და არგუმენტების მოყვანას.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს დისკუსიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები გამოიუშავდებათ, მასწავლებელს შეუძლია დისკუსიის ისეთი ფორმები გამოიყენოს, რომელსაც მთლიანად მოსწავლე წარმართავს.

სასურველია, მასწავლებელმა დაფაზე დაწეროს დისკუსიის საკითხები და პერიოდულად შეასხენოს მოსწავლეებს.

დისკუსიას მასწავლებელი დია შეკითხვებით წარმართავს. მაგალითად:

- როგორია თქვენი რეაქცია ამა და ამ საკითხთან დაკავშირებით?
- რომელმა პრობლემამ დაგაინტერესათ?
- რა დასკვნებს გამოიტანოთ ამ მონაცემებიდან?
- რა გაძლევთ ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს?
- რა არგუმენტების საფუძველზე გამოიტანეთ ასეთი დასკვნა?

- რა არის საჭირო იმისათვის, რომ . . . . . ?
- რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ . . . . . ?
- როგორ გავლენას იქონიებს . . . . . და რატომ?
- რას უნდა ველოდეთ . . . . . ?

დისკუსიის პროცესში მასწავლებელი არ აკრიტიკებს მოსწავლე-თა მოსაზრებებს, შეხედულებებსა და იღებს. მასწავლებელი, ამავე დროს, ცდილობს, დაეხმაროს მათ საკითხის უპრ გაშუქებასა და საკუთარი თავის მიმართ რწმენის განმტკიცებაში. მაგ: „მასწავლებლი მიმართავს მოსწავლეებს: „იქნებ უფრო დრმად გააშუქოთ ეს საკითხი“? ან თუ მასწავლებელს სურს, უფრო დახვეწოს მოსწავლის ნააზრევი, ამბობს: „ეს ნამდვილად ახალი იდეაა, როგორც მიგხვდო. . .“. „ხომ არ შეგიძლიათ, მოიყვანოთ არგუმენტი . . .“. „რატომ ფიქრობთ ასე . . . შეგიძლია ახსნა, რას გულისხმობ ამაში . . .“. ასეთი მიღვომა მოსწავლეებს უბიძებს ახალი იდეების გამოთქმისაკენ. მასწავლებელი სოხოეს, გამორქვან თავიანთი მოსაზრებები იხეოდა მოსწავლეებმა, რომლებიც ჩუმად ხევდან.

დისკუსიის მეთოდს მასწავლებელი იყენებს გაკვეთილის მიზნის შესაბამისად. ამასთან, ითვალისწინებს მოსწავლეების საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს და იმასაც, თუ რამდენად არიან მომზადებულნი დისკუსიისთვის.

დისკუსიის დასასრულს, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს დისკუსიას და განიხილავს დისკუსიის დადგით და უარყოფით მხარეებს.

### დისკუსიის წესები:

1. მასწავლებელი დისკუსიის დაწყებამდე ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა ფერის სამ პატარა ალამს;
2. მოსწავლეები ფერად ალმებს პატარა დრუბლის ნაჭერში არჭონებენ და თავიანთ მერხზე ათავსებენ;
3. ალმები კარგად უნდა ჩანდეს;
4. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თამაშის წესებს. თოთოველ მოსწავლეს უფლება აქვს, დისკუსიის მსვლელობის დროს მხოლოდ სამჯერ გამოთქვას აზრი.

ყოველი პასუხის შემდეგ მოსწავლეებ უნდა დადოს გვერდზე. როდესაც მას ოც ერთ მხოლოდ მსმენელის როლს შეასრულებს.

ଅଲ୍ପମି ଫଳ ପା-  
ଦାରିଜୀବ, ଓଧି  
ଉତ୍ତରବେଶ  
ଶକ୍ତିକାନ୍ତିକୁ

ამ ხერხით ჩატარებული დისკუსიები დაეხმარება მასწავლებელს დისკუსიის სწორად წარმართვაში და თუ მას სისტემატურად გამოიყენოთ, ნახავთ, რომ დროთა განმავლობაში როსწავლეთა პასუხები ლოგიკური და დისკუსიის თემის შესაბამისი იქნება. ასევე, ეს ხერხი შესაძლებლობას მოგცემთ, კლასში დისკუსია მხოლოდ წარმატებული მოსწავლეების ჩართვით არ ამოიწუროს და მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა გააქტიუროთ. მასწავლებელმა, საჭიროებები-დან გამომდინარე, შეიძლება ან გაართულოს, ან გადააკეთოს ეს პროცედურა.

დისკუსიის ჩატრების სხავდასხვა ხერხი

**ხერხი – 1.** პრობლემის ან შეკითხვის დასმის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, შებრუნვნენ გვერდზე მჯდომი მოსწავლისკენ და გამართონ დისკუსია პასუხის მოსაქმნად. მიეცით მოსწავლეებს შესახვავის მცირე დრო (30 წამი).

გამოიყენეთ ეს მეოდი მაშინ, როდესაც კითხვას ან პრობლემას აქვთ მარტივი პასუხი და ოქვენ გხერთ, მიიღოთ ოქვენი მოსწავლეებისაგან სწრაფი პასუხი. ამ ხერხის გამოყენების მიზანია, გახადოთ ყველა მოსწავლე დისკუსიის მონაწილე.

გაითვალისწინეთ, რომ წყვილებში ერთი მოსწავლე დომინანტურია მეორეზე და ოქვენ ხელი უნდა შეუწყოთ კველა მოსწავლის ჩართვას პროცესში. შესაძლოა მოსწავლეებისათვის თავდაპირველად ასეთი დაგალების მიცემამ კლაში ხმაური გამოიწვიოს, მაგრამ დროთა გან- მავლობაში თქვენ მოახერხებთ პროცესის ჩართვას.

**ხერხი - 2.** ეს ხერხი არის პირველი ხერხის მსგავსი, მაგრამ განსხვავდება იმით, რომ მასწავლებელი სთხოვს, 30 წამის განმავლობაში დამოუკიდებლად იფიქრონ შეკითხვაზე ან პრობლემაზე და ამის შემდეგ დაიწყონ დისკუსია ერთმანეთში. მასწავლებელი, დისკუსიის მიმდინარეობიდან გამომდინარე, არეგულირებს დროს. წევილებში დისკუსიის დასრულების შემდეგ ისინი მოედ კლასს უზიარებენ მოსახრეებს.

სასურველია, მოსაზრებების გაზიარებაზე გადახვიდეთ მას შემდეგ,  
რაც წევილებში რამდენჯერმე გაიმართება დისკუსია და მოსწავლეე-

ბი მიეჩვევიან ამ ხერხით მუშაობას.



**ხერხი - 3.** ეს ხერხი წინა ორი ხერხის მსგავსია, მაგრამ მოხატულების გაზიარების ტექნიკამდე კიდევ ერთი საფეხური ემატება. წყვილები იცვლებიან, ახალი წყვილები ერთმანეთს უზიარებენ სხვა წყვილებში გამოიქმედ მოსაზრებებს და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მოელ კლასთან მოსაზრებების გაზიარება. მნიშვნელოვანია ის, რომ მასწავლებელმა თვალყური აღევნოს ახალ წყვილებში დიკუსიას და განსაზღვროს, არის თუ არა იგი კონსტრუქციული.

დაუწევეთ დროის ლიმიტი წყვილებს აზრის გამოსათქმებელად. სთხოვეთ მოსწავლეებს, მოუსმინონ ერთმანეთს და პატივი სცენ ერთმანეთის ნააზრევს.

**ხერხი - 4.** დისკუსია მიმდინარეობს 3-5 წევრიან ჯგუფებში. დასკავე შეკითხვა, ან წამოჭერით პრობლემა და უთხარით მოსწავლეებს. სწრაფად განიხილონ იგი ჯგუფში. ეს ხერხი კარგია მოსწავლეებისგან სწრაფი პასუხების მისაღებად. მიეცით თოთვეულ მოსწავლეს ჯგუფში ერთი პასუხის გაცემის უფლება.

კითხვების დასმის შემდეგ მასწავლებელი აკვირდება, მონაწილეობს თუ არა კველა მოსწავლე ჯგუფურ დისკუსიაში. იგი თავდაპირველად აკონტროლებს იმას, რომ მოსწავლეებმა არ გააკრიტიკონ ერთმანეთის იდეები. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ მოსწავლეები არიან მომზადებულები და აქვთ შესაბამისი უნარ-ჩვევები, აძლევს ერთმანეთის მოსაზრებების და იდეების კრიტიკის საშუალებას.

ჯგუფური დისკუსიის დასრულების შემდეგ ჯგუფები უზიარებენ თავიანთ იდეებს ან პასუხებს მოელ კლასს. მასწავლებელი ჯგუფიდან შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, გადმოსცეს ჯგუფის მოსაზრება. იმავე ჯგუფის სხვა მოსწავლეებს შეუძლიათ რამე დაამატონ.

**ხერხი - 5.** მასწავლებელი კლასს აცნობს გარკვეულ მოსაზრებას. მოსწავლეები, რომლებიც ეთანხმებიან მოსაზრებას, ჯგუფდებიან კლასის ერთ კუთხეში, ხოლო მოსწავლეები, რომლებიც არ ეთანხმებიან - კლასის მეორე კუთხეში. მასწავლებელი მომხრევებს და მოწინააღმდეგებს აჯგუფებს წყვილებად, ან მცირე ჯგუფებად და იმართება დისკუსია. მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ თავიანთი პოზიციები.

**ხერხი - 6 (ჯიქსო)** მასწავლებელი ყოფს დავალებას ნაწილებად. კლასს ყოფს 3-5 წევრიან ჯგუფებად და თითოეულ წევრს მხოლოდ დავალების ერთ ნაწილს აძლევს. შემდეგ ნება ახალი ჯგუფები იმ წევრებისგან, რომლებსაც ერთ-და იმავე დავალების ნაწილი აქვთ მიცემული და ჯგუფში იმართება დისკუსია. საკითხის განხილვის შემდეგ თითოეული მოსწავლე უბრუნდება თავის ძველ ჯგუფს. ამ შემთხვევაში ყველა მოსწავლის მიერ მოტანილი იდეები და ინფორმაცია თანაბრად მნიშვნელოვანია დავალების შესასრულებლად, რაც ჯგუფის წევრებს ერთმანეთზე დამოკიდებულს ხდის.

**ხერხი - 7** მოსწავლეები წინასწარ ამზადებენ საშინაო დავალებას. წერენ მოკლე ანალიზს და დასკვნას, მიცემულ საკითხთან დაკავშირებით. კლასში დაბრუნებულები ჯგუფში ან წევილში განიხილავენ თითოეულს და დიკუსიის საფუძველზე აფასებენ ნამუშევარს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ მზადდება მასწავლებლის და მოსწავლეების მიერ. თითოეულმა ჯგუფმა უნდა აარჩიოს ერთი დასპანა, რომელიც მოუდ კლასში დისკუსიის საგანი გახდება.

**ხერხი - 8** დიკუსიაში მონაწილეობს მთელი კლასი. დისკუსიის საკითხს მასწავლებელი წინასწარ აძლევს/აცნობს მოსწავლეებს, ინფორმაციის მოსაძიებლად ასახლებს წეროებს. მოსწავლეებთან ერთად აღგენს დისკუსიის წესებს. დისკუსიისთვის მომზადების დროს მასწავლებელი არ განსაზღვრავს პასუხებს და დისკუსიის დროს არ ცდილობს, მოსწავლეები წაიყვანოს წინასწარ განსაზღვრული პასუხებისკენ. მასწავლებელი დისკუსიას იწყებს მოტივაციის გამომწვევი კოსტიუმთ, პრობლემით ან მოკლე პრეზენტაციით. მასწავლებელი მხოლოდ მართავს პროცესს და სვამს შეკითხვებს დისკუსიის ეფექტურობისთვის.

თქმებ უნდა შეგიძლიათ, იმოქოთ პასუხი ამ თეგის დახარჯისში მოიწყო უკეთ შეითხოთხაზე დაუბრუნდით კითხვებს და გაუცით პასუხები.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- მასწავლებელი გეგმავს გაკვეთილს, განსაზღვრავს დისკუსიის მიზნებს და პროცედურებს;
- მასწავლებელები და მოსწავლეები წინასწარ განსაზღვრავნ დისკუსიის წესებს და წესების დარღვევის შემთხვევაში განიხილავნ მიზეზებს;
- დისკუსია გვაქმნანია, როდესაც დისკუსიის სკითხი მოსწავლეებისათვის ნათელი და გასაგებია, ამაღლებს მათ მოტივაციას და უჩენს დისკუსიაში მონაწილეობის სურვილს;
- მასწავლებელი არ აძალებს მოსწავლეებს დიკუსიაში მონაწილეობის მიღებას, არამედ ქმნის კლასში ისეთ ატმოსფეროს, რომელიც განაპირობებს მოსწავლეების დისკუსიაში ჩართულობას;
- სწორად წარმართული დიკუსიის დროს მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს, უსმენენ და გამოხატავენ პატივისცემას ერთმანეთის მიმართ და სწავლობენ ერთმანეთისგან;
- დიკუსიის დასრულების შემდეგ მასწავლებლი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს დიკუსიის შედეგებს: რას გაართვეს კარგად თავი, რა იყო დისკუსიის სუსტი მხარე და რას გააკეთებენ შემდგომში უკმოქის შედეგების მისაღებად.

ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რას ნიშნავს ინკლუზიური განათლება;

რა არის ინკლუზიური განათლების მიზნები და ძირითადი პრინციპები;

როგორ უნდა დაგნერგოთ ინკლუზიური სწავლება სკოლებში;

საზოგადოების როგორი დამოკიდებულება ახდენს უარყოფით გავლენას განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებზე.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. ვინ ჩაითვლება სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე მოსწავლედ?
2. როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს?
3. რას ნიშნავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლისათვის?
4. როგორ უნდა შევაფასოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური მიღწევები?
5. რა როლი ეკისრება მასწავლებელს ინკლუზიურ განათლებაში



ინკლუზიური განათლება ნიშნავს სპეციალური საგანმანათლებლო ბლოკ საჭიროებების მქონე მოსწავლეების თანატოლებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლედ ითვლება:

- შეზღუდული შესაძლებლობებისა და შეფერხებული განვითარების მქონე მოსწავლეები;
- სოციალურ-ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეები;
- ნიჭიერი ბავშვები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს აღნიშნება განვითარების ერთი ან რამდენიმე შეფერხება (მათთან დაკავშირებით, სიტყვა „ინვალიდი“ 1995 წლიდან, საქართველოს პარლამენტის დადგანილებით, ამოღებულია ხმარებიდან და ჩანაცელებულია ტერმინით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“). განვითარების შეფერხება სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით განისაზღვრება:

• ფიზიკური დარღვევები ( მოძრაობის შეზღუდვა, კიდურების, მხედველობის და სმენის დაფაქტები, მეტყველების პრობლემები);

• გონებრივი დარღვევები (ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით გამოწვეული დარღვევები, ტვინის ტრაგმა, ცერებრული დამბლა, ეპილეფსია, სწავლის უნარის დაჭვითება და სხვა);

• სოციალურ-ემოციური დარღვევები (ქვევის დარღვევები, ემოციური დარღვევები, ყურადღების დაფიციტი, გადამეტებული აქტიურობა (ჰიპერაქტივობა), სოციალური დარღვევები, კომუნიკაციის პრობლემები).

ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპია, რომ ყველა მოსწავლე, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში ერთად უნდა სწავლობდეს. სწორედ ამიტომ, ინკლუზიური განათლება გულისხმობებს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე ნიჭიერი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, უსახლკარო და სოციალური პრობლემების მქონე ბავშვების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. ყველა ეს მოსწავლე სპე-



ბავშვთა კონცენტიის თანახმად, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი“ (იგულისხმება როგორც გონიერივი, ასევე ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდვა) სრულფასოვნად და დირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას დირსების გრძნობას, ეხმარება მისი თვითრწმენის ჩამოყალიბებას და ამსუბუქებს მის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში.

ინკლუზია ნიშნავს ჩართულობას - ანუ ამგარი განათლების ძირითადი აზრია, რომ ყველა ბავშვი მაქსიმალურად იყოს ჩართული საგანმანათლებლო პროცესში და სხვებთან ურთიერთობაში. აქედან გამომდინარე, ინკლუზიური განათლების მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების ხელშეწყობა; მათი სოციალური ინტეგრაცია; მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება; დახმარება, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა განვითარონ თავიანთი სულიერი სამყარო, დაიცვან საკუთარი აზრი, უფლებები და პიროვნეული დირსება.

ინკლუზიური განათლების დაგეგმვა დაკავშირებულია გარკვეულ აუცილებელ პირობებთან, რომელთა შორის უნდა აღინიშვნოს:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა;
- მასწავლებლის როლის განსაზღვრა ინკლუზიურ განათლებაში; სასწავლო გარემოს აღაპება;
- მოსწავლის შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიისა და კლასის მართვის პრინციპების ინკლუზიური განათლების შესაბამისად გათვალისწინება.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერი, რომლის გადალახვაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს უწევთ, სწორედ საზოგადოების დამოკიდებულებაა. მათ მიმართ ყველაზე გავრცელებული ნეგატიური მიდგომებია: შიში, თანაგრძნობა, თავის არიდება, არაეთილგანწყობა, გადამეტებული მზრუნველობა, ზერეგულ ტოლერაციება. ადნიშნული მიდგომების გაცნობა დაგვეხმარება ჩვენი დამოკიდებულების ამოცნობასა და, საჭიროების შემთხვევაში, შეცვლაში.

**შიში** – ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ შეზღუდული შესაძლებლობები გადამდებია და მათ ზიანს მიაყენებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთან ურთიერთობა დეპრესიის გამომწვევია, რადგან ისინი საზოგადოებისგან გაცალკევებულები და დეპრესიულური არიან. ამ შემთხვევაში ადვილია იმის დანახვა, თუ რატომ არის შიში ნება-ტიური მოდგომა.

**თანაგრძნობა** – გაცილებით რთულია იმის დანახვა, თუ რატომ არის თანაგრძნობა ნეგატიური დამოკიდებულება. ხშირად გვესმის: „ოჰ, საწყალი“, „როგორ მეცოდება“. ასეთი თანაგრძნობა მხოლოდ ამცირებს ბაჭყალის დირსებას.

**თავის არიდება** - არის შემთხვევები, როცა ადამიანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთან ურთიერთობისას დისკომფორტს განიცდის და ცდილობს, თავი აარიდოს ასეთ სიტუაციას.

**გადამეტებული მხრუნველობა** განსაკუთრებით აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე საუბრისას. თანაგრძნობის მსგავსად, გადამეტებული მხრუნველობა, ერთი შეხედვით, შეიძლება პოზიტიურ დამოკიდებულებად ჩაითვალის. გადამეტებული მხრუნველობის ქვეშ მოქცეული ბავშვები ხდებიან დაუცველი, დამოკიდებული მოზარდები და ვერ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას.

**სერელე ტოლერანტობა** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ ყველზე გავრცელებული ნეგატიური დამოკიდებულების ფორმაა. ისინი, ვისაც ასეთი დამოკიდებულება ახასიათებთ, მხოლოდ სიტყვიერი ან ფინანსური დასმარებით შემოიფარგლებიან და თავს არიდებენ მათთან დია კონტაქტს. ეს ყველაზე ნაკლებად გულწრფელი დამოკიდებულებაა. ამ გზით კიდევ უფრო ღრმავდება ის ზღვარი, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის არსებობს.

შეზღუდული შასაძლებლობის მქონე ბავშვების უმრავლესობა გამოირჩევა განსაკუთრებული მგრძნობიარობით და ინტუიციით, ისინი ადვილად განასხვავებენ სიყალბეს და ნამდვილ მეობრობას. მათთან დამოკიდებულებაში, მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს პირად



სქოლაში ვერ ნახავთ თუნდაც ერთ კლასს, სადაც მინმატებული ბავშვი მაინც არ სწავლობს გონიერაფარიზელობის (ჟურალდუმის დაფიციტის) და გადამეტებული აქტიურობის (პიპერაქტიურობის) სინდრომით. ასეთი ბავშვი მოუსვენარია, ბევრს მოძრაობს, უჭირს კონცენტრირება და ყურადღების მობილიზება, გაკვეთილის მსვლელობისას ხშირად დგება და დადის, ამით ხელს უშლის პედაგოგსაც და თანაკლასელებსაც.

**აუტისტური ბავშვები.** აუტიზმი ვამოიხატება ადამიანებთან ურთიერთობის დანაკლისსა და კონტაქტისთვის თავის არიდებაში. აუტისტური ბავშვები ვერ იტანენ ცვლილებებს, გაურბიან კომუნიკაციას, შემოხედვას. ზოგიერთ შემთხვევაში მეტყველებისას შესაძლოა მხოლოდ სხვის სიტყვებს იმეორებდნენ და საკუთარ თავს მესამე პირში მიმართავდნენ. გაუცხოებული არიან საზოგადოებასთან და საკუთარ თავთანაც კი. ზოგჯერ შეიძლება ყრუ ან ბრმა მოგეჩვენოთ. თუმცა, აუტისტური ბავშვები ძალიან კარგად ფლობენ საკუთარ სხეულს. ასევე, შესაძლოა, კარგად პასუხობდნენ კითხვებს, რომლებიც სცილდება მათ ქრონილოგიურ ასაკს, მაგრამ ვერ პასუხობდნენ მათი ასაკისთვის მეტად მარტივ კითხვებს. აუტისტური ბავშვებისთვის იზოლაციიდან გამოსაყვანად განსაკუთრებული ძალა აქვს თოჯინების თეატრს. მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მაშინ, როცა სხვა სახის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის დადგენით ეფექტი შეიძლება ჰქონდეს, როცა მათ გულთბილად, მაგრამ ძალდატანებით ვაიძულებთ წამოვიდნენ კონტაქტზე, აუტისტური ბავშვის მიმართ ასეთ მოპერობას უარყოფითი შედეგები მოაქვს. მათთან საუბარი უნდა იყოს რბილი, ძალდატანებელი, თუ გვინდა რომ მოგვიახლოვდეს, თვალებში არ უნდა შევხედოთ, არამედ იმ ადგილისკენ გავიხედოთ, სადაც უნდა მოვიდეს.

სპეციალური საგანმანათლებლო საქიოროების მქონე მოსწავლეების მნიშვნელოვან ნაწილს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეები შეადგენენ. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, სწავლის უნარის დაქვეითება სკოლის მოსწავლეების დაახლოებით 5%-ს აღენიშვნება. მასწავლებლები ხშირად უჩივიან მოსწავლეების სიზარმაცეს, მოუსვენებების. ამ დროს საქმე შეიძლება სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებთან გვთხოდეს. როგორც ქცევის, ასევე სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს ხშირად ახასიათებთ სერიოზული ემოციური დარღვევები და მსუბუქი კოგნიტური პრობლემები. ასეთ მოსწავლეებს სირთულეები აქვთ როგორც აკადემიურ მოსწრებაში, ასევე

თანატოლებთან ურთიერთობაში. ახასიათებთ უყურადღებობა, იმულ-სერობა, გადამეტებული აქტიურობა, განწყობის სწრაფი ცვლა, ხანძო-ლე მეხსიერება. სწავლის უუნარობის მიზეზი მრავალია (თავის ტემპი მსუბუქი დაზიანება, ნევროლოგიური დარღვევები, სხვადასხვა და კვალიტეტი ინფექცია, არასათანადო კვება და სხვა გარემო ფაქტორები).

ინკლუზიური განათლების უმნიშვნელოვანესი პრინციპია, მოსწავლის რეალური შესაძლებლობების გათვალისწინების საფუძველზე მოხდეს სასწავლო მასალისა და გარემოს ადაპტაცია. ინდივიდუალური მიღებობა ინკლუზიური განათლების სტრატეგიის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

### ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მოსწავლის შეფასება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის სწავლას და აკადემიურ წინსვლას სკოლის მხრიდან ინდივიდუალური სასწავლო სტრატეგიის შემთხვევება განაპირობებს. ამ მიზნით სკოლა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს. ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართული მოსწავლეები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლობენ.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აღწერს, თუ როგორ უნდა ჩაერთოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე კონკრეტული მოსწავლე საერთო სასწავლო პროცესში და განსაზღვრავს იმ საგანმანათლებლო საჭიროებებსა და მოთხოვნებს, რომელიც მოსწავლის შესაძლებლობების ფარგლებში მოიაზრება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასახავს წლიურ სასწავლო მიზანსაც. ამ შემთხვევაში სკოლა განსაზღვრავს მოსწავლის მოსალოდნებლ აკადემიურ წინსვლას. ეს მიზანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის შეიძლება მარტივი ან ძალიან მარტივიც კი იყოს. თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლემ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო მიზანი დაძლია, ეს ნიშნავს, რომ მაღალი აკადემიური შეფასება დაიმსახურა. ასეთ შემთხვევაში ამოსავალია მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინება და ამ შესაძლებლობის შეფასება. რიგ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლემ შეიძლება სასწავლო სტანდარტის მხოლოდ რამდენიმე მოთხოვნა დააკმაყოფილოს, მაგრამ ის მაინც მაღალ შეფასებას იმსახურებდეს, რაღაც თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწია. ამ შემთხვევაში მოსწავლე კლასიდან კლასში მაღალი ნიშნებით გადადის.



## სიტუაცია 1.

ლიკა მეხამე კლასის მოსწავლიდა, ლიკას მკვეთრად გამოიხატებოდა კონკრეტული მიზანი (მეტერალური) შესაძლებლობების შეზღუდვა აღენიშება. მაგრავად კონკრეტული დამატებითი მეცადინეობისა, შევვის არ არის. როგორ უნდა მოიქცეო მასწავლებელი?

ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ლიკა სპეციალური საგანმანათლებლო საქიროების ქვეყნის მოსწავლიდა. ის ხელიდაში კონკრეტულად მისთვის შექმნილი სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლობს. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ლიკას შესაძლებლობებია გათვალისწინებული და დასახულია სასწავლო მიზნები. შეზღუდული შესაძლებლობის ქვეყნი მოსწავლეს, უმრავლესობისაგან განსხვავდით, შეიძლება ბევრად მარტივი წლიური სასწავლო მიზანი ჰქონდეს. მასწავლებელი აასუხისმგებელია, რომ მოსწავლებს ის სასწავლო მიზანი დაუსახოს, რისი მიღწევაც მას შეუძლია.

## სიტუაცია 2.

ლიკა კლასიდან კლასში გადადის, რადგან ხელიდაში მართებულია არის გაანალიზებული მისი შესაძლებლობები, შექმნავებულია მისი შესაძლებლობების შესაბამისი სასწავლო გეგმა და სასწავლო მიზნები.

ლიკას, სხვა მოსწავლეებისაგან განსხვავებით, ბევრად მარტივი წლიური და შეალებული სასწავლო მიზანები აქვს. ის წარმატებით ართმევს თავს ამ მიზნის მიღწევას, და ხშირად მაღალ ქულაბაც კი იმსახურებს. ლიკას არ შეუძლია წაიკითხოს მცირე ზომის მოთხოვა, ამ შემთხვევაში მასწავლებელი მას ამ მოთხოვების მხოლოდ ერთი პატარა მონაკვეთის წაითხვას სთხოვს. სწორედ ეს არის ლიკასთვის სასწავლო მიზანი. ლიკა მხოლოდ პატარა მონაკვეთს წაიკითხავს და კარგ შეფასებას იმსახურებს. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა მართებულად შეაფასა ლიკას შესაძლებლობები და შესაბამისი სასწავლო მიზანი დაუსახა მას.

## სიტუაცია 3.

დათო გაკეთოდის მსგავსლობისას ხმამაღლა ლაბარაცობს, ავრეხი-კლად იქცევა, მასწავლებელს კურჩება და ცდილობს, თანაკლასელთან ჩხები გამართოს.

დათოს პიპერაქტიურობის სინდრომი აქვს, რაც ყურადღების გაფანტულობასა და ქცევის აგრესიაში კლინდება. დათოს სო-

ციალური ქცევის განსაკუთრებული ინსტრუქციები ხქირდება, მიზომ  
მისმა პედაგოგმა უნდა შეიმუშაოს გეგმა, როგორ ასწავლის სო-  
ციალური ადაპტაციისთვის აუცილებელი ქცევები.



სოციალურ უნარ-ჩვევათა ხწავლება ნიშნავს მოსწავლისათვის  
აღეპვატური საკომუნიკაციო ჩვევის გამომუშავებას, საკუთარი  
ქცევების რეგულირებისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარის  
ჩამოყალიბებას. ზოგიერთ მოსწავლეს არ შეუძლია დიდი დრო დაუთ-  
მოს ერთი საქმის კეთებას, არ აქვს სხვების მოსმენის უნარი და  
გამკვეთილზე გამუდმებით საუბრობს.

ემოციური და ქცევის პრობლემების ქქონე მოსწავლეებს მკაცრი  
გარემო არ უნდა შეუქმნათ. მათთან ურთიერთობის დროს უნდა  
გავითვალისწინოთ :

- თუ მოსწავლე უარს ამბობს მასწავლებლის მითითებების შეს-  
რულებაზე და აგრეხსიულდად იქცევა, არ შეიძლება ის კლასიდან  
გავაგდოთ. პედაგოგი უნდა შეეცადოს, შეინარჩუნოს მის მიმართ  
კეთილგანწყობა; გამოავლინოს მოსწავლის ინტერესები და ამ  
ინტერესების მიხედვით შეუზრის მას დავალება;

- თუ მოსწავლე თანაბროლებთან ხშირად ჩხუბობს და აგრეხსიუ-  
ლია, პედაგოგმა, სასურველია, არ აკრძალოს სხვა მოსწავლეების  
ასეთ ბავშვთან ურთიერთობა, არამედ მისცეს მას დამშვიდების  
დრო და შეეცადოს, ასწავლის მას თანაბროლებთან ურთიერთო-  
ბების დამყარების წესები. სასურველია, მთელი კლასი ჩავრთოთ  
ამ პროცესში;

- როცა ხწავლის უნარის დაქვეითების ქქონე მოსწავლესთან  
გვაქვს საქმე, პედაგოგი, სასურველია, მუდმივად ცუდ ნიშანს არ  
უწერდეს მას, ან მისგან დავალების აუცილებლად შესრულებას  
არ იხოვდეს. მასწავლებელმა ასეთი მოსწავლის აკადემიური  
მიღწევების შეფასების ინდიკიდუალური მეთოდი უნდა შეიმუშაოს  
და დავალებებსაც მოსწავლის ინტერესებზე დაყრდნობით უნდა  
ადგენდეს.

#### სიტუაცია 4.

ირმა ხშირად დეპრეხიულია გაკვეთილზე, შეხვეწებაზე თანა-  
ბროლებთან ურთიერთობას არ ამჟარებს, უჭირს საუბრის დაწევება,  
ხწავლა და თავს გარიყელად კრძნობს.

ასეთ შემთხვევაში პედაგოგმა მას ხშირი შენიშვნები არ უნდა მისცეს, არამედ შეეცადოს, თანატოლებთან დამატებობრის და ფრენოლოგის მოგვარებაში აქტიურად ჩართოს კლასი.



## სიტუაცია 5.

ნატო ცოტა ხანია, რაც ახალ ხელმისაწვდომობაში გადმოვიდა. ის ხეხტად-ბეჭველია და, იმავართულიად, ხწავლის უნარის დაჭვითება აღვნიშნება. კოველივე ამას იხიც ეძარება, რომ ახალ გარემოში თავს უცხოდ გრძნობს.

ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა მისი პრობლემა უნდა გაითვალისწინოს და შეეცადოს, რომ დაფაზე დიდი და მკვეთრი ასოებით წეროს; აგრეთვე, მასა და თანაკლასელებს შორის ურთიერობების გასაუმჯობესებლად ნატო ჯაუფურ აქტივობაში ჩართოს.

## სიტუაცია 6.

მარიკას შეზღუდული აქს მეტყველების უნარი, არა აქს თავისი ახარისათვის შეხაფერისი ხიტყვათა მარაგი, უჭირს ხიტყვებისა და ბერების ხწორი გამოთქმა, თანატოლებისა და მასწავლებლის ხაუბრის გაგება. ეს ნაკლი მასში გულჩათხრობილობასა და არასრულფასოვნების ერმლექსს იწვევს.

ასეთ შემთხვევებში მასწავლებელი დიდი ყურადღებით უნდა მოეცყროს მოსწავლეს, აგრძნობინოს, რომ აინტერესებს მისი საუბარი, დაუკვირდეს მის ჟესტიკულაციას და შეამოწმოს საქუთარი თავი, რომ სწორად გაიგო ბავშვის ნათქვამი; აქტიურად უნდა ჩართოს საკლასო დისკუსიებში, ყურადღებით უნდა მოუსმინოს და წაახალისოს; სასურველია, ისეთი კითხვები დაუსვას, რომ კითხვას გრძელი პასუხი არ მოპყვეს.

## სიტუაცია 7.

საღომები მოძრაობის შეზღუდვის მქონეა და ინგალიფის ეტლით გადააღვიდება. ის განხაუფთრებული მგრძნობიარობითა და ინტეიციით გამოირჩევა, ძალიან კარგად ხწავლობს, ნაკითხი და ინტერესიანი ბავშვია.

სასურველია, თუ მასწავლებელი მას პირდაპირ მიმართავს. თუ საუბარი გრძელდება, მაშინ მასწავლებელი ისე უნდა დაჯდეს, რომ მოსწავლესთან ერთ დონეზე აღმოჩნდეს; ასევე, სასურველია, განსაკუთრებულად არ მოექცეს მას, ხმირად ზედმეტი ყურადღება პროდლებაზე ყურადღების გამახვილებად აღიქმება, ეს კი ბავშვისთვის, რა თქმა უნდა, მტკიცნეულია; აუცილებლად გასათვალისწინებულია, რომ მასწავლებელმა ყოველთვის ისე დაგეგმოს სასწავლო დონისძიებები და სასწავლო პროცესი, რომ განურჩევლად ყველამ, მათ შორის განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლებმაც მიიღონ მონაწილეობა.

როგორც ვნახეთ, ინკლუზიური განათლების სფეროში მასწავლებელს განსაკუთრებული როლი ეკისრება. ამ კუთხით მუშაობა მასწავლებლისგან მოითხოვს:

• მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების სათანადო შეფასების უნარს;

• უნარს, რომ მოსწავლის განსაკუთრებული და განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები ყოველთვის გაითვალისწინოს და დააკმაყოფილოს;

• უნარს, რომ მოსწავლეს, მისი შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, საგანმანათლებლო შედეგის, მაღალი აპარატური მოსწრებისა თუ სხვა კონკრეტული წარმატების მოლოდინი შეუქმნას;

• უნარს, რომ იზრუნოს მოსწავლის ყოველდღიურ აკადემიურ წინსვლაზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან დაკავშირებული გართულებული სიტუაციების დროს მასწავლებელმა კონსულტაციისთვის ექიმს ან ფსიქოლოგს უნდა მიმართოს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები საჭიროების საჭიროებული სასურველია საკითხი სპეციალური საჭიროებების მშობლებისა და სკოლას შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაა. მშობლებს ინფორმაცია და პროფესიული დახმარება სტირდებათ. მათ კარგად უნდა გაიაზრონ თჯახის როლი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლებისა და განვითარების საქმეში. სკოლა კი, თავის მხრივ, იმ

ინფორმაციას და გამოცდილებას საჭიროებს, რომელიც მშობელს აქვს. მშობელმა ბევრი იცის შვილის დავადების ან ჯანმრთელობის პრობლემის შესახებ. სკოლის აღმინისტრაციამ და პედაგოგურობას კოლექტივმა გადაწყვეტილებების მიღების დროს მშობლები აქტიურ პარტნიორებად უნდა ჩათვალონ.

### ძირითადი დაკვნები და რეკომენდაციები:

- ინკლუზიური სწავლების ძირითადი ამოცანები და სწავლების საბოლოო შედეგები გათვლილი უნდა იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობაზე;
- ინკლუზიური სწავლება ნიშნავს სწავლებისა და შეფასების ინდივიდუალური მეთოდის შემუშავებას;
- ინკლუზიური განათლების სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი;
- მასწავლებელი, მშობლებთან თანამშრომლობის გზით, უნდა ეცადოს, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვმა თავი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად იგრძნოს.

## ნიჭიერი ბავშვები



ამ თავის წარითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ :

როგორ განსაზღვრავენ ნიჭიერებას;

რა მახასიათებლებით გამოირჩევიან ნიჭიერი ბავშვები;

როგორ გავლენას ახდენს მასწავლებლის შეხედულებები და სწავლების სტილი შემოქმედებითობაზე;

რატომ სჭირდებათ ნიჭიერ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება;

როგორია მასწავლებლის პასუხისმგებლობა ინტელექტუალურად გამოიჩინა ბავშვებთან.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. თქვენს რომელ მოსწავლეებს მიაკუთვნებდით ნიჭიერების კატეგორიას?
2. პირველ რიგში, მოსწავლეთა რა მახასიათებლები გაგახსენდათ, როდესაც ზემოთ დასმულ კითხვაზე დაფიქრდით?
3. სკოლის დირექტორმა გთხოვათ, რეკომენდაცია გაუწიოთ კლასიდან რამდენიმე ბავშვს ნიჭიერი ბავშვებისთვის ახლად დანერგილ სპეციალურ პროგრამაში ჩასართავად. რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელებთ მოსწავლეთა გადარჩევისას?
4. თქვენთან მოდის ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი და გიზიარებთ გადაწყვეტილებას ბავშვის ერთი კლასით წინ გადაყვანაზე, მოსწავლე მართლაც ნიჭიერია, რას ურჩევდით? რა ფაქტორებზე გაამახვილებდით ყურადღებას?

საზოგადოების ძირითადი ნაწილი ნორმის, ანუ საშუალო მახასიათებლების ფარგლებში თავსდება, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელებმაც გამოირჩებიან სხვებისაგან და საშუალო მაჩვენებლებს ერთი ან რამ დენიმე ასპექტით ემიჯნებიან. ასეთ ინდიკიდებს, პედაგოგიური და სოციალური თვალსაზრისით, განიხილავნ, როგორც განსაკუთრებულებს, ანუ მათ განსაკუთრებული მიღოცა სჭირდებათ. მათ რიცხვში შედიან ნიჭიერი ან სპეციფიკური ტალანტის მქონე ბავშვებიც. თუ გავითვალისწინებთ, რა დიდი როლი ენიჭება მასწავლებლებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან ურთიერთობაში, როგორც მათი გამოვლენის, ასევე შემდგომი მუშაობის თვალსაზრისით, ცხადი გახდება იმის აუცილებლობა, რომ მასწავლებლებმა მეტი იცოდენ ნიჭიერი ბავშვების შესახებ, მთუმეტეს, რომ ასეთი ბავშვები სასკოლო პრაქტიკის ფარგლებში ხშირად შეიძლება შეგვხვდნენ.

ნიჭიერი ბავშვების გამოვლენის პროცედურა ყოველთვის იდგა მასწავლებლების წინაშე. პედაგოგიკას ყოველთვის არ შესწევდა უნარი, გამოვლინა ტალანტები ან, უბრალოდ, ნიჭიერი ბავშვები. ისტორიულად თუ გადავავლებთ თვალს, გნახავთ, რომ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სკოლების უმრავლესობის კომპიუტერული სერვისები არ შედიოდა ნიჭიერი ბავშვებისათვის სპეციალური პროგრამების შემუშავება, ხოლო იმ სკოლებშიც კი, სადაც ასეთი პროგრამები არსებობდა, ყოველთვის იდგა პრობლემა იმის შესახებ, რომელი ბავშვი უნდა ჩაერთოთ ადნიშნულ პროგრამებში.

## ტალანტის და ნიჭიერების განსაზღვრა

პრობლემა ძირითადად მომდინარეობს იქიდან, რომ ნიჭიერების განმარტება ძალიან ბენდოვანია. ეს ცნება მოიცავს როგორც კარგი და ეფექტური მოსწრებას, მაღალ ინტელექტს, სწრაფი დასწავლის უნარს, ასევე რომელიმე ექსტრაორდინალური უნარისა თუ ტალანტის ქონას. ასეთი ბენდოვანი განმარტება, ბენდორივია, არ არის საქმარისი დასაყრდენი სკოლის მასწავლებლებისა თუ ადმინისტრაციისათვის, რომელთა წინაშეც დგას კონკრეტული პრობლემა, როგორ შეარჩიონ ასეთი ბავშვები სპეციალური პროგრამებისათვის.

თუმცა ყოველდღიურ მეტყველებაში სიტყვები: ტალანტი და ნიჭიერი ხშირად სინონიმებად გამოიყენება. რეალურად, ისინი განსხვავდებულ ფენომენებს აღნიშნავენ. ნიჭიერება არის გამორჩეული ზოგადი უნარი, რომელიც სხვადასხვა სფეროში ვლინდება მაღალი ხარისხის შედეგებითა და შესაძლებლობებით. ტალანტი არის უფრო ვიწრო ცნება და ის გულისხმობს არაჩვეულებრივ უნარს რომელიმე სპეციფიკურ სფეროში, მაგ. როგორიცაა მუსიკა, ხატვა ან მათემატიკა. ბავშვებს, რომლებიც დიდ ტალანტს ავლენენ ადრეულ ასაკში, ვუნდერკინდებ-

საც უწოდებენ. გუნდერკინდებად მოიხსენიებენ ბავშვებს, რომლებსაც აქვთ ექსტრაორდინალური მუსიკალური, მხატვრული თუ ლიტერატურული ტალანტი.

რა თქმა უნდა, ძალიან ხშირად ნიჭიერი ბავშვები ტალანტის უკავებენ. პრაქტიკაში, ცოტა არ იყოს, ძნელია ასეთი ბავშვების დიფერენციაცია, უფრო ხშირად მათ აერთიანებენ ტერმინით „ნიჭიერი ბავშვები“, როთაც აღნიშნავენ კულტურულ იმ ბავშვს, რომელთაც განათლების სისტემაში სპეციალური ყურადღება სჭირდებათ.

**ნიჭიერი ბავშვი** - ბავშვი, რომელსაც გამოივლენს პროფესიონალი კვალიფიციური პერსონალი. ასეთ ბავშვს გამორჩეული უნარების წყალობით შეუძლია მიაღწიოს მაღალ შედეგებს. მათ სჭირდებათ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც სცილდება წეველებრივი პროგრამის ფარგლებს. ასეთი ბავშვები შეიძლება შეფასდნენ შემდეგი კრიტერიუმებით:

- ზოგადი ინტელექტუალური უნარები;
- კარგი აკადემიური მოსწრება;
- შემოქმედებითი ან პროდუქტიული აზროვნების უნარი;
- ლიდერობის უნარი;
- შემოქმედებითი უნარები სხვადასხვა სფეროებში;
- მუდმივი ინტერესი და მოტივაცია.

### **ნიჭიერი ბავშვების იდენტიფიცირება**

პრაქტიკაში ნიჭიერ ბავშვებს, როგორც წესი, ავლენენ ინტელექტის ჯგუფური ან ზოგიერთი ინდივიდუალური ტესტის საშუალებით, ან მასწავლებლების რეკომენდაციით. სამწუხაროდ, მასწავლებლების რეკომენდაცია ხშირად არ არის სათანადოდ ობიექტური და იმ ბავშვების სასარგებლობად გადახრილი, რომლებიც სასკოლო დისციპლინებში კარგი მოსწრებითა და მაღალი სასწავლო მოტივაციით გამოირჩევიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ნიჭიერი, მაგრამ დაბალი მოსწრების ბავშვები არ იდენტიფიცირდებიან ნიჭიერების კატეგორიაში. როდესაც ამერიკელმა მეცნიერებმა როსტმა და ჰანგნისმა გადაამოწმეს 7 000 მესამედეკლასელი (ბავშვები შეუჩემდებლების რეკომენდაციით), აღმოაჩინეს, რომ ნიჭიერი ბავშვების 2/3 ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი.

ინტელექტის ტესტის გამოყენებაც ვერ ხსნის პრობლემას, ვინაიდან, სამწუხაროდ, ხშირად არ არის ნათლად დადგენილი, კონკრეტულად რა უნარებს ამოწმებს ასეთი ტესტები და რამდენად ზუსტად.

ამგვარად, ის, რაც პრაქტიკაში ხდება, საკმაოდ შორს არის ნიჭი-

ერების ზოგადი განმარტებისგან, ანუ არსებული 5 კრიტერიუმიდან ძირითადი ყურადღება ექცევა შხოლო ორს – ინტელექტუალურ უნარებს და სასკოლო მოსწრებას.

ბევრი მკლევარი შეეცადა, არსებული ნაკლისა და პრობლემების გათვალისწინებით, შეემუშავებინა ნიჭიერი ბაგშების გამოვლენის უფრო ოპტიმალური კრიტერიუმები. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ მასწავლებელმა ნიჭიერება უნდა შეაფასოს სულ ცოტა 3 კრიტერიუმის კომბინაციით (ეს ფაქტორები შეიძლება იყოს როგორც გამოვლენილი, ისე პოტენციური):

- მაღალი სასკოლო მოსწრება; მაღალი ინტელექტის კოეფიციენტი;
- მაღალი შემოქმედებითი უნარები (ახალი იდეაბი, პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზების მიება);
- მაღალი მიზანდასახულობა (ამოცანის ამოხსნის დროს შედგისკენ დაუინებული სწრაფვა).

ეს იძლევა ნიჭიერი ბაგშების წინასწარი გამოვლენის საშუალებას. რეკომენდებულია, გამოვიყენოთ შეფასების მრავალი, და არა მხოლოდ ერთი, მეორე. ეს მოგვცემს უფრო სანდო შედეგის მიღების საშუალებას.

## ნიჭიერი ბაგშების ზოგიერთი მახასიათებელი

განმარტებების მიხედვით, ნიჭიერ ბაგშებს ახასიათებთ ინტელექტის თვალსაჩინო უპირატესობა კრეატიულობისა და მოტივაციის თვალსაზრისით. უნარებისა და მოტივაციის სწორი კომბინაციის პირობებში კულტურული გარემო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ნიჭიერების ფორმირებისთვის.

ნიჭიერ ბაგშებს თუ ყურადღებით დააკვირდებით, შენიშნავთ, რომ მათ:

- დაკვირვების არაჩვეულებრივი უნარი აქვთ და არ გამორჩებათ მნიშვნელოვანი დეტალები;
- ინტელექტუალური აქტივობა დიდ სიამოვნებას ანიჭებთ;
- აბსტრაქციის კარგად განვითარებული უნარი აქვთ;
- ადვილად ხედავენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- კრიტიკულები არიან და ადვილად ამჩნევენ შეუსაბამობას;
- ცნობისმოყვარები არიან და ხშირად სვამენ კითხვებს „რატომ“ და „როგორ“?
- ორიგინალურად აზროვნებენ და სწევებით პრობლემის გადაწვეტის ახალი, არასტანდარტული გზების მიება.



სპეციალური პროგრამების შექმნა ნიჭიერი ბავშვებისათვის ძალიან აქტუალური საკითხია. სამწუხაროდ, ხწავლაში ჩამორჩენილი ბავშვების საქმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ნიჭიერია. სასკოლო პროგრამები ისე უნდა იყოს დამუშავებული, რომ როგორც საშუალო მონაცემების, ისე ნიჭიერ ბავშვებსაც ჰქონდეთ თავისი პოტენციალის მაქსიმალურად განვითარების საშუალება.

ნიჭიერი ბავშვების ხწავლებასთან დაკავშირებით, არსებობს ორი ძირითადი მიზანობა: აქსელერაცია (დაჩქარება) და გამდიდრება (პროგრამის მეტად გაჯერება). თითოეული ეს მეთოდი გულისხმობს ბავშვთა დაჯგუფებას უნარების მიხედვით. უნარების მიხედვით დაჯგუფება ნიშნავს ნიჭიერი ბავშვების გადარჩევას და თავმოყრას ან ცალკე კლასში, ან სპეციალურ სკოლებში. აქვთ ადგიუსტინი აქტუალურია ნიჭიერი ბავშვების ხწავლება ჩვეულებრივ კლასებში, და არა მათი განცალკევება.

აქსელერაციული პროგრამები უფრო ხწავად გაატარებენ ბავშვს იმავე სასწავლო მასალას, რასაც სხვა მოსწავლეები უფრო ხანგრძლივი დროის მანიულზე ხწავლობენ. ასეთ პროგრამებს კომპაქტურ პროგრამებსაც უწოდებენ, რადგან ისინი ცდილობენ, ჩატიონ ჩვეულებრივი პროგრამა დროის უფრო ხანმოკლე მონაცემები.

აქსელერაციის კვლაბზე გავრცელებული ფორმა კლასიდან კლასში გადახტომა, მაგრამ ეს მეთოდი, ფაქტობრივად, ორიენტირებულია ერთი კონკრეტული ბავშვის წარმატებაზე და სულაც არ გულისხმობს სასკოლო გეგმის მოღივიყაციას და არც იმაზე ზრუნავს, რომ იგი უფრო აღეპვატური გახდეს ბავშვისათვის. სპეციალისტები ამ მეთოდს ხშირად ნებატიურად აფასებენ.

საქმაოდ ცნობილია აგრეთვე სტენლის რადიკალური აქსელერაციის მოღები, რომელიც თავდაპირველად საგანგებოდ იყო უმუშმავებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისათვის. რადიკალური აქსელერაციის მეთოდი ცდილობს, დროში შეამტკიდროვოს ჩვეულებრივი სასწავლო გეგმა; შემდეგ ასეთი მოზარდების უმრავლესობა გადადის დამატებითი აქსელერაციის სპეციალურ საუზივერსიტეტ კურსებზე. ასეთი კურსების პრაქტიკა არსებობდა ვაშინგტონში, ჩინეთში, ავსტრალიაში. ფაქტობრივად, უკვე 14 წლის ბავშვები ხვდებოდნენ ასეთი ტიპის საუზივერსიტეტო კურსებზე. მოსწავლეების გამოყითხვით დაფიქსირდა, რომ უმრავლესობა მათგანი, ჩვეულებრივი პროგრამების პირობებში, აქსელერაციული პროგრამის დაწყებამდე, უჩიოდა მოწყვენილობას და მობეზრების გრძნობას. ხოლო პროგრამაში ჩართვის შემდეგ მათში შეინიშნება თვითშეფასებისა და მიღწევის მოთხოვნილების მომატება.

აქსელერაციის ნებატიური მხარეებია – სოციალური წრის დარ-

დვევა, თანატოლებისგან მოწყვეტა, ფრუსტრაცია. ეს ყველაფერი მეტად გვივის იმაზე, რომ ხშირად არ არის რეკომენდებული ბავშვის მოწყვეტა საშუალო სოციალური და ფსიქოლოგიური განვითარების ჩარჩოებიდან. ამ დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ბავშვის არამხოლოდ ინტელექტუალური, არამედ სოციალური და ფიზიკური სიმწიფეები; ასევე, კურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რამდენად თანაბრად უსწრებს ბავშვი თავის ასაკს. იქნებ ის მხოლოდ ერთ კონკრეტულ სფეროში წარმატებული და სხვა საგნებში დაჩქარებამ სულაც არ მოგვიტანოს სახარბიელო შედეგი.

გამდიდრებული პროგრამები უზრუნველყოფენ ბავშვის უფრო ღრმა განათლებას დამატებითი და მრავალფეროვანი მასალის მიწოდებით. ეს საშუალებას გვაძლევს, გავაფართოოთ მათი ცოდნა და განვავითაროთ შესაძლებლობები.

გარდა ამისა, არსებობს გამდიდრებული სწავლის კიდევ ერთი მოდელი, რომელიც გულისხმობს ბავშვების შერჩევას ზემოხსენებული სამი მახასიათებლის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შერჩევა არ არარებს მკაცრ ხასიათს, უბრალოდ, შეირჩევა კველა ბავშვა, რომელიც თავისი სასკოლო მოსწრებითა თუ ინტელექტუალური პოტენციალით მეტნაკლებად აქმაყოფილებს ადნიშნულ კრიტერიუმებს და, დაახლოებით, 25% სკოლის საუკეთესო ბავშვებისა, ხვდება ნიჭიერების კატეგორიაში. შერჩევის შემდეგ, ამ მოსწავლეებიდან ნებისმიერს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სპეციალურ გამდიდრებულ პროგრამებში. მას ასევე უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიატოვოს ეს პროგრამა. პროგრამები ცვალებადობს ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე.

## აღმზრდები და კერძო მასწავლებლები

უფროდაუფრო მეტი პროგრამა იყენებს ნიჭიერი ბავშვებისათვის ინდივიდუალურ აღმზრდებლებსა და მასწავლებლებსა.

აღმზრდები არის ის ადამიანი, რომელიც თავისებური ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური ხელმძღვანელის როლში გვევლინება და შეიძრო კავშირში ბავშვთან.

ინდივიდუალური მასწავლებელი აშკარად ეჯექტური საშუალებაა არამარტო ნიჭიერ ბავშვთან სამუშაოდ. გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ინდივიდუალური მეცანიერების ფონზე საშუალო მოსწავლეთა 98% შეიძლება ამაღლდეს საშუალო ჯგუფის დონიდან.

საინტერესო თავისებური აღმზრდებლებითი ურთიერთობა თანატოლებს შორის, ან შედარებით უფროსი მოსწავლეების მხრიდან. ნიჭიერ ბავშვებს ხშირად ახასიათებთ მათზე უფროსებთან ურთიერთობის სურვილი, რადგანაც საერთო ინტერესებს მათთან უფრო პოულობენ.

## ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

ასეთი გეგმების შედგენა ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისადა შესაძლებლობების შესაბამისად. ფართოდ გამოყენებული ეს გეგმები, როგორც წესი, გულისხმობს მიღგომისა და მასალების კომბინაციას, როგორიც არის გამდიდრება, აქსელერაცია და აზროვნების განვითარების და მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები.

ინდივიდუალური გეგმები ითვალისწინებს ბავშვის როგორც უნარებს, ასევე მოთხოვნილებებს.

### სპეციალური სკოლები

გარდა ზემოთამოვლილი მიღგომებისა, არსებობს ისეთი სკოლებიც, რომლებიც ემსახურებიან მხოლოდ ნიჭიერ ბავშვებს. ასეთია, მაგალითად, საკვირაო ან ზაფხულის სკოლები. თუმცა ნიჭიერი ბავშვების უმრავლესობას ხშირად არ მიუწვდება ხელი ასეთ სპეციალურ პროგრამებზე და სკოლებზე და რჩებიან ჩვეულებრივი კლასის ფარგლებში. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვეულებრივ კლასში მასწავლებლებს მათვის არაფრის გაკეთება შეუძლიათ. პირიქით, ინკლუზიური სწავლება მაქსიმალურად მოითხოვს ყველა ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში და იმ გზების ძიებას, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია მათვის.

### რეკომენდაციები ჩვეულებრივი ქლასისათვის

აკეთებენ თუ არა სკოლები იმას, რისი გაკეთებაც ძალუბრი ნიჭიერი და შემოქმედებითობისაკენ მიღრეკილი ბავშვებისათვის? სამწუხაორი, სკოლები, ტრადიციულად, ორიენტირებულნი არიან დამჯერი, პუნქტუალური, ზრდილობიანი, თავაზიანი, მეგობრებთან კარგ ურთიერთობაში მყოფი, სხვისი იდეების ადვილად შემთვისებელი, არაპონფლიქტური მოსწავლების ფორმირებაზე. აკადემიური მოსწრება შეფასების ძირითადი კრიტერიუმია, რაც ხშირად მზა მასალის შეთვისებაზე და ტრადიციულ სტანდარტულ პასუხებზეა ორიენტირებული. ამ ჩამონათვალში გვაკლია მოქნილობა, რისკისთვის მზადყოფნა, ორიგინალობა, არასტანდარტული აზროვნება, გამომგონებლობა.

ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა წაახალისოს და არ გაკიცხოს მოსწავლე. წახალისება სჭირდება ბავშვის შემოქმედებით და გაბეჭდულ პასუხს მაშინაც კი, როცა ის არასწორია და წარუმატებელი.

ბევრი ნიჭიერი ბავშვი საქმაოდ მცირე წარმატებებს აღწევს. რითი

შეიძლება აგხსნათ ეს ფაქტი? ძირითადი მიზეზი არის მოტივის არ-ქონა. მოტივაციის გაქრობას იწვევს ის, რომ:

- ბავშვები ვერ ხედავენ კავშირს რეალობასა და სახწყლ მასალას შორის;
- ბევრი ნიჭიერი ბავშვი კარგავს მოტივაციას შეფასებითი სისტემის არაადეკვატურობისა და ზედაპირულობის გამო. ხამ-წუხაროდ, მრავალი მშობელი და მასწავლებელი მხოლოდ ნიშ-ნებზეა ორიენტირებული;
- ნიჭიერ ბავშვებს ხშირად უწევთ ისეთი დავალებების შეს-რელება, რაც მათვის ძალიან მარტივია და, შესაბამისად, იკარგვ-ბა ინტერესი. მეორე მხრივ, ამ პრობლემის თავიდან აცილების მცდელობაში მეორე უკიდურესობასაც ვხვდებით და ზოგიერთი პროგრამა ნიჭიერი ბავშვებისთვის ზედმეტად წინ წასული, აბ-სტრაქტული და ჭარბად თეორიულია;

- ბევრი სასკოლო პროგრამა ვერ ახერხებს, წაახალისოს ნი-ჭიერი ბავშვები და ვერ აძლევს მათ თავიანთი უნიკალური შესა-ძლებლობებისა და სპეციფიკური ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ამაღლებული ზემოთჩამოთვლილი მიზეზის გამო, შეიძლება შედეგად მი-ვიღოთ მოტივაციისა და მიღწევის მოთხოვნილების დათოგუნვა იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც, პოტენციურად, ბრწყინვალე შედეგების მიღწევა შეუძლიათ.

არსებობს საგანგებო საშუალებები ბავშვებში კრიტიკული აზ-როვნებისა და შემოქმედებითობის წასახლისებდღიად. მოქლედ შეგვიძლია განვიხილოთ ერთ-ერთი, რომელიც „გონებრივი იერიშის“ სახელწოდებით არის ცნობილი: ეს მეორე პირულად შემოგვთავაზა ამერიკელმა მეცნიერმა ოსბორნმა და დღემდე წარმატებულად გამოი-ყენება სკუციალურ პროგრამებში. მეორე იყენებენ მცირე ჯგუფებში ამოცანის შემოქმედებითი ამოხსნის ძიებაში მაქსიმალური რაოდე-ნობის იდეების წარმოსაქმნელად. შეფასება მოგვიანებით ხდება. ეს საშუალებას გვაძლევს, გაცილებით მეტი იდეა გამოვიმუშავოთ, ვი-დრე შეფასების პირობებში. კლასის პირობებში „გონებრივ იერიშს“ შეიძლება დაეთმოს გაკვეთილის ნაწილი. ლიდერი ამ პროცესში არის მასწავლებელი. იგი ხსნის თამაშის წესებს: არ არის მისაღები კრი-ტიკა; გამოთქმული იდეების შეცვლა და ერთმანეთთან დაკავშირება შესაძლებელია; მისაღებია ყველა იდეა, ერთი შეხედვით, რაც უნდა უც-ნაური ჩანდეს. წესების ახსნის შემდეგ მასწავლებელი აყენებს პრობ-

ლექმას და «გონებრივი იერიში» იწყება. რეპომენდებულია სხვადასხვა ხერხის გამოყენება იდეების სტიმულაციისა და შემოქმედებითობის გასაღვივებლად (მასწავლებელმა შეიძლება მიაწოდოს რამდენიმე ნიზმუში, ან უბრალოდ, მისცეს ბიძგი მისთვის სასურველი მიმართულებით იდეების პროფიცირებას).

კიდევ რა ფაქტორებმა შეიძლება მოახდინონ ნიჭიერ ბავშვებზე უარყოფითი გავლენა:

- ნიჭიერი ბავშვები შეიძლება გაზარმაცდნენ – ექსპერიმენტები ადასტურებს, რომ ადამიანის ტვინი მთ უფრო ვითარდება, რაც მეტად დებულობს სათანადო დატვირთვას, ანუ მარტივად რომ ვთქათ, ვარჯიშობს. ისევე როგორც კუნთი, რომელიც რაც მეტად ვარჯიშობს, მთ მეტ ძალას იძენს. თუ ნიჭიერი ბავშვი ეწვევა სწავლას და წარმატების მიღწევას ძალისხმევის გარეშე, მისი ვთნებრივი შესაძლებლობები შეიძლება შესუსტდეს;

- ნიჭიერი ბავშვები ხშირად ისე ამთავრებენ საშუალო სკოლას, რომ განვითარებული არ აქვთ შრომის და სიძნელეების გადაღახვის უნარი. – ამას სწორედ ის იწვევს, რომ მათ ყველაფერი ადგილად გამოსხიოთ, საშუალო სკოლის ფარგლებში არსებული სტანდარტები მათთვის სიძნელეს არ წარმოადგენს და, შესაბამისად, ეწვევიან წარმატების მიღწევას მინიმალური ძალისხმევის ფასად. პრობლემა იჩენს თავს მაშინ, როდესაც სირთულის პირისპირ აღმოაჩენენ, რომ არ შესწევთ სიძნელეების გადაღახვის უნარი და პანიკა იპყრობთ. მასწავლებლებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ნიჭიერ ბავშვებს უფრო რთულად მისაღწევი მიზნების დასახვა და ამ მიზნების მისაღწევად სათანადო მხარდაჭერა სჭირდებათ;

- ნიჭიერი ბავშვები შეიძლება პერფექციონისტებად ჩამოყალიბდნენ – ისინი ეწვევიან ქებას, წარმატებებს, ჯილდოებს, არ იციან, რა არის მარცხი და, შესაბამისად, ცდილობებს, აიკილონ მარცხი ნებისმიერ ფასად, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება შეამციროს პროდუქტულობა; მათ შეუძლიათ ზიადწიონ წარმატებას, მაგრამ მარცხის შიში არ აძლევთ საშუალებას, გარისკონ და შეეჭიდონ სირთულეებს;

- ნიჭიერი ბავშვები ადგილად ხდებიან ნიშნებზე ორიენტირებული – ასეთი მოსწავლეები ადგილად ექცევიან ნიშნების გავლენის ქვეშ და ჰგონიათ, რომ უფრო მნიშვნელოვანია, მიიღო კარგი ნიშანი, ვიდრე შეეჭიდო რაღაც ახალს, რაც გრძელვადიან შედეგს მოგიტანს;

## რა ფაქტორები ახდენენ გავლენას ნიჭიერი ბავშვების წარმატებაზე

ხანგრძლივმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვის ნიჭიერება უცილებლად და პირდაპირ არ განაპირობებს წარმატებას. მათი ნაწილი მართლაც აღწევს მნიშვნელოვან წარმატებებს პროფესიული კარიერის თვალსაზრისით, ნაწილი – ვერა.

ოჯახი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბავშვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარებას. პერსპექტივა გაცილებით უკეთესია, როდესაც ნიჭიერებას და შესაბამის პიროვნულ თვისებებს სათანადო ოჯახური და სოციალური გარემოც უწყობს ხელს.

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, აგრეთვე, სწავლების სტილი და საქლახო კლიმატი.

### სიტუაცია 1.

ნინიკო მებამე კლასშია. ის ხაյმაოდ ნიჭიერი და ინიციატივიანი ბავშვია. როდესაც მასწავლებელი ახალ მასალას ხსნის, ნინიკო ვერ ისევებს, ახასიათებს ხწორი პასუხების წამოძახება და გამოხატავს, რომ მან ეს უკვე იცის, რითაც მასწავლებლის გაღიაზიანებას იწვევს. როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, რომ არ დათრგუნოს ნინიკოს აქტიურობა და თან გაძვეთილის ნორმალური მსვლელობაც არ ჟაფერხოს?

ფაქტია, რომ ნინიკო სკოლის მასალას უსწრებს. იმ მასალის ცოდნა, რასაც მასწავლებელი ხსნის, მას არ ასვენებს და სპონტანურ წამოძახილებს იწვევს. სშირი შენიშვნების მიცემაშ შეიძლება მასში სირცე-ფილის გრძნობა გამოიწვიოს და, მეორე მხრივ, ინტერესიც დაუკარგოს იმ გაკვეთილების მიმართ, სადაც მისთვის ახალი აღარაფერია, თუმცა არც ის არის კარგი, ჩვევად რომ გადაექცეს მასწავლებლის საუბრის ხშირად შეწვევტა. კარგი იქნება, მასწავლებელმა, სანამ მასალის ახსნას დაიწყებს, წინასწარ დასვას შეკითხვები და „გონიერი იერიშის“ მეთოდით გაარკვიოს, რა იციან ბავშვებმა ამა თუ იმ საკითხებე. ამ დროს ნინიკოც შეძლებს ბუნებრივად გამოოქვას თავისი მოსაზრებები და შემდეგ მასწავლებელსაც უფრო ყურადღებით მოუსმინოს.

### სიტუაცია 2.

ირაკლი კოველთვის გამოიჩინდა კარგი აკადემიური მოხსენებით,

განსაკუთრებით მაღალ შედევებს მათემატიკაში აღწევდა. ქახჩაჭლებელმა ურჩია მშობლებს მიხო ისეთ სეოდაში გადაყვანდა ძაღლები და მათემატიკა გაძლიერებულად იხსავდებოდა. ირაკლი მართვაზე დაიყვანეს მათემატიკურ სეოდაში, თუმცა ძალიან მაღალ მან სწავლა ხავრძობდად გააუარესა და ხშირად უარს აცხადებდა სეოდაში წასკლაზე. რას შეეძლო მახში ახეთი ცვლილების გამოწვევა?

შექმნილი სიტუაციის დეტალურმა შესწავლამ და ირაკლისთან საუბარმა გამოარკვია, რომ მიუხედავად ჩვეულებრივი სეოლის ფარგლებში მისი წარმატებებისა მათემატიკაში, გაძლიერებული პროგრამა მისთვის მაინც რთული აღმოჩნდა. ირაკლის უკვე დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა შედევის მისაღწევად, რაც მისთვის უჩვეულო იყო. ამას ისიც დაერთო, რომ მუდამ პირველობას მიჩვეული ვერ ეგუებოდა სხვების უპირატესობას, რამაც საბოლოოო ჯამში მას აშკარა პროგესტი და უკმაყოფილება გაუჩინა ახალი სკოლის მიმართ. ირაკლის მშობლებს შეგვიძლია ვურჩიოთ, რომ ნაჩეარევად არ მიიღონ მისი ძველ სკოლაში დაბრუნების

გადაწყვეტილება.

ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ა ,  
მ ა თ ე მ ა ტ ი კ ი ს  
მასწავლებელებაც  
მეტი კურადღება  
გამოიჩინოს მის  
მიმართ, სანამ  
ახალ გარემოს  
შეეწევა. ახალი  
გ ა რ თ უ ლ ე ბ უ ლ ი  
კ რ თ გ რ ა მ ი ს  
დ ა ს ა ძ ლ ე ვ ა დ ,  
ხ ა ნ მ თ კ ლ ე  
დ ღრის მანძილზე  
ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი  
მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ი ს  
დახმარებაც არ  
იქნებოდა ცუდი. ძველ  
სკოლაში დაბრუნება  
მხოლოდ მაშინ უნდა

გადაწყვიტონ, თუ დარწმუნდებიან, რომ გაძლიერებული პროგრამა მართლაც ზედმეტად რთულია მისთვის.



თქვენ უკვე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასაწყისში მოცემულ კველა შეკითხვაზე დაუბრუნდით კითხვებს და გაეცით პასუხები.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები :

- ნიჭიერ ბაგშვებზე, მათი უნარების განვითარებისა და ჩამოყალიბების თვალსაზრისით, გადამწყვეტ გავლენას ახდენს სასკოლო კლიმატი, სასწავლო პროგრამა და მასწავლებლის დამოკიდებულება;
- მუდმივად ცვალეთ მათ მიმართ თქვენი მოღოდინი და დავალებების სირთულე; დავალებების სირთულის მომატებასთან ერთად გაზარდეთ მხარდაჭერაც, რომ არააღმეგა-ტურ სირთულეებს არ შეეჯახონ;
- ყოველთვის დარწმუნებული იყავით, რომ ნიჭიერი ბაგშვის სწავლის პროცესში თანაბრად არის დაბალანსებული სირთულეები და წარმატება.

- „ზოგადი განათლების შესახებ ” საქართველოს კანონი, 2004წ.
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. (2008). მას-წავლებლის პროფესიული ხელმისაწვდომობის მინისტრის ბიურო.
- ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. (2007). ეროვნული სასწავლო გეგმა. თბილისი.
- ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. (2007). როგორ ვახსნავლოთ მოსწავლეებს ახროვნება (1 ნაწ.). თბილისი.
- ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. (2007). განმარტებითი ლექსიკონი განათლების საქციალისტებისათვის (1 ნაწ.). თბილისი.
- ვაისი, თ. (2001). ბავშვები განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებები (მ.ბულია, თარგ.). თბილისი: გამომცემლობა „აწმყო“.
- ონსენი, ბ.პ., & შერები, მ. დ. (რედ.). (2007). განათლება - განსხვავებული საჭიროებების მქონე პირთა განათლება ( მ.ჯიქა, თარგ.). თბილისი: საქართველოს მაცნე.
- Bowling-Carr, C., & West-Burnham, J. (1997). *Effective learning in schools*. London: Pitman.
- Chapel, S., Leask, M., & Turner, T. (Eds.). (2005). *Learning to teach in the secondary school* (4th ed.). London & New York: Routledge .
- Fullan, M. & Hargreaves, A. (1992). *What's worth fighting for in your school*.
- Harmer, J. (2001). *The practice of English language teaching*. Cambridge: Longman Publishers.
- Heaton, J.B. (1997). *Classroom testing*. London & New York: Longman Publishers.
- Heaton, J.B. (1997). *Writing English language tests*. London & New York: Longman Publishers.
- Hopkins, D. (2001). *School improvement for real*. London & New York: Routledge, Falmer.
- Kyriacou, C. (1997). *Effective teaching in schools* (2nd ed.). Cheltenham, United Kingdom: Nelson Thornes.
- Kyriacou, C. (1998). *Essential teaching skills*. Cheltenham, United Kingdom: Nelson Thornes.
- Madsen, S. (1983). *Techniques in testing*. New York: Oxford University Press.
- Proctor, A., Entwistle, M., Judge, B. & McKenzie-Murdoch, S. (1996). *Learning to teach in the primary classroom*. London & New York: Routledge, Falmer.

- Quist, D. (2000). *Primary teaching methods*. London & Oxford: Macmillan Education Ltd.
- Ruddel, M. R. (2001). *Teaching content reading and writing*. New York: John Wiley & Sons. Ontario Public School Teachers' Federation: Open University Press.
- Rudner, M. & Schafer, C. (2002). *What teachers need to know about assessment*. Washington: National Education Association.
- Saphier, J., & Gower, R. (1997). *The skillful teacher*. Acton: Research for Better Teaching.
- Jones, V. F., & Jones, L. S. (2001). *Comprehensive classroom management*. Boston: Allyn & Bacon.
- Spratt, M. (1996). *English for the teacher*. Cambridge University Press.
- Ur, P. (2002). *A course in language teaching*. Cambridge University Press.

მოტივაცია და მოტივაციის ამაღლების საშუალებები (ქ. თოფაძე) .....	3
დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლება (ქ.თოფაძე) .....	30
სწავლების სტრატეგიები (ქ. თოფაძე) .....	38
გაკვეთილის დაგეგმვა (ნ. დალაქიშვილი) .....	64
შეფასება (რ. ტყემალაძე) .....	73
შეფასების მეთოდები – ტესტირება (რ. ტყემალაძე) .....	81
შეფასების მათოდები - მასწავლებლის დაკვირვება და კომენტარი (რ. ტყემალაძე) .....	90
შეფასების სქემები (რ. ტყემალაძე) .....	98
თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება (რ. ტყემალაძე) .....	110
პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასება (ნ. დალაქიშვილი) .....	118
კომუნიკაცია (ნ. დალაქიშვილი) .....	124
კომუნიკაციის საშუალებები (ნ. დალაქიშვილი) .....	132
საქლასო დისკუსია (ნ. დალაქიშვილი) .....	140
ინკლუზიური განათლება (თ. პაჭკორია) .....	150
ნიჭიერი ბაგვები (თ. ბურაშვილი) .....	161
გამოყენებული ლიტერატურა .....	173

# შენიშვნებისთვის



K 263.972

3

9.6.1936.320  
303-2001936